# ლიტერატურული გაზეთი

№16 (224) 7 - 20 სექტემბერი 2018 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ზაზა ბიბილაშვილი

## საუკეთესო

მისტიკის ნისლებში მცურავს
გიცქერდე რაც უნდა ეჭვით
ანდა არ გიცქერდე სულაც,

შენ კი ჩემს ალალ და ბეჯით
ბჭობას პასუხობდე მუდამ
ღიმილით, სიცილით, კრეჭით —

მაინც ამ გულში ან გულთან —
ახერხებ, კადრულობ, ბედავ —
გაცრეცილ არილად ბჟუტავ —

იმედის ელფერის სევდავ,
სახელად — „შენ მაინც იცი“
ან კიდევ — „შენ მაინც ხედავ“.

ვიდრე მანდ არაფრით იწვი
და ღამეს ჯიუტად ეკვრი —
ვარსკვლავის ძურწა თუ ხიწვი,

მგზავრი ამ მთა-ვაკე-ზეგნის
კიდევ თუ რაიმეს ვხდები —
კიდევ თუ რაიმეს მძებნი —

დროდადრო თავიდან ვხვდები:
საერთოდ თუკია — უფრო
უნდოა შენ იქით გზები,

და მიწას — ვუარო, ვღრუტნო —
წერტილიც არა აქვს — შენზე
ურყევი, მყარი და მყუდრო.

მეპოვა, ვერაფრით შევძელ,
მეორე — არყოფნის მტარვალ
აჩრდილთა წინაშე შემწე.

მით უფრო — ძალიან არ ვარ
და შენზე ძალიან ანდა
შენზე მეტს არავის ვწამვარ.

და უფრო მცდარია სხვათა
ციფრი და გრამი და ადლი
და თუკი როდისმე მართლა

გამზომავ, ამწონი, დამთვლი —
ცოდვები თუ არა — იქნებ
შემინდო უშვერი მადლი.

იმ ენის ხლართებშიც იგნებ
გზას და კვალს ყველაზე ხშირად,
ფურცელზე რომელსაც ვიქნევ,

მერე კი ამაოდ ვქშინავ
უდაბნოს შინა ან უღრან,
გაუვალ გულებსა შინა.

სამართალს ყველაზე უხვად
ჰპირდები პურივით მარილს...
ოღონდ, რა თქმა უნდა — თუ ხარ,

თუ ხარ — იმ ნისლებში მაინც,
თუ ხარ — სულ ცოტათი მაინც,
ანდა — თუ არა ხარ, მაინც.

IV-V



*ცნობილი ფაქტია, რომ ჯეიმზ ჯოისს დოსტოევსკის შესახებ საუბარი დიდად არ ხიბლავდა. როგორც ჩანს, ეს კარგად იცოდა მისმა ვაჟმა ჯორჯომ, რომელიც სიყმაწვილეში ჯიუტად უმეორებდა: „უდიდესი მწერალი დოსტოევსკია, უმნიშვნელოვანესი რომანი კი — „დანაშაული და სასჯელი“. ბუნებრივია, ჯოისი ღიზიანდებოდა. „ეს უბრალოდ იმ წიგნის უცნაური სათაურია, რომელშიც არც რაიმე დანაშაულზეა საუბარი და არც სასჯელზე“ — პასუხობდა ის.*

*რას გულისხმობდა ჯოისი, ნუთუ არ ესმოდა დოსტოევსკი?*

თემურ გაბუნია

# დანაშაული და სასჯელი




## მიუტევებელი დანაშაული

მამა-შვილის, ჯეიმზ და ჯორჯო ჯოისების, დიალოგიდან ჩანს, თუ როგორ აღიზიანებდა ირლანდიელ მწერალს დოსტოევსკის ხსენებაც კი, რაც ალბათ მასსა და რუს მწერალს შორის არსებული მსოფლმხედველობრივი უფსკრულის არსებობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ ორი ავტორის თხზულებები თემატურადაც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ჯოისი წერდა ღმერთთან მებრძოლ ადამიანებზე, რომლებიც უარყოფდნენ ქრისტიანობას და მზად იყვნენ, ისეთი დანაშაული ჩაედინათ, რომელიც არასოდეს მიეტევებოდათ — სიკვდილის შემდეგაც კი. ხოლო დოსტოევსკის მთავარი გმირები ჩადენილ ცოდვებს ინანიებდნენ და მორჩილებით იღებდნენ სასჯელს.

ჯოისს სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული (ბელვედერის იეზუიტთა კოლეჯში სწავლობდა), ასე რომ, კარგად უნდა ცოდნოდა, რას ნიშნავდა მიუტევებელი ცოდვა. „არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები“ — გვაფრთხილებს უფალი პირველსავე მცნებაში. „არა კაც კლა“, მხოლოდ მეექვსე მცნებაა, „არ იმრუშო“ — მეშვიდე, „არ იქურდო“ — მერვე. ნუთუ კერპთაყვანისმცემლობა უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე კაცისკვლა, მრუშობა და ქურდობა? ქრისტიანობაში მიუტევებელ ცოდვად სული წმინდის გმობაა მიჩნეული, სხვა ცოდვები ადამიანს მიეტევება. დოსტოევსკის რომანში — „დანაშაული და სასჯელი“ — სწორედ მეექვსე, მეშვიდე და მერვე მცნებების დამრღვევ ადამიანებზეა საუბარი, რომლებიც ცოდვებს ინანიებენ და ახალ ცხოვრებას იწყებენ. საგულისხმოა, რომ ჯოისის ავტობიოგრაფიული პერსონაჟი, სტივენ დედალოსიც, იწყებს ახალ ცხოვრებას, ოღონდ რასკოლნიკოვისგან სრულიად განსხვავებულს. რომელ მცნებებს არღვევს სტივენი? სწორედ მათ, რომელთა შესახებაც დოსტოევსკის აღნიშნულ თხზულებაში საერთოდ არაა საუბარი. ჯორჯოსთან დიალოგისას ჯოისი ალბათ ამას გულისხმობდა. მას მშვენივრად უნდა სცოდნოდა, თუ რა იყო უფრო დიდი დანაშაული და გაცილებით მძიმე სასჯელი, რომელსაც პირველი ორი მცნების დამრღვევი ადამიანი იმსახურებდა. ბიბლიაში კერპთაყვანისმცემლობა სულიერ მრუშობად იყო მიჩნეული. ცოდვით დაცემული ადამიანისთვის დაწესებული ათი მცნებიდან (რომელთაგანაც ორი მოწოდებაა, დანარჩენი რვა კი — აკრძალვა) პირველი ორის დამრღვევი პოტენციურად ათივე მცნების უგულებელმყოფელი ხდებოდა; მაინც რატომ მიიჩნეოდა წარმართობისკენ გადახრა ასეთ მძიმე დანაშაულად? თუნდაც იმის გამო, რომ ოლიმპელი ღმერთები თავადვე იყვნენ უდიდესი ცოდვილები, ზევსი მამის მკვლელი და მრუში გახლდათ, ვენერა-აფროდიტე — პაემნების მომწყობი, ხოლო სხვა ღვთაებები — მატყუარები და ქურდები. ბუნებრივია, მათი მიმდევარი თვითონაც ცოდვილი ხდებოდა, რადგან თავის გასამართლებლად მშვენიერი საფუძველიც ჰქონდა, თავის სათაყვანებელ ღვთაებებს ბაძავდა...

ასეა თუ ისე, ჯოისი საკუთარ ვაჟთან მიუტევებელი დანაშაულის შესახებ საუბრობდა, რომელსაც ვერ პოულობდა დოსტოევსკის თხზულებაში. სწორედ ამის გამო ამბობდა გაღიზიანებით, რუსი მწერლის რომანში არც რაიმე დანაშაულზეა საუბარი და არც სასჯელზეო. ხოლო თუ რა იყო მიუტევებელი ცოდვა, რომლის ჩადენასაც მარადიული სასჯელი უნდა მოჰყოლოდა, ეს ალბათ ჯოისზე უკეთ არც არავინ იცოდა...

## დაპირისპირება ცენზორებთან

„ექვსი წლის წინ მე მივატოვე კათოლიკური ეკლესია, რომელიც მთელი არსებით შევიძულე. მისი წევრობა შეუძლებლად მიმაჩნდა ჩემი ბუნებიდან მომდინარე იმპულსების გამო. კოლეჯში სწავლის პერიოდში ფარული ომიც გამოვუცხადე, როდესაც უარი ვთქვი მის მიერ შემოთავაზებულ სტატუსსა და შეხედულებებზე. მართალია, მათხოვრად ვიქეც, მაგრამ სიამაყე შევინარჩუნე. ახლა კი ღია ომს ვუცხადებ ჩემი თხზულებებითა და ყოველივე იმით, რასაც ვამბობ და ვაკეთებ...“ (ნაწყვეტი ჯეიმზ ჯოისის წერილიდან მომავალი მეუღლის, ნორა ბარნაკლისადმი, 29 აგვისტო, 1904 წელი).

მალინგარში მამასთან ერთად ყოფნისას 1901 წლის ზაფხულში ჯოისი თარგმნის გერჰარდ ჰაუპტმანის ორ პიესას „მზის ამოსვლამდე“ და „მაიკლ კრამერს“. პიესები ირლანდიის ლიტერატურული თეატრის სცენაზე უნდა დადგმულიყო, მაგრამ უპირატესობას გელურ ენაზე ჰეროიკული მითოსის შესახებ შექმნილ ნაწარმოებს მიანიჭეს. ჯოისი წერს კრიტიკულ სტატიას კოლეჯის ჟურნალისთვის, რომელიც იბლოკება. ცენზურით განაწყენებულმა ჯეიმზმა და კოლეჯის მეგობარმა (რომელსაც ასევე დაუწუნეს ქალთა უფლებების შესახებ დაწერილი სტატია) მოგვიანებით საკუთარი ხარჯით გამოსცეს თავიანთი ესეები, წინასიტყვაობაში კი აღნიშნეს, რომ მათი თხზულებები ცენზურამ დაბლოკა.

„ირლანდიის ლიტერატურული თეატრი ტროლებს დანებდა, იმის ნაცვლად, რომ მათთან ებრძოლა, როგორც ამას იბსენი გვირჩევდა“ — აღნიშნავს ჯოისი თავის ესეში. ცენზორი მამა ჰენრი ბრაუნი გახლდათ. ასე რომ, კრიტიკა კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა რელიგიის წინააღმდეგ გალაშქრებად აღიქვეს. ჯოისის ესეს მალე მკაცრი კრიტიკა მოჰყვა კოლეჯის ჟურნალ „წმ. სტეფანეში“. ავტორი ჰიუ კენედი აღნიშნავდა: „უმრავლესობა, რომელსაც ჯოისი უპირისპირდება, კათოლიკურია და ეს უმრავლესობა ხელოვნებასაც მოინელებს, თუკი ის გაბედავს სულიერებას დაუპირისპირდეს“.

აღნიშნულმა წერილმა კიდევ უფრო გააღრმავა ბზარი ჯოისსა და კათოლიკურ სამყაროს შორის, რომელიც პირველად მაშინ გაჩნდა, როდესაც ჯერ კიდევ თოთხმეტი წლისამ მეძავ ქალთან იმრუშა. მართალია, მღვდელთანაც მივიდა და აღსარებაც თქვა, მაგრამ დიდხანს ვერ შეძლო, ეკლესიურად ეცხოვრა. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლამ კი ეს ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა და კათოლიკურ ეკლესიასთან დაპირისპირებამაც რადიკალური ხასიათი მიიღო. ჯოისი საკუთარ თავს უკვე ასეთი არჩევანის წინაშე აყენებს — „ან ღმერთი, ან ხელოვნება...“

## ლუციფერივით ამაყი

ჯეიმზი ეკლესიისგან განდგომის უმთავრეს მიზეზად, როგორც ეს ნორა ბარნაკლისადმი გაგზავნილი ბარათიდან ჩანს, საკუთარი ბუნებიდან მომდინარე იმპულსებს მიიჩნევდა. ძირითადი იმპულსი, ღმერთთან მებრძოლობას რომ განაპირობებდა, სიამაყე გახლდათ. გარეგნობაზეც ეტყობოდა ქედმაღლობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქცევასა და საუბარზე. „ლუციფერივით ამაყია!“ — ასე შეაფასა ახალგაცნობილი ჯოისი ჯორჯ რასელმა. მოგვიანებით რასელი იეიტსისა და ჯოისის შეხვედრას ამგვარად აღწერს: „დუბლინში დაბრუნებულ ცნობილ პოეტს ერთი ყმაწვილი გაეცნო. იეიტსმა თხოვა, საკუთარი ლექსები წაეკითხა.

— ასეც მოვიქცევი, რადგან მთხოვ, — უპასუხა ჯოისმა, — თუმცა თქვენ თვალსაზრისს ამ ქუჩაზე ნებისმიერი გამვლელისაზე მეტ მნიშვნელობას არც ვანიჭებ.

იეიტსმა რამდენიმე ლექსი მოუწონა და შეაქო კიდეც. თუმცა შექებას ჯოისზე დიდი შთაბეჭდილება არც მოუხდენია.

— ორივეს, თქვენც და მეც, მალე ყველა დაგვივიწყებს, — მიუგო ცნობილ პოეტს, გამომშვიდობებისას კი განუცხადა, — ძალიან გვიან შევხვდით ერთმანეთს. საკმაოდ ხნიერი ხართ იმისთვის, თქვენზე რაიმე გავლენა მოვახდინო.

რასელმა ჯერ კიდევ 1902 წელს აღნიშნა, ჯოისი ლუციფერივით ამაყიაო. თვრამეტი წლის შემდეგ კი იმავეს გაიმეორებს ვინდჰემ ლუისიც ტომას სტენზ ელიოტთან საუბრისას, რომელსაც ჯოისისთვის ეზრა პაუნდის მიერ ამერიკიდან გაგზავნილი შეფუთული ყუთი უნდა გადაეცა. პარიზში ჩასულ ელიოტს ლუისიც ახლდა თან. ეს სამი ტიტანი პარიზის პატარა სასტუმროში შეხვდა ერთმანეთს. ჯეიმზი სასტუმროში საკუთარ ვაჟთან, ჯორჯოსთან, ერთად მივიდა. როდესაც გულკეთილი და მეგობრების გაშარჟებისმოყვარე ეზრა პაუნდის საგულდაგულოდ განასკვული ყუთის ბაწარი როგორც იქნა გადაჭრეს, იქ ყოველდღიურად სახმარ ტანსაცმელთან ერთად ძველი ყავისფერი ფეხსაცმელებიც აღმოჩნდა. ჯოისს გაცვეთილი სპორტულები ეცვაო, აღნიშნავს მოგვიანებით ლუისი; ასე რომ, პაუნდი ტყუილად არ გარჯილა, ფეხსაცმლის პრობლემა ჯეიმზს მართლაც ჰქონდა, თუმცა ეზრას საქციელი მეგობრულ შარჟსაც ჰგავდა. ელიოტიც გაბეზრებული ჩანდა; შეფუთულ ყუთს ამერიკიდან ევროპაში ხან მატარებლით ათრევდა, ხან გემით... მოგვიანებით ჯორჯოც განაწყენდა, როცა მამამ იტალიურად უთხრა, დედას გადაეცი, ერთად ველარ ვისადილებთ, თან ეს ყუთიც სახლში წაიღეო. ჯოისმა ამერიკელი სტუმრები მახლობელ რესტორანში დაპატიჟა. იმ პერიოდში ლუისის შემოქმედებას ასე თუ ისე იცნობდა, ხოლო ელიოტისას — ნაკლებად. მეტიც, მის პოეტობაში კარგა ხანს ეჭვიც კი ეპარებოდა. მხოლოდ „უნაყოფო მიწის“ წაკითხვის შემდეგ წამოცდა — თურმე პოეტი ყოფილაო... იმ საღამოს რესტორანში ელიოტს დიდად არც უნდა მოსწონებოდა, ლუისის მეგობრად რომ მოიხსენიებდნენ. არადა, ჯოისი, ძირითადად, ვინდჰემს მიმართავდა, ხოლო, როდესაც ტომასის შესახებ ჩამოვარდებოდა საუბარი, მას „ლუისის მეგობარ მისტერ ელიოტს“ უწოდებდა. რაღა თქმა უნდა, ამერიკელ პოეტს თავი დამცირებულად უნდა ეგრძნო. რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ მასსა და ლუისს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ლუისი: ჩვენი მეგობარი საკმაოდ გულთბილია და კონტაქტში ადვილად შემოდის, ასე არაა?

ელიოტი: ჩემი აზრით, ქედმაღალია და დამღლელი.

ლუისი: არა მგონია, ქედმაღალი იყოს, ერთი შეხედვით ასეთ შთაბეჭდილებას არ ტოვებს...

ელიოტი: ჰო, მხოლოდ ერთი შეხედვით...

ლუისი: ხომ არ გგონია, რომ ლუციფერივით ამაყია?

ელიოტი: ლუციფერს არ ვახსენებდი...

ლუისი: არ ახსენებდი? შესაძლოა, თვითონ მიაჩნდეს, რომ ლუციფერივით ამაყია, ან ღვთის პირისგან გაგდებულ რომელიმე არსებასავით... თუმცა ძალიან თავაზიანია.

ელიოტი: ვერც ერთხელ მოვახერხე კარში მეორე შევსულიყავი, სულ გზას გითმობს. ჯერ თქვენ მიბრძანდითო, ამბობს.

ლუისი: თავაზიანია, გარეგნულად ძალიან თავაზიანი, მაგრამ შინაგანად წარმოუდგენლად ქედმაღალიც. სწორედ ამის გამოცაა თავაზიანი. უკეთესი იქნებოდა, ნაკლებად თავაზიანი ყოფილიყო.

აი, ასეთი დიალოგი გაიმართა ტომას სტერნზ ელიოტსა და ვინდჰემ ლუისს შორის 1920 წლის 15 აგვისტოს რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ. მართალია, ელიოტი და ჯოისი მოგვიანებით დამეგობრდნენ, თუმცა პირველი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება, რიჩარდ ელმანის აზრით, სწორედ ასეთი გახლდათ. ამერიკელი მწერლები გააღიზიანა იმან, რომ ჯეიმზს ვერაფერი დაასწრეს, ვერც ტაქსის ფულის გადახდა, ვერც რესტორნის და თვით გზის დათმობაც კი... საგულისხმოა, რომ ჯოისს ლუციფერს მხოლოდ რასელი და ლუისი როდი ადარებდნენ. ელმანის ბიოგრაფიულ წიგნში კიდევ ერთ უცნაურ ეპიზოდს ვხვდებით. ამჯერად, პირველი შეხვედრის შემდეგ მსგავსი აზრი ჯორჯოს ციურიხელ თანაკლასელებსაც გაუჩნდათ, მოზარდებს, რომლებსაც თავიანთი ასაკის გამო ახალგაცნობილის ღრმა ანალიტიკური შეფასება არც მოეთხოვებოდათ.

ჯორჯოსთან კოლეჯში ბევრი მეგობრობდა. ბიჭებს აინტერესებდათ, ვინ იყო მამამისი, რადგან გაგებული ჰქონდათ, მწერალიაო. ერთი-ორმა ჰკითხა კიდეც, რა აქვს დაწერილიო. „მამა ხუთი წელია მუშაობს რაღაც წიგნზე, რომელიც კიდევ ათი წელი უნდა წეროს“ — უპასუხა ჯორჯომ. „ფულს როგორღა შოულობს?“ — გაუკვირდათ მეგობრებს. „როცა ფული უთავდება, ერთ ლორდს ატყობინებს ინგლისში, ის კი ფულს უგზავნის, რამდენიმე ასეულ ფუნტს“ — მიუგო ჯორჯომ. ამგვარი პასუხის შემდეგ ჯოისისადმი ინტერესი ბიჭებში, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაიზარდა. სურდათ, გაეცნოთ, თუმცა ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ციურიხის ნაქირავებ ბინაში სტუმრად მისულებს შავად მოსილი ადამიანი გამოეგებათ — შავი ჟაკეტით, თხის მსგავსი შავი წვერითა და აბურძგნული ასევე შავი ფერის თმით. მან სტუმრებს ხელი ჩამოართვა და შავი თვალებით შეათვალიერა (სათვალის ძალიან სქელი მინებიდან). ბიჭები დაფრთხნენ, გაუჭირდათ კიდეც კონცენტრირე-

ბული მზერის გაძლება და როცა მას თავი დააღწიეს, სპონტანურად ერთ აზრამდე მივიდნენ — ჯორჯოს მამა სატანას ჰგავდა. პირველი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება უფრო გაუღრმავდათ, როდესაც შეიტყვეს, რომ მწერალს ნაქირავები ბინის მფლობელი მოხუცი ქალბატონი „ჰერ სატანათი“ მიმართავდა.

ამრიგად, რასელი, ლუისი, ჯორჯოს მეგობრები და ციურიხელი ქალბატონი სრულიად დამოუკიდებლად მივიდნენ ერთ აზრამდე — ჯეიმზ ჯოისი რაღაცით ჰგავდა სატანას...

## ბუნდოვანების მეფე

1930-იან წლებში, „ულისეს“ შესახებ ამტყდარი აჟიოტაჟის შემდეგ, ჯოისის ცნობადობა საკმაოდ გაიზარდა. იწერებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო გამოხმაურებები, პარალელურად იქმნებოდა ბიოგრაფიული თხზულებებიც, როგორც უცნობი ლიტერატორების ავტორობით, ასევე ჯეიმზის მეგობრების — ფრენკ ბაჯენის, რობერტ მაკალმონისა და ჰერბერტ გორმანის... ჯოისი დაინტერესებული იყო, ხელოვნებისთვის წამებულ წმინდანად გამოეყვანათ, რომელიც უჩვეულოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა ტანჯვასა და შევიწროებას. მართალია, რიჩარდ ელმანის აზრით, ამის შესახებ ბიოგრაფოსებთან პირდაპირ არ საუბრობდა, მაგრამ მიანიშნებდა, რომ წმინდანივით უნდა მოქცეოდნენ.

აღნიშნულ თემაზე სამუელ ბეკეტმა სახუმარო ლექსიც კი დაწერა, Home Olga, რომელშიც ჯოისი მოხსენიებულია განსხეულებულ „სიტყვა-ადამიანად“ (ლოგოსად), ირლანდიაში გამეფებულ კათოლიკურ სიბნელეს რომ ებრძვის. ლექსში აშკარად იგრძნობა სარკაზმი ამ ახალი „წამებული მესიის“ მიმართ. „ულისეს“ ავტორმა Home Olga მეგობრულ შარჟად აღიქვა; ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ბეკეტის ტალანტს ჯოისი თაყვანს სცემდა. ამ ისტორიაში გასაოცარი სულ სხვა რამეა, ლიტერატორები ჯეიმზის ლიტერატურულ ორეულ სტივენს ერთდროულად ამსგავსებდნენ ქრისტესაც და ლუციფერსაც, პარნელსაც და დედალოსსაც, სტეფანე პირველმოწამესაც და ნიცშესაც... ბუნებრივია, მკითხველს შეიძლება, გაუჩნდეს კითხვები: სად ქრისტე და სად ლუციფერი?! ან სად სტეფანე პირველმოწამე და სად ნიცშე?! საქმეც ისაა, რომ თვითონ ჯოისის პროზა იძლეოდა ასეთი განსხვავებული შეფასებების საბაბს. როგორც იეიტსი აღნიშნავდა, მას არ სჩვეოდა განზოგადება, დასკვნის გაკეთებას მკითხველს ანდობდა, რაც ხშირად არც თუ ისე ადვილი გახლდათ. „ულისეს“ ბევრი ეპიზოდი იძლეოდა ორმაგად წაკითხვის საშუალებას, განსაკუთრებით კი „ცირცე“ (კირკე), რომელშიც საიდუმლო საძმოს რიტუალების აღმსრულებლები, შებრუნებულად რომ წარმოთქვამენ ფრაზებს სახარებიდან, ერთ-ერთ ძირითად მოქმედ გმირებად გვევლინებიან. ძნელი გასარკვევია, რა პოზიცია უკავია მათდამი ავტორს. გრძნეული ცირცეს მიერ ღორებად ქცეულ ადამიანებად გვიხატავს თუ გავლენიან პატივსაცემ დუბლინელებად? თუკი დანტე ალიგიერი „ახალი ცხოვრებისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ ბუნდოვანებით მოცულ ადგილებს მოგვიანებით საკუთარ თხზულებებშივე გვიხსნის, ჯოისისგან ამას არ უნდა ველოდოთ. ის ბოლომდე ორსახოვან იანუსად რჩება — „ბუნდოვანების მეფედ“.

ჯოისს შეეძლო, არაფერზე ესაუბრა და მაინც გენიოსად მოგჩვენებოდათო, აღნიშნა ერთხელ „ულისეს“ ახალგაზრდა მთარგმნელმა Benoist-Mechin-მა, რომელსაც პენელოპეს ეპიზოდზე მუშაობისას ირლანდიელი მწერალი ასე გაეხუმრა: „ყველაფერი ახლავე რომ განგიმარტო, უკვდავებას დავკარგავ. ამ ეპიზოდში იმდენი ენიგმა და გამოცანა ჩავდე, რომ პროფესორებსაც კი საუკუნეები დასჭირდებათ იმის გასარკვევად, რა ვიგულისხმე — ეს კი ერთადერთი საშუალებაა, საკუთარი უკვდავების დასაზღვევად“.

ჯოისის ხუმრობიდან ნათლად ჩანს, რატომ არ სურდა, ეწერა მარტივად. საკუთარი ეპიკური თხზულება რომ გაეშიფრა, რომელიც „სხეულის ნაწილებზე“ შექმნილი ოზირისის მსგავსი მისტერია უფრო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი რომანი, გენიოსადაც აღარ მიიჩნევდნენ და ლაბირინთის პრინციპიც დაირღვეოდა.

და მაშინ არც საკუთარი თხზულებების მთავარ გმირს მონათლავდა დედალოსად, კრეტის ლეგენდარული მეფის მინოსის ლაბირინთის ამგები ოსტატის პატივსაცემად...

## არჩევანი

„უსინდისოდ მოიქცა უელსი, როცა ის ტუალეტის ორმოში ჩააგდო იმის გამო, რომ თავისი ბურნუთის პატარა კოლოფი იმ კამათელში არ გაუცვალა, რომელიც უელსმა კოჭის თამაშში ორმოცჯერ მოიგო“ — ასე იხსენებს „ხელოვანის პორტრეტის“ მთავარი პერსონაჟი სტივენი თავის ბავშვობისდროინდელ მარცხს. ეს მოგონება კიდევ რამდენჯერმე ამოუტივტივდება ცნობიერებაში და მკითხველიც ხვდება, რომ აქ საქმე აქვს ერთგვარ სიმბოლოსთან. დედა ღორი, საკუთარ გოჭებს რომ თქვლეფს, ირლანდიის სახეა, ტუალეტის ორმოში ჩაგდება კი — იმ საფრთხის, სამშობლოში დარჩენის შემთხვევაში რომ ემუქრება.

ჯოისს მატერიალური საფუძველიც ჰქონდა ირლანდიიდან წასულიყო, მამამისს თერთმეტჯერ ჰქონდა დაგირავებული თავისი უძრავი ქონება და როცა მეათე შვილი შეეძინა (სულ ოთხი ვაჟი და ექვსი

ქალიშვილი ჰყავდა), აღმოჩნდა, რომ ქონება საერთოდ აღარც გააჩნდა. ჯონ ჯოისს მექალთანის სახელი ჰქონდა გავარდნილი (ქალების კონკვისტადორს უწოდებდნენ) და ქილიკობდნენ, სახლი ვალებითა და შვილებით აავსოო. ამრიგად, მატერიალური სიდუხჭირეც იყო „ტუალეტის ორმოში“ ჩაგდების ერთ-ერთი მიზეზი. თუმცა არჩევანის გაკეთება საკუთარი თავის დანტე ალიგიერთან გაიგივებამაც განაპირობა. ჯოისიც უნდა „გადაესახლებინათ“ მშობლიური ქალაქიდან, ისევე როგორც იტალიელი პოეტი და თუ არ გადაასახლებდნენ, მაშინ განდევნის სცენა თავადვე უნდა გაეთამაშებინა. ეს შემოქმედებითი იმპულსისთვისაც სჭირდებოდა. როგორც რიჩარდ ელმანი აღნიშნავს, ეგრეთ წოდებული გადასახლება საჭირო იყო კათოლიკური ირლანდიისთვის რაღაცის დასამტკიცებლად. ის სამშობლოში მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნიდა. დედალოსივით ცვილის ფრთები უნდა გამოესხა და გაფრენილიყო — „სულ ერთია სად, თუნდაც ბერძენი ფილოსოფოსივით კასრში ეცხოვრა, ოღონდ არა ირლანდიაში...“

კათოლოკური ეკლესიიდან განდგომის შემდეგ ჯეიმზი თავისი ლიტერატურული ორეულივით, სტივენივით, პოულობს ალტერნატიულ რელიგიას. მწერლის კერპი ქაფიდან შობილი აფროდიტე ხდება, რომელსაც რამდენიმე მიწიერი ინკარნაციაც ჰყავს: ირლანდიის ზღვის ნაპირას მოცეკვავე უცნობი გოგონა, მეუღლე — ნორა ბარნაკლი, მოგვიანებით კი ციურიხში გაცნობილი ქალბატონი მართა ფლეიშმანიც, რომელსაც ჯეიმზმა ხანუკას სანთელი დაუნთო. ამრიგად, არჩევანი გაკეთებულია. მას უკვე შეუძლია, სტივენივით თქვას: „მე არ ვემსახურები იმას, რაც აღარ მწამს, მნიშვნელობა არ აქვს, რას ვუწოდებთ — ჩემ სახლს, სამშობლოსა თუ ეკლესიას“. მისთვის თანდათანობით ამაზრზენი ხდება „დუბლინის დამთრგუნველი ერთფეროვნება“, ყველაფერს ამრეზით უყურებს და უსმენს, თვით მამის მოყოლილ ამბებსაც კი ძველ მეგობრებსა და თავის ახალგაზრდობაზე. მამის ყოფილი თანამეინახეების თავგადასავლების მოსმენისას „მსუბუქი გულისრევის უსიამო შეგრძნება ეუფლება“. მეტიც, ერთ ადგილზე გაჩერებაც კი უჭირს და სწორედ მაშინ უჩნდება სურვილი, დედალოსად იქცეს, ფრთები გამოისხას და გაფრინდეს იქ, სადაც „მსოფლიო კულტურის დღესასწაულია“. დუბლინში აღარაფერი ესაქმება. რომ დარჩეს, შეიძლება, ისევ ტუალეტის ორმოში აღმოჩნდეს ან მეგობრებმა ისევე უღალატონ, როგორც ირლანდიის ეროვნულ გმირ პარნელს, რადგან თვითონაც რჩეულია. რატომ უნდა შეეწიროს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას? უმჯობესია, ირლანდია მოკვდეს მისთვის. ის ხომ ზეკაცია, თვით საკუთარ დაძმისთვისაც უცხო. თანაც ზუსტად იცის, რაც უნდა და რისიც არ ეშინია. დაე, დაეცეს ციურ ანგელოზთა მესამედის მსგავსად, მაინც იტყვის: „Non servium — არ ვემორჩილები“, რადგან არ ეშინია მარტოობის, რომ უარყოფილი იქნება ვიღაც სხვის გამო. არ ეშინია, მიატოვოს ყველაფერი, რაც მისატოვებელია. არ ეშინია შეცდომის დაშვების, დიდი შეცდომის, მთელი ცხოვრების შეცდომის და, შესაძლოა, თვით სამარადისო შეცდომისაც კი.

დიახ, „ხელოვანის პორტრეტში“ ჯოისი სწორედ მიუტევებელი ცოდვის შეგნებულად ჩადენის შესახებ საუბრობს.

## სასჯელი

„ღმერთო ჩემო, ნეტა რა დავაშავე წინა ინკარნაციაში, რომ ამ სოროში მოვხვდი?“ — შესჩივლა ჯეიმზმა მეგობარ რობერტ მაკალმონს. 1924 წელს, როდესაც აღნიშნული ბარათი დაიწერა, ჯოისი უკვე თვალის მეხუთე ოპერაციას იკეთებდა. იმ წლის 16 ივნისს ბლუმსდეის აღნიშვნა საავადმყოფოში მოუწია, მეგობრებმა ყვავილები მიართვეს. ყველაზე რთული რეაბილიტაციის პერიოდი გახლდათ. თვალახვეული ჩაბნელებულ ოთახში უნდა წოლილიყო. სიყმაწვილისდროინდელი მოგონებები მოსვენებას უკარგავდა. სნეულებას ხან სიმთვრალეში ცივ მიწაზე ჩაძინებას აბრალებდა (1910 წელს პირანოში, როცა დილის სუსხმა ართრიტული ტკივილიც დაუტოვა მხარში), ხან კი ღვთისგან განდგომასა და საკუთარ უსჯულოებას. ყოველივე ამას თან ერთვოდა ქალიშვილ ლუჩიას არასტაბილური ფსიქიკური მდგომარეობაც, მოგვიანებით კი რძლისაც (ჯორჯოს მეუღლის). ნორა ბავშვების მოუნათლაობას აბრალებდა ყველაფერს, ხან კი საცხოვრებელი ადგილის ხშირ ცვლას, რომელიც ცუდად მოქმედებდა ჯორჯოსა და ლუჩიას ფსიქიკაზე. შეეჩვეოდნენ ბინას, კოლეჯს, მეგობრებს და უეცრად სხვა ქალაქში უწევდათ გადასვლა. მათი ცხოვრება false start-ს ჰგავდა. ჩაებმოდნენ შეჯიბრში და აღმოჩნდებოდა, რომ მამის გამო ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყოთ.

მართალია, „ულისემ“ მსოფლიო აღიარება მოუტანა, მაგრამ როგორც ეს მოგვიანებით გაირკვა, ირლანდიაში ებრაელების გარდა არავინ კითხულობდა. ერთხელ სამუელ ბეკეტს საგანგებოდ ჩამოათვლევინა იმ ნაცნობთა გვარები, ვისაც დუბლინში რომანი წაეკითხა. სამწუხაროდ, მათ შორის ირლანდიელი არავინ იყო. წესითა და რიგით, არც უნდა გაკვირვებოდა, სემიტებს „ულისე“ ასე რომ მოსწონდათ, რადგან ეს იყო რომანი ორი რასის — ებრაელებისა და ირლანდიელების — შესახებ, როგორც ამას ავტორი აღნიშნავდა, და შეიძლება თამამად ითქვას კიდეც, რომ ამ თხზულებაში ებრაელებისადმი გაცილებით მეტ სითბოსა და თანაგრძნობას გამოხატავდა, ვიდრე საკუთარი თვისტომისადმი. ამ უცნაურ გარემოებას ბიოგრაფიული ახსნაც შეიძლება, მოეძებნოს. როგორც ცნობილია, სამშობლოდან წასვლის წინ ჯოისს რამდენიმე ფათერაკი შეემთხვა — სტივენზ გრინზე თვალი რომ ჩაულურჯეს, გვერდზე მდგომი ირლანდიელი მეგობარი კოსგრეივი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და არც მიშველებია, მაშინ როდესაც მეორე ფათერაკის შემდეგ დუბლინის პარკში ნაცემს მამამისის ნაცნობი ებრაელი ჰანტერი მიეშველა, წამოაყენა, სისხლი მობანა და სახლში წაიყვანა. სწორედ ჰანტერი გახდა მოგვიანებით „ულისეს“ ერთ-ერთი მთავარი გმირის, უნგრული წარმოშობის ებრაელის, ლეოპოლდ ბლუმის, პროტოტიპი. ჯოისს ბევრი ებრაელი მეგობარი ჰყავდა, ისინი გვერდში ედგნენ როგორც ფინანსურად, ასევე სულიერადაც. ციურიხის კაფე ოდეონიდან ის ვლადიმერ ილიას ძე ლენინსაც კი იცნობდა. საგულისხმოა, რომ სწორედ ციურიხში ყოფნისას გაიზიარა ვიქტორ ბერარდის თეორიაც ოდისევსის სემიტობის შესახებ. მწერალი არ ეთანხმებოდა შეთქმულების თეორიის მომხრეთა თვალსაზრისს, რომ ინგლისი ვითომდაც ებრაელთა ხელში იყო. ჯეიმზის ლიტერატურული ორეული სტივენი ასე პასუხობს სკოლის დირექტორ დიზის, რომელიც უმტკიცებდა, ყველაფერი ებრაელების ხელშია, მნიშვნელოვანი თანამდებობებიც, ფინანსებიც და პრესაცო: „ვაჭარი, თქვა სტივენმა, განა ის არ არის, ვინც იაფად ყიდულობს და ძვირად ყიდის, გინდ ებრაელი იყოს და გინდ — არა?“

დიახ, ჯოისი თანაუგრძნობს ისტორიული სამშობლოდან განდევნილ სემიტებს და ამაში უჩვეულოც არაფერია, რადგან ებრაელი ხალხი უთუოდ იმსახურებდა წმინდა მიწაზე დაბრუნებას, რაც ნაწინასწარმეტყველებიც კი იყო (იხ. დანიელი, 12, 7). ჯოისის შემთხვევაში უჩვეულო ისაა, რომ საკუთარ თანამემამულეებს არ უცხადებდა სოლიდარობას. მეტიც, განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულ მეგობრებს ხან პრიმიტიულ „ციკლოპებად“ ნათლავდა, ხან კი — „შინაურ ბატებად“. თუმცა ერს, რომელმაც ვრცელი შვიდსაუკუნოვანი პერიოდის შემდეგ მიაღწია დამოუკიდებლობას, ალბათ დასაცინი არაფერი სჭირდა. ირლანდიელებმა გაუძლეს ყველაფერს — რეპრესიებს, სიდუხჭირეს, დამცირებას და მაინც ააშენეს წარმატებული ქვეყანა, რომელიც დღესდღეობით ეკონომიკური მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე მეშვიდე ადგილზეა მსოფლიოში. დიახ, ირლანდიამ გაიმარჯვა, გელური ენაც შეინარჩუნა და თვითმყოფადობაც. თავისებურად გაიმარჯვა ჯოისმაც, მანაც შეისრულა მიზანი, მოხვდა „ხელოვნების ზეიმზე“, თანაც ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ. თუმცა ამ გამარჯვებას ბედნიერება არ მოუტანია, თითქოს უხაროდა და არც უხაროდა ირლანდიის დამოუკიდებლობა. ხანდახან მოუნდებოდა, საკუთარ ვაჟთან ერთად დუბლინის ქუჩებში გაესეირნა, მაგრამ რაღაც აბრკოლებდა, ძველი წყენა თუ ბრაზი. ირლანდიაც უარყოფდა. არადა უკვე დაეწერა XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომანი ყველაზე გრძელი დღის შესახებ — „ულისე“; ამჯერად კი მუშაობდა „ფინეგანის ქელეხზე“, თხზულებაზე ყველაზე გრძელი ღამის შესახებ. გაგზავნა კიდეც პირველი თავები ამერიკაში, მაგრამ დაუწუნეს. ხანდახან მიაჩნდა, რომ მეგობრებიც ვეღარ უგებდნენ, თვალის ოპერაციების შემდეგ კი ნათელიც ბნელად ეჩვენებოდა, იქნებ ესეც ღვთის სასჯელი იყო?..

## ცუდი წარმოდგენა

წარმოიდგინე ამ ცაზე ამაზე უფრო შავი მზე:
შოთა მეჭურჭლეს უწყალო უარი ეთქვა შაირზე;
ეკითხა: რად ავირიო იარაღი და სამიზნე —
რას არგებს ლარის მაძებარს მუზების დევნის ავი ზნე?

ნუთუ სახელი ან სხვა რამ მოსახვეჭელი მაკლია?
ნათესავი და ჯალაბი შემოსილი და ნაყრია;
სადგომიც — არა ეტრატის — ქვისა და კირის სახლია...
ხოლო — შარიც რომ არ იყოს — შაირობაში რა ყრია?

კვლა ეთქვა: ახლა საჩვენოდ მომართულია ღვთის ნება:
ლარსა ითვლიან ლაშქარნი — სალარო ისე ივსება.
მაგას განკარგვაც ხომ უნდა — იგივე, რაც ათვისება?
მეფეც იმოყვროს, გლახაკიც — ესა ჰქონია თვისება.

დამხვავებია დავთრები — ვერაფრით დამიცალცალდა;
გასხლტება ეშმა-შეცდომა ხან აქ, ხან იქ და ხან სადა;
საღამოს ლამის მიმიღოს მიწამ — მიწად ან
ცამ — ცადა...
აი, ასეთ დროს მოუნდათ ქება წარბთა და წამწამთა.

ნახეს უცხო მოყმეც ბევრი, მაგრამ ვერვინ —
მორუსთველო,
მომაკითხეს — ისურვაო — ლექსის სთველი
მოუსთველო...
აწ მირჩიე, თავო ჩემო — საღო და არმოუსვლელო —
ხომ არ მოგიავადმყოფო, თუნდაც — მოგიმოუცლელო?

იქნებ ჯობდეს, მბრძანებელი უარისთვის
განმირისხდეს —
მიყიოდეს, მაყივნებდეს, რაცა სწადდეს —
ამინ — ის ხდეს —
ვიდრე ნაწერს განსაკვეთად მთლად სამეფო
კარი მისდგეს? —
იქ ამბავი დატრიალდეს — ავტორსა და ვაი მის დღეს!

განაქიქონ ისე, თითქოს წაეკითხოთ ასო-ასო,
თან შენთანაც ხელი ჰქონდეთ, შაირობის არსის არსო.
დაადგინონ: მოჰქცევია ავად ზეცის საჩუქარსო —
ოდენ წყალი დაუნაყავს — რაიც ძლიერ საწუხ არსო.

ანდა კიდევ უარესი — მჯდომმა მთავარ საინახოს
ყმის ოდაში საჩოთირო მიჯნურობა დაინახოს;
იქით ლექსი შეიბღალოს — აქეთ გული გაილახოს —
ჰგავდეს — დანას წამოეგოს ან როდინში დაინაყოს.

კიდეც რომ მოიწონებდეს, დარი მომხდარა
სად რა როს —
მიჯნურის გული შაირით მოეგო მიჯნურს საბრალოს...
ვერცრა შევმატო საწადელს, ხელიც მოვაკლო
სალაროს —
თაგვი გაუჩნდეს ოხერი — ლარი ხრას, არაამრავლოს.

მგოსნის დიდებამ, რომელიც თან არ არი და თან არი,
წამომიშალოს მოყელე, გულხენეში და თვალნარი —
მაოტონ — უკან დამირჩეს მშობელი ღელე-მთა-ბარი,
იმის უკან კი — სახელო, მიჯნურობა და თამარი...

ანუ თუ სულაც მომკერძოს უარმა დილეგ-ბადრაგი,
უეჭველია, თანხმობას ჭირი მოჰყვება ათმაგი...
ჯობია, სხვამ თქვას ლექსები — ჯანდაბას — ცოტა
ჯაგლაგი,
სასიძოებმაც იკმარონ ჩახრუხაძე და ჭადრაკი...

. . . . .
ეპილოგს ისევ მე ვიტყვი — ამ წარმოდგენის მოთავე,
ვისი გული და გონებაც ძველი დილემით შფოთავენ:
ვინ იცის, მართლა რამხელა შარში ვიყავით ორთავე —
რას გადავურჩით მერე ჩვენ და გადაურჩა შოთა ვერ. —

რაკი, ვინ იცის, იმანაც — ფიქრის სანახებს
გაჰყვა რო —
შენ დაგინახა ბოლოში, ცაო — მზეშავადგამხმარო, —
იფიქრა — რა ვქნა — არა ვქნა — ვერა ვქნა — სულიც
გამყარო...
დაჯდა და შექმნა ახალი წიგნი, ქვეყანა, სამყარო.

## ბოლო დროის აღმოჩენები

სწავლა, შემჩნევა, აღმოჩენა — სიბერემდეო —
მართალი უთქვამს, ვისაც უთქვამს,
განა ბოდვაა.

შენ, მაგალითად, ამ ბოლო დროს აღმოაჩინე,
რომ ასე ცოტა წამია წუთში,
საათი — დღეში,
დღე — კვირაში,
კვირა — თვეში,
თვე — წელიწადში,
და წელიწადიც ასე ცოტაა.

სწავლა, შემჩნევა, აღმოჩენა — სიბერემდეა.
იქნებ სიბერეც არაერთი ამბის კარია...

ეგ არის — თითქოს, ბოლო დროის აღმოჩენები
ადრინდელივით არ გიზიდავს, არ გაოცებს,
არ გიხარია.

## კონტრქადაგება

ასე —
ყველას უყურებდე, ყველას უსმენდე,
ყველას უგებდე, ყველა გიყვარდეს —
გაგიჭირდება, დაიტანჯები, გაგიჟდები,
ღმერთო.

ჯობს — შეარჩიო, აირჩიო, გამოარჩიო.
თქვა, როგორც ადრე ბევრჯერ გითქვამს
ან მოგაწერეს:
ჩემი რჩეული!

ამას შეუერთდე,
იმის მხარე დაიკავო,
ვინმეს დროშა ააფრიალო.

ან საკუთარი ლოზუნგი ამართო
და საკუთარი აქცია გამართო —

მხარს თვითონ დაგიჭერენ,
შეგიერთდებიან,
შეგეტმასნებიან,
შეგეტენებიან.

იტყვიან —
ოო, ეს რაღაც ახალია, ვიღაც ახალია —
ძველებს კი არ ჰგავსო...

იტყვიან —
ოო, ეს კარგად ნაცნობია, ეს საიმედოა —
ახლებს კი არ ჰგავსო...

იტყვიან...
რამეს მოიფიქრებენ —
ოღონდ კი მხარი დაგიჭირონ,
შეგიერთდნენ,
შეგეტმასნონ,
შეგეტენონ.

ავსაც იტყვიან — ნუ გეშინია,
მაგრამ შენ მაგის ნუ გეშინია —

მთავარია — მარტო არ დარჩე
საკუთარ მზერასთან,
საკუთარ სმენასთან,
საკუთარ გულთან,
საკუთარ სიყვარულთან.

და ამის გამო
უთვალავად არ დაირღვე,
არ დაიყო,
არ დაიწეწო.

მაშ,
შეარჩიე, აირჩიე, გამოარჩიე,
თქვი, როგორც ადრეც ბევრჯერ გითქვამს
ან მოგაწერეს:
ჩემი რჩეული!

და ასე შემდეგ
ანუ ისე —
როგორც ტექსტშია...

ჰო, თორემ, აბა —
ყველას უყურებდე, ყველას უსმენდე,
ყველას უგებდე, ყველა გიყვარდეს —
გაგიჭირდება, დაიტანჯები, გაგიჟდები,
ღმერთო.

დამიჯერე. დამეჯერება.

## ვერ მოვასწარი

აკი ვამბობდი,
რამდენ ხანს ვამბობდი,
როგორ დაჟინებით ვამბობდი:
მოვასწრო, სანამ დროა —
გავიქცე.

ამდენი
კარია, ფანჯარაა, ჭუჭრუტანაა:
დანა, თოკი, საწამლავი,
ტყვია, მდინარე, მაღალი სართული,
ავტომობილი, ავტობუსი, მატარებელი...

აირჩიე, სულო და გულო,
სულო და კისერო,
სულო და ყელო,
სულო და შუბლო,
სულო და კუჭო,
სულო და ღვიძლო,
სულო და ფილტვო,
სულო და ტვინო,
სულო და ხორცო,
სულო და ძვალო...

არ ვქენი. ვერ ვქენი —
ვერ გავიქეცი მხდალივით —
ვაჟკაცობა არ მეყო.

ამანაც —
დამიტოვა.

ჩაკეტა, ამოქოლა იმდენი
კარი, ფანჯარა, ჭუჭრუტანა...
ამოწუწნა სურვილები,
ჩაღრღნა გრძნობები...

და ახლა
თვითონ
როცა და როგორც მოუნდება,
მაშინ და ისე
მომიღებს ბოლოს.

## აუცილებლად მოვკვდები

უკვე მჯერა, რომ მოვკვდები.
მოვკვდები, აბა, რა იქნება.
ასეთ ღალატს ვინ გაუძლებს?

ადრე თუ მარტო მეორე მეს ვერ ვეწყობოდი,
მეწყობა უკვე ვეღარაფერი.
ყველაფერი თავისკენ მიიწევს.
ყველაფერს სულ უფრო და უფრო სწყინდება

ერთად და თანხმობით
ცხოვრება და მოღვაწეობა.

გულზე და კუჭზე და თირკმელზე რაღა ვთქვა —
როცა ტვინიც კი შეეგუა, რომ უნდა მოვკვდე.
ან — თავს იკატუნებს — ვითომ შეეგუა —
ანუ — ჩამოკრავს საათი და
ვნახავ მაგის დაფეთებასა!

მით უფრო, რა ვთქვა
ჩემს ცალკეულ მოლეკულებზე?
მოლეკულებს რა ენაღვლებათ —
დაიშლებიან, შეერთდებიან,
შეერთდებიან, დაიშლებიან...

ხოლო ატომთა ხსენებაც არ ღირს —
მაგათ სულ ჰკიდიათ —
მოვკვდები, დავრჩები —
თვითონ ყველა შემთხვევაში იარსებებენ.
ატომს ვერ მოსპობ,
ატომს ვერ გახლეჩ...
გახლეჩ და —
კარგი დღეც დაგადგება!

ჰო, ერთი სიტყვით,
ისე გამოდის,
მარტო ვდარდობ და
მარტო კიდევ აბა რას ვიზამ —

მოვკვდები, აბა რა იქნება.

### ხსნისფერი

აქამდე ვერ გახდი ასეთი.
ამის მერე რაღას გახდები.

რაღას გახდები მიმიკრიის გარეშე.
მიმიკრია გადაგარჩენს.

დაემსგავსე
ასფალტს, ლოდს, ჰაერს, ჩვეულებრივ ადამიანს.
და გადარჩები.

ვიდრე
მანქანით გადაგივლიან, როგორც ასფალტს,
კედელში ჩაგატანენ, როგორც ლოდს,
კვამლით გაგბუღავენ, როგორც ჰაერს,
მოგკლავენ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს.

### ნიშნი
### ერთი პიროგით

მაინც გაჯობე, ცხოვრებავ:

აი, თვალებში გიყურებ,
სწორად და საღად აღგიქვამ,
მით უფრო — გიჟი არა ვარ,
ვარ — მით უმეტეს — ცოცხალი.

თუკი რამე არ მეშლება:

თუკი თვალი არ მატყუებს,
თუკი მრუდედ არ აღგიქვამ,
სულაც გიჟი თუ არა ვარ,
საერთოდ, თუ ვარ ცოცხალი.

### არ ვიცოდი

მე რა ვიცოდი —
გულს მალავდი ქანდაკი მკერდით,
ოქროს ბუდეში მტრედივით ძგერდი —
მე რა ვიცოდი, თუ იყავი,
ეს თუ იყავი.

უძვირფასესი
კი არ გესვა კენჭი ან მინა —
თვალებს ეკავა თვალების ბინა —
მე რა ვიცოდი, თუ იყავი,
ეს თუ იყავი.

მე რომ მცოდნოდა,
რომ იყავი, ეს რომ იყავი —
გარეთ — არაკი, შიგნით — იგავი,
მე რომ მცოდნოდა,
მზეს იტევდი
მთვარის სპეკალი —

უკლებლივ ყველა
გზას, რომელმაც შენ აგიარა,
ზურგს შევაქცევდი —
რომ სხვას კი არა —
უსასტიკესი სიყვარულით —
შენ მოგეკალი.

### ღალატი

მესიზმრე — სადღაც შემოვრჩით
მე და შენ, ერთად, მარტონი.
მერე რაც მოხდა — მიხვდები —
შენი თვალ-ტანის პატრონი...

როცა ავდექი — ამყევი,
სადაც წავედი — წამყევი.
იშმუშნებოდა ქალაქი —
მთელი იმ ღამის ნარყევი.

შენი ფერებით გამთბარი
სიზმრის საგზალი მერგო რა —
ჩიხი — გზა,
ქარი — ნიავი,
ქვეყანა — კარგი მეგონა...

კიდეც შემომხვდი, როდესაც
შენი კანისფრად შებინდდა.
გიღიმი, როგორც შეთქმული
იმ ღამის შეთქმულებიდან.

შენც შემომხედე — თვალებით
სიცივისწამწამნაფენით...
აისე, თითქოს ჩვენ შორის
მომხდარა არც არაფერი.

### წინდახედული

მშვენივრად ვიცი, ჩემო —
ტყუილად არ ხარ
ხელთუქმნელი,
მზეთუნახავი,
გონ- და იგავმიუწვდომელი —

მშვენივრად ვიცი, ჩემო,
რომ ჩემობის
წკიპზე კიდიხარ —

მშვენივრად ვიცი, ჩემო —
ერთხელაც ერთი შეცდომა და —
გაქრები, როგორც
ტკბილი სიზმარი — გახელილი თვალებიდან,
ოქროს თევზი — მოუქნელი თითებიდან,
უცხო ჩიტი — უკარო გალიიდან.

მაგრამ მე მაგის ჩიტი არა ვარ,
ერთხელაც
ეგ შეცდომა დავუშვა —

ერთხელაც
ცხადში მოვიდე და გითხრა:

გამარჯობა,
დიდი ხანია, მინდა
შენი გაცნობა.

## ფაზლი (4)

•
შენ იქნებ ფიქრობ,
ამ ქალაქში
ყველას სჯობიხარ.

ახლა მე მკითხე,
ყველას მჯობო
ამ ცისქვეშეთში.

•
ღმერთო,
რა ლამაზი ხარ!

უფრო სწორად —
ქალღმერთო!

•
შენი ცქერა არ შემარგო —
ახმიანდი, ფარშევანგო!

•
ჩემი ოცნების ყვავილებო, ძველი ოცნების,
ჩამომჭკნარებო, ფურცელ-ფურცელგაძარცვულებო,
— დრო დაგიდგაო სანატრელი — მოდი, გნებდები! —
ყვავილნარიდან, მინდვრებიდან, გზისპირებიდან
რომ შემომძახით —
თქვენ მე ცელი ხომ არ გგონივართ?

•
იქნებოდა განა ყოფიერება,
რომ არ იყოს განაყოფიერება?

ელირება განა ყოფიერება,
რომ არ იყოს განაყოფიერება?

•
ეს — ენძელა,
ეს — ღიღილო,
ესეც — ია, —

დაამზადე
გაზაფხულის
ესენცია!

•
— ნახე, ელვამ რა ქნა?
— მგონი, გაიკლაკნა.
— არა.
— აბა, რა ქნა?
— გაიკლაკლაკლაკნა!

•
საიდან გაჩნდა ეს სამყარო?
რაა სიცოცხლე? —

ზოგი კითხვაა —
რომც უპოვო,
პასუხს ვერ იტანს.

•
თავიდან ჟონავს —
სად ყოფილა, ნახე,
სიბერე.

•
...გული მაინც
არ გაგისკდა,
არ გაგიხმა,
არ დაგეზრო...

გაუსაძლისს გაუძელი —

ვერ შეძელი,
არ გაგეძლო.

•
ასე მთლად ყველა როგორ კვდებით —
შეთქმულებივით.

უკვე მგონია,
ბოლოს მეც კი ამიყოლიებთ.

•
ეგ ვინ გიგდია?!

შენ ხომ ძილისაც კი არ გეშინია,
რომელიც იქნებ მშფოთვარეც იყოს,
უძილობანარევიც იყოს,
ავსიზმრიანიც...

ჰოდა, აბა,
ვინ გიგდია
სიკვდილი?!

•
მანდ, ზევით რა ამბებია?
აქ ყველაფერი რიგზეა:
იკვლება ნატერორალი,
ნამიწისძვრალი იქცევა...

•
არსებობს! —
სხვა ვინ შეძლებდა,
ეწამათ
არარსებული?

•
„რომ გამიქროთ მარტოობის სევდა,
ადამ, ევა, აბელ, ციცი, ნოდარ...
ამიტომაც გქმენით სახედ ჩემდა“.

ღმერთი ბჭობდა. კაცი იცინოდა.

### სერიული ეჭვმიტანილი

წყალდიდობისას,
მიწისძვრისას,
ხანძარში,
ომში —

თვალებში,
გულში —

შენ შეგამჩნიეს.

### ხისმჭრელის მაჯამა

ეს ლამაზი ალვა
ღირდა გვერდის ავლად.

ახლა წვა და ალვა
გადააქცევს ავლად.

გიორგი შერვაშიძე

ეგ დრო იყო, რა, ოთხმოცდაათიანები... მაშინ ასე დაჩაჩანაკებული კი არ ვიყავი?! ეჰ, ეჰ, ეჰ, აი, აქეთ მხარეს პაჩტოვი ნაგანი მეკიდა, აქეთ კიდევ — სტეჩკინი. ტანზე სამხედრო ფორმა მეცვა და მხარზე კალაშნიკოვი მქონდა გადაგდებული. შუბლზე ბენდენა მეკეთა და თავზე კი — რეიბანები. კაროჩე, მაგრა საკაიფოდ გამოვიყურებოდი და ნაშებიც ეცემოდნენ. იცი, რამდენი ქალი მყავდა? ვინ დათვლის. ვინც თავისით არ მეძლეოდა, ძალით ვიმორჩილებდი. იარაღი მე მეკიდა და ზურგს კიდევ ბიჭები მიმაგრებდნენ. იცი, როგორი სახელი გვქონდა? ყველაფერს ვაზანზარებდით... შენ იცი, საერთოდ მხედრიონელობა რას ნიშნავდა? არ გინახავს და მაგიტომაც აზრზე არა ხარ. ერთი დიდი საძმო ვიყავით, რა. თავიდან, ეგ დაჯგუფება რომ შეიქმნა, მე მაშინ სხვა პონტში ვიყავი და ქუჩურს ვაწვებოდი. მერე ძმებმა მითხრეს, წამო, შევიდეთ, მაგარი პონტიაო და მეც გავყევი. შავნაბადაზე ბაზა გვქონდა და მთელი საბრძოლო ტექნიკა, ტყვია-წამალი იქ ინახებოდა. თათბირები კიდევ ვერის ბაღში, ჭადრაკის სასახლეში, იმართებოდა. იქ ისეთებს ბაზრობდნენ, რომ საქვეყნოს და მე კიდევ, სიმართლე გითხრა, ეგ სულ ყველაფერი მაგრა მეკიდა. ჩემი ინტერესი თოფის სროლა, ფულის შოვნა და ნაშების ჩალიჩი იყო. ჩემნაირები კიდევ არც ისე ცოტანი იყვნენ. არა, ისეთებიც, იდეინებიც იყვნენ. აი, რომ სჯეროდათ, საქვეყნო საქმეს ვაკეთებთო და თავს წირავდნენ. ზოგი აფხაზეთში მიდიოდა და ზოგი კიდევ — ოსეთში. მე ეგეთებთან არ ვძმაკაცობდი, რადგან ეს პატრიოტული თემები თავიდანვე მეკიდა. უბრალოდ, ვგრძნობდი, რომ ჩვენი, კაი ბიჭების დრო დგებოდა და უნდა მესარგებლა. პატარა კამანდა შევქმენით, რა, მე და ჩემმა ძმებმა და, აი, ისეთებს ვჩალიჩობდით, რომ ბევრს არ დასიზმრება. ტიპები ფულის საშოვნელად ხან სამეგრელოში დარბოდნენ და ხან იმის იქით, ჩვენ კიდევ აქვე, თბილისში ვჩალიჩობდით. თავიდანვე შევთანხმდით, რომ მაგარი ძერსკი საქმეები უნდა გვეკეთებინა. ექვსი კაცი ვიყავით, რა და ორი მანქანით ვმოძრაობდით. ერთი კრემისფერი ნოლსემი და ერთიც თეთრი ნოლძევიტი. რაციები და ფიშტოები... რას ამბობ, ტო, მთელი ამბავი გვქონდა... უბანში რომ შემოვვარდებოდით, ყველა სახლში შერბოდა. იმალებოდნენ და იკეტებოდნენ. ჩვენ კიდევ მუსიკას ავუწევდით, გავიჩხერდით და მიდიოდა გულაობა. უბნის პატარა ბიჭები სულ დაგვდევდნენ, მასროლინე და მასროლინეო. თავს ძაან რომ მომაბეზრებდნენ, დავაი და ისროლეთ-მეთქი. გადავუტენიდი ავტომატს და დავაკაკანებინებდი. მაგრა უსწორდებოდათ. თან ეშინოდათ, ვინმემ არ დაგვინახოსო. არადა, ვის უნდა დაენახა? ძაღლებს? აუ, ეგენი ისეთ დღეში გვყავდა, რომ კურდღლებივით დავდევდით. აზრზე ხარ, ერთხელ ერთი ჩვენიანი დაიჭირეს, რა. იმის და, თამრო მოვარდა, მიშველეთ, მალხაზა ძაღლებმა რეიდზე გააჩერეს და განყოფილებაში წაიყვანესო. ეს ჩემისა, თურმე, ისეთი მთვრალი ყოფილა, პირში ენას ვერ ატრიალებდა. აბა, სხვანაირად ხომ ეტყოდა, მხედრიონელი ვარ და დაიშალეთო. ხელის ხლებას ვინ გაუბედავდა, მაგრამ ეგეც ვერ შეძლო. ამ გოიმებმაც ვერ იცნეს და განყოფილებაში გადაიყვანეს. ეგრევე მანქანებში ჩავხტით და წავიდა რაციაზე ინფორმაციის გადაცემა, ძაღლები გაბლატავდნენ და ჩვენიანი აიყვანოს-თქო. ათ წუთში მილიციასთან ვიყავით, ალყა შემოვარტყით და ვყვირივარ, გამოდით, თქვე ბოზებო, ყველა უნდა დაგხოცოთ-თქო. აუ, ძალიან მაგარი დრო იყო, რა. ისინი კიდევ იმალებიან. გესმის, იქიდან ცხვირს არ ყოფენ. მაშინ ავტომატის ერთი ჯერი მივუშვი და ფანჯრები სულ ჩამოვიღე. მერე ინებეს და მაგათი უფროსი თეთრი ცხვირსახოცით გამოვიდა, რა გინდათ, ბიჭებო, რას გვერჩით, რა დაგიშავეთო? აი, შენი ბოზი დედა, რომ ასე და ისე მეთქი, და ეგრევე კონდახი თავში... შენ ვინ მოგცა მაგის უფლება, რომ ჩვენ ძმაკაცს იჭერ და აპატიმრებ-თქო. აუ, იმან იქ ტირილი დაიწყო, არ ვიცოდით და დიდი ბოდიშიო. სულ მუხლიჩოქა დადიოდა. ახლავე გამოვუშვებთ და ამ ჯერზე გვაპატიეთო. მაშინ რა ვიცოდი, რომ დროება შეიცვლებოდა და ეს ნაბოზვარი ისევ ჩვენ ბიჭებს დაუწყებდა დევნას, თორემ ტვინს ხომ იქვე გავასხმევინებდი?! მაგრამ ვერ ვისაიმე. კარგი, ბიჭი გამოუშვი და თქვენი დედაცთქო. მაგრამ დავსაჯე. იცი, რა ვუქენი? აუ, ძაან მაგარი. მთელ განყოფილებას იარაღი ავართვით. მაგრა გაუტყდათ, ჩვენ რაღა ვქნათ, ყაჩაღები რითი დავიჭიროთო, და მე, იცი, რა ვუპასუხე? მაგარი შუტკა! მერე მთელი თვე მაგაზე ვღადაობდით: პეპლების, პეპლების საჭერით დაიჭირეთ, თქვე ნაბოზრებო-თქო...

მისმენ? მისმენ, ბიჭო, თუ გძინავს? აუ, ჩემი, როგორ მინდა, სიგარეტი მოვწიო. მორფი ვაბშე დაგლიჯავდა, მაგრამ ექიმმა, ეგრე რომ გააგრძელო, დაიბრიდებიო. არადა, მგონი, ეს დედაარღნიანი ისედაც ვიბრიდები და... გუშინ ფილტვიდან ორი ლიტრი წყალი ამომიღეს. ნაღდად არ მეგონა, თუ გადავრჩებოდი, მაგრამ მტრის ჯინაზე კიდევ დიდხანს უნდა ვიცხოვრო და გავატრაკო. ჩვენი დრო კიდევ დაბრუნდება და ავტომატსაც მხარზე კიდევ გადავიკიდებ. დედას ვუტირებ, იმდენ ფულს ვიშოვი, რომ სასახლეს ავიშენებ. მაიცა, ჯერ ეს ნახატი გავყიდო. იცი, როგორი ძვირფასია? თუმცა, შენ საიდან უნდა იცოდე. ისე, რა კაცი ხარ, ვერ გავიგე, მხედრიონი შენ არ იცი და ანტიკვარში შენ ვერ ერკვევი?! გამაგიჟებ, რა. ჰოდა, ანტიკვარზე გამახსენდა... კაროჩე, იქ, იმ დროს, ყველა თავისას აწვებოდა და ჩალიჩობდა. ზოგი ზვიადის გაიძახოდა და მაგას დასდევდა, ზოგი კიდევ პირიქით, მაგის მოწინააღმდეგე იყო და მაგისიანებს ებრძოდა. სრული ანარქია სუფევდა და თან ყველანი საქმეში იყვნენ. ჩვენც, საბურთალოელებიც, ვაკელებიც და მთელი საქართველოც, რა. შენ არ იცი, ტიპები ხელს რაზე აწერდნენ! გასტრონომებს აყაჩაღებდნენ და ბენზაკალონკებს. ჩვენ ვაბშე სხვა დონეზე ვიყავით. დელეცებს დავდევდით და ფულს ვახევდით. წილებში ვუჯდებოდით და ყველა გოიმი მაგარ ტერორში გვყავდა. მარტო უბანში კი არა, იმენნა მთელ ქალაქს მოდებულები ვიყავით. მაგრამ ჭკვიანურად ვიქცეოდით. ეს მანქანების გატაცებადავაზვრატება და სახლებში შევარდნა რომ მოძველდა, სერიოზული საქმე ჩავიფიქრეთ. ჰო, უსერიოზულესი. მუზეუმი დავაყაჩაღეთ, ტო, ხუმრობ?! აი, ეგრე რა, ერთ ღამეს კარი გავტეხეთ, შევვარდით და იქაური დაცვა დავაყენეთ. ერთს ფეხებშიც გავუტარეთ და მერე ნახატებს დავერიეთ. ერთი გვახლდა რა, ჩვენი ძმა, ცხონებული სერგი, პრაფესორას ვეძახდით. ყველაფრის აზრზე იყო, რა, ძვირფასის და ისეთ პონტში... ადრე სადღაც სწავლობდა და ხელოვნების ნიმუშებში მაგრა ერკვეოდა. ეს აზრიც მაგას მოუვიდა, წამო და ხელოვნების მუზეუმი დავბომბოთო. იქ რამდენიმე ისეთი ტილოა, ეგრევე მილიანერები გავიჩითებითო. ბაზარი არაა-თქო და მივყევით. ადვილზე ადვილი იყო. ისე, ჯერ თავიდან, მეორე, ისტორიის თუ ეთნოგრაფიის მუზეუმის წაღება გვინდოდა. იქ ოქროს ფონდია და ეგეთები, არ გამოვიდა. ორი დღე ვუთვალთვალებდით, მაგრამ იმათ მორიგეობები ჰქონდათ დაწესებული და თითქმის იქ ცხოვრობდნენ. არადა, განა ვინმე სერიოზულები იყვნენ?! არა, ტო, ჩვეულებრივი მუშაკები. ვინც იქ მუშაობდა და მაგათი რამდენიმე დაცვა. თან ადგილიც ხელს არ გვიწყობდა. ზედ რუსთაველზე და თან მთავრობის სახლის წინ. იქ კიდევ სულ სროლები და უბედურებები ხდებოდა. ვინ ვინ იყო, ვერ გაარჩევდი. ჩვენ კიდევ ცოტა უფრო მოტეხილი და ნაკლებად დაცული ადგილი გვჭირდებოდა.

მისმენ თუ არა? შენი ვერაფერი გამიგია! ოეეე, გამოფხიზლდი! ჰოდა, რას გიყვებოდი? ვახ ჩემი, ეს სუნთქვა როგორ მიჭირს და ლოგინიდან წამოწევაც აღარ შემიძლია. ამის დედა ვატირე, სუდნოს რომ კაცი მიეჯაჭვები, გათავებულია შენი საქმე. არა ჯობდა, მაშინ, არეულობისას ვინმეს მოვეკალი? მაგრამ არა, იმათ ჯიბრზე კიდევ დიდხანს უნდა ვიცოცხლო. ჰოდა, რას გეუბნებოდი... შევედით იმ მუზეუმში, დავითრიეთ ეს ნახატები და წამოვედით. იმენნა დავფრინავთ, ისეთი ბედნიერები ვართ. ეს, სერგი, ბაზრობს, ეს სურათები უნდა გავაქროთ და საქართველოდან გავიტანოთო. მე კიდევ ვეუბნები, მაიცა, ძმაო, რა გავიტანოთ, აქ ერთი მაგარი ბარიგა ვიცი, ვინც ეგეთებზე ჩალიჩობს და ის გაგვაყიდინებს-მეთქი. ზუსტად მაგ კაცმა ჩემს მეზობელს ვერცხლის კოვზები და რაღაც სერვისი მაგრა საკაიფოდ გააყიდინა. იმან კიდევ, არ გამოვა, ამ სურათებს ბევრი კუდი მოყვება და დიდი ხმაური ატყდებაო. კაროჩე, მაგრა ვისპორეთ. ღამის ერთმანეთს ხელითაც შევეხეთ. ბიჭებმა გაგვაშველეს. ზოგი მხარს იმას უჭერდა და ზოგი — მე. მაშინ დავაი და კენჭი ვყაროთ-მეთქი. აი, როგორც არჩევნებშია, რა?! ხმა მივცეთ და რაღაც ეგეთები. თან ესეთი ზახოდები მაშინ მაგარ მოდაში იყო. არჩევნები, რეფერენდუმი, გამოვეყოთ და შევყოთ... ყველას რაც უსწორდებოდა, იმას ყვიროდა. მერე პრეზიდენტმა სამეგრელოში მოხია და მერე ვაბშე გროზნოში. ესენი კიდევ ნადირივით დასდევდნენ. თუმცა, ეგ რა შუაშია. მე სულ სხვა რაღაცას გიყვებოდი. კაროჩე, ორმა იმას დაუჭირა მხარი და ორმა — მე. გავიჭედეთ და მაშინ მძღოლი გამახსენდა. ერთი ჩვენი უბნელი. ვაბშე არ იცოდა, რომ საქმეზე მიგვყავდა. დავსვით, რული ატრიალე და კითხვები არ დასვა-თქო. იმასაც მაგარი გაუსწორდა. პატარა ბიჭი იყო, გაიოზა და ლიჟბი, რული დაეტრიალა და სად აღარ წავიდოდა. ისე, წამალზე რომ ვმოძრაობდით, მანქანაზე სულ ეგ გვეჯდა ხოლმე. აბა, მერე გადაჩხერილზე ვის ქონდა მანქანის ტარების თავი. დავსვავდით ამ ჯიგარს, ჩვენ გავიჩხერდით და წავიდა. ხან თათრებში გადავდიოდით და ხან — ოსებში. ჰოდა, თავში დამარტყა და მაიცათ-მეთქი. ნიჩია არ გამოვა, შოფერიც ხომ საქმეშია-მეთქი? დავაი და იმასაც ვკითხოთ, რას ფიქრობსთქო. არადა, ტიპი საერთოდ სათვალავში არ გვყავდა — რამეს მივუგდებდით და ეგ იქნებოდა. ახლა კი უცებ როჟა გაიჩითა. აზრს ვეკითხებოდით. მივედით მანქანასთან და ის კიდევ ზის, მუსიკებს უსმენს და კაიფობს ჯიგარი. ჰა, ბიჭო, ჩემსკენ ხარ თუ პრაფესორასკენ-მეთქი და იმან, იასნია შენსკენო. არადა, რაზე ვკამათობდით არც გაურკვევია. პროსტა ჩემს ქვემოთ ცხოვრობდა და ისე ვუყვარდი, რომ მეთქვა, ჩემი გულისთვის მტკვარში გადახტებოდა... ეგრე იყო ეგ საქმე და ნახატები თბილისში დავტოვეთ. სერგის ერთი ნაშა ჰყავდა, მადლენა და იმის ბაითში შევინახეთ. ეს ქალი მხატვარი იყო და მთელი სახლი სურათებით გამოტენილი ჰქონდა. აბა, ვინ რას გაიგებდა, ეს ჩვენი ნახატები მაგისი დახატული იყო თუ სხვისა. ისე, ერთი კი დანარჩენთაგან აშკარად განსხვავდებოდა. იმათგან რა, რასაც ეგ ქალი ხატავდა. იმ სურათზე ვიღაც უკბილო ქალი ეხატა. ჰო, და, მგონი, კიდევ ვიღაც ჰერცოგი, რომელსაც ხელში მაყუთი ეჭირა. მაყუთი რა, ახლა დოლარები კი არა, ქისა ჰქონდა. რაც იმ დროს მოდაში იყო, რა. და კიდეც ვიღაც გოგო იყო, ღვინის ჭიქით. სერგი ღადაობდა, მადლენ, ეს ქალი შენა ხარო. იმასაც სმა მაგრა ევასებოდა. იმან კიდევ, თქვე გოიმებო, ეგ ცნობილი ტილოაო და რაღაც სახელი თქვა... პრანახი თუ მრანახი, ზუსტად აღარ მახსოვს, იმისი დახატულიაო. სურათს, მე მგონი, ხანუმა თუ მაჭანკალი ერქვა. ამის გულისთვის ყველანი მაგარ შარში გაეხვევითო. მე კიდევ ვეღარ მოვითმინე და, გაჩუმდი, შე ჩათლახო, ნუ გვთარსავ-მეთქი. პრაფესორას გაუტყდა, მაგის ქალს ეგრე რომ მივმართე, მაგრამ არაფერი თქვა. და იცი, რატომ? მართალი ვიყავი, ძმაო და მაგიტომ!

გძინავს? არა? მაშინ მოიხედე, რა უნდა გითხრა. ერთ დღესაც მივიყვანეთ-მაღლენას ბაითში ეს ჩემი ანტიკვარის ბარიგა ვალერა და ეს სურათები ვანახეთ. გასინჯა და გამოსინჯა. ატრიალა წინ და უკან. მერე გამადიდებელი შუშა დააძრო და ერთი საათი იმითი უყურა. ბოლოს კიდევ, აი, ამასო, ის დაჯღანული ქალი რომ ეხატა, ათი ათას დოლარად გაგაყიდინებთო და დანარჩენებს კი სამებშიო. მე ვუთხარი, ბიძია, შენ შიგ ხომ არა გაქვს, რაის ათი ათასი დოლარი, ეს ნახატები მილიონები ღირს-მეთქი. იმან კიდევ, იმ გოთვერანმა, მაშინ თქვენ თვითონ გაყიდეთო. გაიგე, რას მეუბნება? თქვენ თვითონო... ეგრევე ყელში ამომასხა და გადავტენე ავტომატი, ეხლა შენ განახებ სეირს-მეთქი. მართლა მსროლელი ვიყავი. ისევ სერგიმ არ გამიშვა. მაიცა, მოვიფიქროთო. ის ვალერა გავუშვით, სამ დღეში პასუხს გეტყვით-მეთქი. დავჯექით ყველანი და ვბაზრობთ. უცებ გარეთ ერთი ბათქა-ბუთქი ატყდა. აივნიდან გადავიხედეთ და რას ვხედავთ: ჩვენ მანქანასთან, ნოლსემთან, რაღაც გრუზავიკია გაჩერებული და იქიდან ტიპები ისვრიან. ამ ჩვენ შოფერს ასაცერებენ, რა. იმ ნაბოზრებს, ეტყობა, შიგნით ჩვენ ვეგონეთ. ჩამუქებული შუშები გვქონდა და ეს საწყალი არ გაასაღეს?! ჩვენ აქედან დავუშვით, მაგრამ გაგვასწრეს. დაბლა ჩავვარდით და რას ვხედავთ, საწყალ ბიჭს მანქანის კარი გაუღია, ცალი ფეხი გადმოუყვია და იქვე გათავებულა. მაგარი გაგვიტყდა. აზრზე ვერ მოვედით, ვინ უნდა ყოფილიყო. თითქოს ყველგან ჩვენი ძმები იყვნენ. მილიცია და გვარდია მაგას ვერ გაგვიბედავდა. ვისაც ჩვენ ვარბევდით, იმათ სითამამე არ ეყოფოდათ. დღემდე არ ვიცი, ვინ იყვნენ და ან რას გვერჩოდნენ... ეს საწყალი ბიჭი კი მოგვიკლეს და...

ორი დღეა, საჭმელი არ მიჭამია და მაგრა სუსტად ვარ. ეს გადასხმებიც, მგონი, საერთოდ არ მშველის... მოკლედ, გაიოზა დავმარხეთ და მაგარი ქელეხი გადავუხადეთ. ეზოში სეფა, საფლავი კუკიაზე და ოჯახსაც ცოტა ფული ვაჩუქეთ. მეორე დღეს კი ისევ სურათების გაყიდვაზე ჩალიჩი დავიწყეთ. არადა, იმ დღეებში გული სულ რაღაც ცუდს მიგრძნობდა. ტრაკით ვგრძნობდი, რომ დროება იცვლებოდა და ცუდი პალასა მოდიოდა. ყველაფერი ეგრე აგიხდეს... იმ ჩვენს ბარიგას ჩვენი სურათების ამბავი ვიღაც ტიპებთან მოუყოლია. გაიგე შენა და, ერთი კვირის თავზე უბანში ვიღაც მასტები დაგვადგნენ. წავიდა ბაზარი. თავიდან ვიფიქრეთ, ამ სროლების თემაა და ვიღაც მიხვდა, რომ დედიმისისა მიირთვა და ახლა, სანამ გაგვიგია, ვინ არიან და აბაროტი გვიჩალიჩია, შერიგებას ჩალიჩობენ-თქო. მაგრამ არა, იმათმა სულ სხვა ბაზარი გაუშვეს. კაროჩე, ვიცით თქვენი სურათების ამბავი და მაგ საქმით სერიოზული ხალხი არის დაინტერესებული. უნდა დაგვითმოთო, რა. ამას საზღვარგარეთ გაყიდიან, ფულს თქვენც შეგახვედრებენ და საერთო საქმესაც მოახმარენო. ერთი წუთით-მეთქი, ამათ ვეუბნები და ბიჭები გვერდზე გავიყვანე. ამათ იცნობთ-მეთქი? სერგიმ, კი, შორიდან ვიცნობ და მაგარი ბლატნოები არიანო. სერიოზული ავტორიტეტებიც უდგანან უკანო. ვახ, შენი დედაც-მეთქი. მე აზრზე ვერ მოვედი, ვინ იყვნენ და მერე რომ მითხრეს, მაგათ უკან რა ხალხიც იდგა, მივხვდი, რომ შარში ვიყავით. ან უნდა დაგვეთმო და გოიმებად დავრჩენილიყავით, ან უნდა გვემოქმედა. ჰა, რა ვქნათ-მეთქი და ბიჭებმაც — იარაღი ჩვენ გვიჭირავს, ამათ რა პონტში ვაბლატავებთო. კარგი-მეთქი... მაშინ დავაი და გავტისკოთ. ეგრეც მოვიქეცით. მივბრუნდით და ყოველგვარი ხმაურისა და სროლის გარეშე, თავები სულ კონდახებით გავუჩეჩქვეთ. ერთმა იარაღის ამოღება სცადა, მაგრამ ნაგანი შიგ ცხვირში რომ ვთხლიშე, ეგრევე გადაიფიქრა. ხო გეუბნები, ქალაქიცა და ქვეყანაც ჩვენი იყო. დავაი, აქედან დროზე დაახვიეთ-თქო და სულ პანღურებით გავისტუმრეთ. მერე იმ დღეს მაგარი დავლიეთ, გავიჩხირეთ და ნაშებიც ავყარეთ, მაგრამ თუ სწორედ მახსოვს, ეგ ჩვენი ბოლო გულაობა იყო. ერთად ყოფნის ვარიანტში, რა...

ეეე, იუზგარ, გაახილე რა თვალები, ყველაზე საინტერესო ახლა იქნება. გესმის? ჰო, და ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო. ეს ჩვენი ჩხუბისა, თორემ სურათებზე არავის არაფერი დასცდენია. აი, მანდ მივხვდი, რომ ეგ ნახატები მაგარი ღირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული იყო. ჩვენზე ნადირობა გამოცხადდა და სურათებზე კი არავინ არაფერი იცოდა. ჩვენებმაც კი ზურგი შეგვაქციეს და თავი შორს დაიჭირეს. არ მესიამოვნა. სერგიმ, მოდი, ამ სურათების ამბავი სხვებსაც ვუთხრათ, წილში ჩავისვათ და გვერდზე დავიყენოთო. მე კიდევ არ ვქენი. ბიჭო, რას ლაპარაკობ, ჩემ ფულზე მთელი საქართველო ვახეირო-მეთქი? და, ალბათ, რაღაცეები მართლა შეგვეშალა. ექვს კაცს, რაც უნდა არსენალი გვქონოდა და რაც უნდა ძერსკები ვყოფილიყავით, ყველას მაინც ვერ მოვერეოდით. ამას გვიანღა მივხვდი. სწორედ მაშინ, კნაჭა თემურა, გელაია და ბადრი მანქანაში რომ ააფეთქეს. გესმის?! ბიჭები ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ. დილით სახლიდან გამოვიდნენ, მანქანაში ჩაჯდნენ და დათქმულ ადგილზე რომ უნდა მოსულიყვნენ, ერთი დიდი „ბახ“ და აღარ არიან. სანამ ამ ამბავს გავიგებდით, ლამის ჭკუიდან შევიშალეთ. მე და სერგი ერთად ვიყავით... იმ ღამეს ორივენი მადლენას ბაითში დავრჩით. რაციაზე ვიძახებთ და არავინ გვპასუხობს. სახლში ვურეკავთ და იქაც სიჩუმეა. მერე ერთი მეზობლის ბიჭი მოვიდა და ეს ამბავი არ მოგვიყვა?!. ისე გავბრაზდი, რომ ამას, ამ ამბის მომტანს, კბილებში სტეჩკინის ტარი ჩავარტყი. იტყუები, შე ბოზო, ჩვენები ცოცხლები არიან-მეთქი. მაგრამ არ იტყუებოდა. მერე ტელევიზორშიც კი ანახეს ჩვენი თეთრი ნოლძევიტი და დიდი სისხლის გუბეები. მივხვდით, რომ უნდა დავთესილიყავით და თან რაც შეიძლება მალე. იმ ღამესვე ჩვენ ერთ ძველ ნაცნობთან ლოტკინზე ავედით. ეგეც მაგარი ნახიშტარი და მებრძოლი. საწყალი რაღაც პერესტრელკაში დაჭრეს და მაგის მერე კრესლოთი კატაობდა. ორი კვირა იქ ვიმალებოდით. ისევ ამ მადლენამ ივარგა. სერგია მაგრა უყვარდა და ყოველ დღე საჭმელი მოჰქონდა. ის სურათი მაგის დაქალთან შევანახინეთ. ისიც კაი ჩათლახის ერთი იყო, მაგრამ ჩვენ არ დაგვაღალატებდა. მერე ერთ დღეს ეს ჩვენი მადლენაც გაქრა და იმისი დაქალიც. კაცი გავუშვით მაგათ მოსაძებნად, ამ ჩვენი ძმაკაცის ახლობელი და ვერაფერი გაარკვია. უბანში მხოლოდ ის იყო გაბაზრებული, ვიღაცეები ბიჭებს მაგრა ეძებენო. სერგიმ აქედანაც დროულად უნდა მოვხიოთ, თორემ თუ მადლენა და მაგისი პადრუგა დაჭერილები ჰყავთ, ჩვენ ადგილსაც გაიგებენო. ჰოდა, პრაფესორამ, მაშინ კახეთში, ჩემ ბიძაშვილებთან წავიდეთ, იქ ვერავინ მოგვაგნებსო, ცოტა ხანი გავქრეთ და რომ გაირკვევა, ვინ არიან და რა უნდათ, მერე ვიმოქმედოთო. უკვე აღარავის იმედი აღარ გვქონდა. სიტუაცია ყოველღიურად იცვლებოდა. ვეღარც მხედრიონი იყო ისე ყოჩაღად, როგორც ადრე და ბიჭებიც სულ შემოგვეცალენ. რამდენიმე დღეში კი ვაბშე კანონგარეშედ გამოგვაცხადეს. ჰო, ჩვენც, მხედრიონიც და ყველა ძველებიც. ეხლა გინდ გულზე მხედრიონის მედალი გკიდებოდა და გინდ ქსივა გდებოდა, უკვე სულ ერთი იყო — ძაღლები პალაჟენიის დაყენებას იწყებდნენ...

გეხვეწები, მომისმინე და ეს ამბავი დამამთავრებინე, რა. ეხლა რაც უნდა გითხრა, არავისთვის მომიყოლია. ესე იგი, სერგიამ კახეთში ჯერ შენ დაგაზე და მე ცოტა ხანში დაგადგებიო. ეგ რა პონტში-მეთქი და იმან, მადლენა უნდა ვიპოვოო. წავიდეს ერთი მაგისი წაკლა დედაც-მეთქი და სერგიმ, დედას გეფიცები, მიყვარსო. ეგ კიდევ თუ რამეს იტყოდა და თან დედას დაიფიცებდა, ნაღდი იყო, აღარ გადათქვამდა. მე ისეთი შეშინებული ვიყავი, რომ აღარც მადლენა მაინტერესებდა და აღარც ის ნახატები. ერთი კი გავიფიქრე, ამ გოთვერნებმა არ გადამაგდონ და იმ სურათებთან ერთად საზღვარგარეთ არ მოხიონ-მეთქი, მაგრამ დავიკიდე. მაშინ საკუთარი ტყავი ყველაფერს მერჩივნა. მართლა ძალიან შეშინებული ვიყავი. აბა, როგორია, აღარც ბიჭები, აღარც მხარდაჭერა და თან ვიღაც უსერიოზულესი ტიპები დასაბრედად დაგდევენ. კარგი, ეგრე იყოს-მეთქი და კახეთში წავედი და იმან კიდევ მადლენას ამბების გარკვევა დაიწყო. ჩავედი მირზაანში... იქ ამისი, სერგის, ბიძაშვილები ცხოვრობდნენ. ადრე პატარა ბიჭები რომ ვიყავით, ქალაქში ჩამოდიოდნენ ხოლმე და ეზოში ბურთს ერთად ვთამაშობდით. ახლა კიდევ იმხელები იყვნენ, სადმე რომ შემხვედროდნენ, ვერც ვიცნობდი. ნაღდი გლეხები... აი, თავისი მეურნეობა, საქონელი, მიწები და ამბავი. კარგი ბიჭობისა არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ ეტყობა, ჩემზე რაღაცეები იცოდნენ და, ამიტომაც დიდი პატივით დამხვდნენ. ერთი კვირა გადაბმულად ვქეიფობდით და არ გამოვფხიზლებულვართ. ცხვარი დაკლეს, ქათმები ზედ დააკლეს და ეგეთი პონტები... ამ ჩემს ავტომატს ხან ერთ ძმას ვჩუქნიდი და ხან მეორეს. ისინი კიდევ არ მართმევდნენ. არაო, გესმის, იარაღი ეშმაკისააო და ჩვენი საქმე თოხი და ბარიაო. გადავირიე კაცი. ეგეთი ჯერ არავინ მინახავს, რომ იარაღზე უარი ეთქვას. როგორ, კაცო, ხელში ფიშტო დაიჭირო, სისხლი საფეთქლებში მოგაწვეს და ადამიანს ეს არ მოეწონოს? არ არსებობს... არ უნდათ და ნუ უნდათ-მეთქი. ერთ დღესაც ვიღაც მეზობლის დღეობაში წამიყვანეს. მეც ავდექი და ეს ჩემი სასროლები ავიყარე. ზედმეტი ყურადღება არ მინდოდა და ისე, ჩვეულებრივად წავედი. ქალაქურად ჩავიცვი, გავიპარსე და ეგრე სიმპატიჩნად ვეახლე. თურმე, იქაური მილიციის უფროსის ოჯახში არა ვარ?! იმისი ბიჭის დღეობაა. ის თვითონ, ნაჩალნიკი, მორიგეობაზეა, ყაჩაღებს დასდევსო. ხომ არ ვეტყოდი, აგერ ვარ და დაუძახეთ, ნუღარ წვალობს რეიდების მოწყობითმეთქი. ეზოში რაღაც უშველებელი საქეიფო ჰქონდათ მოწყობილი. შიგ სულ ქვევრები, ხანჯლები, რქები და სურათები ეკიდა. იქვე იყო ბუხარი და მარნის კარი. ეს ჩვენი ბიძაშვილის მეგობარი გეგიაო, ჩემი თავი გააცნეს. მეც თავი თბილისურად დავიჭირე და ზდაროვათ-მეთქი. არც მხედრიონზე და არც ჩემს ვაჟკაცობებზე ბაზარი იქ არ ყოფილა. თავიდანვე შევთანხმდით, რომ თავი არ უნდა გამემხილა. ატყდა შარაფი. მაგარი დავთვერი. ეგრევე რამსი ამერია. ამ ჩვენს იუბილარს უმცროსი და ჰყავდა. მაგარი ლამაზი გოგო. დედას გავდა, პროსტა ის უკვე ისე სვეჟად ვეღარ გამოიყურებოდა და ეს კიდევ სულ ქორფა იყო. თან ახალი გათხოვილი... მაგისი კამეჩივით ქმარიც იქ ეგდო. ვეღარ მოვითმინე და ამ შველის ნუკრს ერთი-ორი სიტყვა გადავუგდე. ისიც ლაპარაკში ამყვა. ვიფიქრე, ეგ არის და ამაღამ ეს ქალი ჩემი იქნება-მეთქი, მაგრამ მაგისი ქმარი თვალს არ გვაშორებდა. თვალები სულ, აი, ეგრე, დასისხლიანებული ჰქონდა და სიტყვა არ დაცდენია. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, რაღაც კაი ხასიათზე ვიყავი და შარი არ მინდოდა. თან დამბაჩაც თან არ მეგულებოდა და იყოს და იბღვიროს, ერთი ამის დედაც-მეთქი. მერე კი სმას რომ შევყევით, ცოტა ხნით ეს შველივით გოგოც გადამავიწყდა და მაგისი მოზვერი ქმარიც. და უცებ, ერთი სადღეგრძელოა და იცი, რა ხდება? ეს ჩვენი მასპინძელი დგება და, მოდი, ახლა ამ ჭიქით ნიკალას გაუმარჯოსო. თავიდან, ვიფიქრე, მამამისის სადღეგრძელოს სვამს და მე ძაღლებისას რა პონტში დავლევდი. თუმცა, მერე ყველა ფეხზე რომ წამოდგა და ლაპარაკი უცნაურად დაიწყეს, ცოტა დავიბენი. აბა, როდის იყო, ძაღლები ხატავდნენ და პატიოსნად ცხოვრობდნენ? ესაო, ისაო, ზდანევიჩები რომ არა, ეგ კაცი სულ გაქრებოდაო და ეგეთებს უბერავენ. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვისას ვსვამთ-მეთქი? გაეღიმათ, მაგრამ არა ისე, რომ მწყენოდა. არა, იარაღი რომ თან მქონოდა, იცოცხლე, იმათ დღეს დავაწევდი... ვაიმე, როგორ მტკივა ეს გვერდი. ღმერთო, შენ მიშველე... ჰოდა, ვისასო და ნიკო ფიროსმანაშვილისასო. ეგ ვინღაა, ვინმე აქაური ავტორიტეტია-მეთქი და იმათმა, ეგრეც შეიძლება ითქვას, რადგან ფიროსმანი წარმოშობით აქედან იყო და აქაური ავტორიტეტიც ეგ გამოდისო. თურმე, იმაზე არ იძახიან, აი, ის რომ დახატა, ქალი რომ ლუდს უბერავს. თან ესენიც გვარად ფიროსმანაშვილები ყოფილან... აუ, მივხვდი, რომ მაგარი გავბანძდი. სისხლი მომაწვა, მაგრამ მოვითმინე. მერე, უცებ, ეს ჩვენი იუბილარი ადგა, ბუხართან მივიდა. იქ, თავზე, რაღაც სურათი ეკიდა და იმის კუთხეს აკოცა. ეს, ჩემო მეგობრებო, ვინც არ იცით, დიდი ნიკალას ნახატია, რომელიც ჩემი პაპისგან მერგოო. გაიგე შენა, ფიროსმანის ნახატიაო. თურმე, იმ ცხონებულს პაპამისისთვის უჩუქებია, რა. ამათ კიდევ დაკარგული ჰგონებიათ და წლების შემდეგ სხვენში უპოვნიათ.მაგრა გაუხარიათ. მერე კიდევ ამბავს მოჰყვა — ეს ნიკალა ადრე სადღაც რკინიგზაში მუშაობდა, იქაც სულ რაღაცეებს ხატავდა და სამსახურს დიდად გულს ვერ უდებდაო. ერთხელაც, ხატვისას, თავზე უფროსი წამოსდგომია და ძალიან გაჯავრებია, ის სურათი კი, რომელიც დაეხატა, დაუხევია და გადაუგდია. ესა კიდევ, ნიკალა, ისე გამწარებულა, რომ ეგრევე ყელში წვდომია. ძლივს გაუშველებიათ და რომ უკითხავთ, რათა ჰქენიო, ამას უთქვამს, ამ ურჯულომ თამარ მეფის პორტრეტი დამიხიაო. ვაა? ეგ ამბავი მაგრა გამისწორდა — მეც ეგრე მოვიქცეოდი. მეტიც, იმ გასიებულ ნაჩალნიკს იმდენს ვურტყამდი, სანამ სულ სისხლს არ ვარწყევინებდი. მერე ეს შენი ფიროსმანი სამსახურიდან გაუშვიათ. ვიღაცეებს შესცოდებიათ და უთხოვიათ, უკან მიიღეთო და ასეც მომხდარა, მაგრამ სანამ დაბრუნებულა, ჯერ ისევ თავის დასთან, მირზაანში, ჩამოსულა. ცოტა ხანს აქ გაჩერებულა და სოფლის პეიზაჟები უხატია. ჰოდა, სწორედ მაშინ დაუხატავს ეს ნახატიც და ამ იუბილარის პაპისთვის უჩუქებია. მე მაგეებში, ნახატებში, ვერ ვერკვევი და ჩემთვის ერთი ჩვეულებრივი სურათი იყო. პეიზაჟს ნაღდად არ ჰგავდა. ქალები და კაცები ისხდნენ და ქეიფობდნენ. ეგეთი რამე მადლენასთანაც ბევრი მქონდა ნანახი და ამაში განსაკუთრებული რა იყო, ვერც მაშინ მივხვდი და ვერც ახლა ვხვდები. ისე კი, ამ სურათის ხსენებაზე ეგრევე ის ჩემი სურათი გამახსენდა და მაგრა ავიჭერი. სერგიამ და იმ დამპალმა მადლენამ უეჭველი გადამაგდეს და საზღვარგარეთ მოხიეს-მეთქი. გადამეკეტა. სწორედ მაგ დროს, გვერდზე ის ბუღა მომიჯდა — მე და შენ ვახტანგურად უნდა დავლიოთო. ვეღარ მოვითმინე და წადი შენი დედაც-მეთქი და ჭიქა სახეში შევალეწე. ატყდა ერთი ამბავი. მაგიდაზე დანა დავლანდე, ხელი დავავლე და მოვიქნიე. არ მომეკაროთ, დაგხოცავთ, თქვე ბოზებო-მეთქი. ამ დროს, უკნიდან, ვიღაცამ ისეთი მთხლიშა, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გავყარე. ბიჭო, იმ გოიმებმა დაბლა დამაგდეს და წიხლებით არ შემდგნენ!.. ისევ იმ ძმებმა, სერგიას ბიძაშვილებმა, ივარგეს და გადამეფარენ. სანამ ესენი ერთმანეთში საქმეს არკვევდნენ, გარეთ გამოვედი. პირზე წყალი შევისხი და ვფიქრობ — ამ ახვრებს ახლა სამაგიერო როგორ გადავუხადო. უცებ ვხედავ, ეს შველივით გოგო მოდის. ერთი წუთით-მეთქი, გავაჩერე და ისიც მიცინის. აბა, ერთი შენ აქეთ მოდი-თქო და გვერდზე გავიყვანე. იქვე რაღაც სათავსო იყო. კარს ფეხი ვკარი და გაიღო. აქეთ წამობრძანდით-მეთქი და გამიძალიანდა. დავავლე ხელი და შევაგდე გომურში. იქ ყველგან თივა იყო და ამ ბალახ-ბულახებში გავაგორე. ერთი კარგადაც მოვცხე და შარვლის გაძრობა დავიწყე. გარედან კიდევ მაგარი აურზაურის ხმა შემომესმა. ამანაც ეგრევე დასცხო, მიშველეთო... ცალი ხელით ამას ვაჩუმებდი და მეორეთი შარვლის ღილებს ვიხსნიდი. ამ გაწამაწიაში ვიყავი, რომ უცებ ვიღაცამ დაიღრიალა, სერგია მოუკლავთო. იქვე, ადგილზე გავიყინე. გარეთ როგორ გავედი, აღარ მახსოვს. ეგ ერთი პადდელნიკიღა მყავდა დარჩენილი და ეგეც დაუბრედიათ-მეთქი...

ფუ, შენი... წყალი... წყალი... ჰო, ეგ მომაწოდე...

მაიცა, ცოტა ამოვისუნთქო. ისე, შენც კაი ბიჭი ჩანხარ. აი, შენ რომ არა, ახლა წყურვილი დამახრჩობდა. გაიხარე... და რას გიყვებოდი. ჰო, გამახსენდა. სერგიას ბიძაშვილები შემომეხვივნენ, დავიღუპეთ, ამბავი მოვიდა, სერგია აღარ არისო. მტკვარში დამხრჩვალი უპოვნიათო. იმ საწყალს ხელ-ფეხი ჰქონია შეკრული და ტანზე კიდევ ბარდიულის ქვა გამობმული. ვახ, ჩემი დედა ვატირე-მეთქი და ამ დროს იმ ბოსლიდან წივილ-კივილით ეს გოგო არ გამოვარდა?! იქიდან, საქეიფოდან, მაგისი ბუღა ქმარი სარქინებლად გამოექანა. ავიწიე შარვალი და ეგრევე მოვხიე. აბა, სანამ ახლა იმას ავუხსნიდი, ვერაფერი მოვასწარი-მეთქი, მანამდე ის შობელძაღლი კიდეც მომკლავდა. ისევ ამ ძმებმა ივაჟკაცეს და გააკავეს. გავასწარი. მივვარდი სახლში, ჩემი სასროლები ავისხი და ეხლა დამაცადეთ-მეთქი. ეგრევე უკან მივბრუნდი. ეზოში შესული არ ვიყავი, სროლა რომ ავტეხე. მაგრა მეკიდა და მარჯვნივ თუ მარცხნივ გაუჩერებლივ ვიქნევდი ავტომატს. ხალხი სულ დაბლა გორაობდა. ვიღაცეებს, მე მგონი, მოვდე კიდეც — კვნესაც ისმოდა. მერე, უცებ, ის ფიროსმანის ნახატი გამახსენდა. ვიფიქრე, სერგია აღარ არის, ის სურათებიც ჩემთვის დაკარგულია და ამით მაინც ვიხეირებმეთქი. თან ეს ნაბოზრები დასასჯელები მყავდა და ეგრევე საქეიფოში შევედი. იუბილარიც იქ დამხვდა. კედელს ეკვროდა და გაფართოებული თვალებით მომჩერებოდა. არ მესროლო, ხომ იცი, მამაჩემი ვინც არისო. აი, ეგ კი ნაღდად არ უნდა გეთქვა-მეთქი. მაგისი ძაღლი მამა გამახსენდა და თვალებზე ბინდი გადამეკრა. ნაგანი დავაძრე და კოჭები დავუხვრიტე. ჩამოვხსენი ეს სურათი და გარეთ გამოვედი. იქ კიდევ, ჭიშკართან, ახალი ნივა დგას. მანქანა ვისია-მეთქი, დავიღრიალე. ხმა არავინ გამცა. დროზე გასაღები-მეთქი და ვინც პირველი შემხვდა, თავზე იარაღი დავადე. ვხედავ, უცებ ის ბუღა წამოდგა — აი, გასაღებიო. თურმე, ამისია. უხ, შე ფარჩაკო-მეთქი და გამოვკარი სასხლეტს, მაგრამ არ გავარდა. ერთი ფეხებშუა ამოვარტყი და გასაღები დავითრიე. ეს განდონი შენთვის მიჩუქებია-მეთქი და იმ შველის ნუკრს თვალი ჩავუკარი. ის ძმებიც, სერგიას ბიძაშვილებიც, იქა დგანან და გადარეულები მომჩერებიან. ერთმა მკითხა, რასა შვებიო და მე კიდევ ვუპასუხე, იმას, რის გაკეთებასაც თქვენი ნათესავი მიპირებდა, პროსტა არ დასცალდა-მეთქი... ჩავხტი მანქანაში და დავგაზე. არადა, იქნებ, ცხონებული პრაფესორა სულაც არ მიპირებდა გადაგდებას. და მეტიც, იქნებ ჩემზე ნასროლი ტყვია მაგას მოხვდა? ისე მაგეებზე ახლა ვფიქრობ, თორემ მაშინ ჭკუა არ მომეკითხებოდა. გაზს ფეხი მივადგი და ეგრევე ლაგოდეხისკენ წავედი. გავხედე და მანქანაში მიგალკა აგდია. ეტყობა, ეს ბუღაც მილიციელი იყო. ჩავრთე ეს შენი ციმციმა და ზაქათალამდე ისე ვიარე, მანქანა არსად გამიჩერებია. ერთი, საზღვარზე შევანელე. ჩვენებმა უპრობლემოდ გამიშვეს. ეტყობა, მაგ მანქანას სცნობდნენ. აქვე მივდივარ, რაღაც საქმეზე და ერთ საათში უკან მოვბრუნდები-მეთქი. იმათმაც ყლაპეს. ალბათ, ბუღას თბილისელი ძმაკაცი ვეგონე. იქით რომ გადავედი, იქაურ მესაზღვრეებს ჩემი ორი იარაღი და ავტომატი მივეცი — ჩემგან საჩუქრად იყოს-მეთქი. გადაირივნენ — თუ გინდა, ბაქომდე გაგაცილებთო. არა, მადლობა, ჩემითაც გავაგნებ-მეთქი და დავემშვიდობე. ნამდვილად, ღმერთი მწყალობდა, თორემ თვითონ არ ვიცი, იქიდან როგორ გამოვასწარი. თან ამ სურათით და თან ძაღლების მანქანით. ანეკდოტია რა... მერე იქიდან სასომხეთში ამოვყავი თავი და სულ ბოლოს კიდევ აგერ, შენს გვერდით, სტამბოლში. ახლა არ მკითხო, ჯერ აზერბაიჯანიდან სომხეთში როგორ მოვხვდი და მერე იქიდან თურქეთშიო. ეგ სულ სხვა ამბავია და მაგის მოყოლას, მე მგონი, ვეღარ მოვასწრებ. აუფ... მგონია, ვკვდები, ბიჭო... ეს ოჯახქორი არ მეშვება... ვაი, დედა...

მისმინე... და ყველაზე მეტად, იცი, რა ტეხავს?.. ვგრძნობ, რომ ახლა ღმერთმა მიმატოვა და, აი, რატომ, მაგას ნაღდად ვერ ვხვდები... შენ ღმერთის გჯერა? როგორც ვხვდები, ჩვენისასი არა და მე კიდევ ყოველთვის მჯეროდა. მეტიც, ჯვარსაც სულ თან ვატარებდი და ეკლესიაში სანთლებსაც ვანთებდი. იცი, ღმერთმა რამდენ რამეს გადამარჩინა? აუარებელს... ოღონდ, აი, ახლა რატომ მიმატოვა, ეს ვერ გამიგია!.. ისე, რომ იცოდე, ის სურათი აქ ერთ კაცს მივაბარე. მუსტაფა ჰქვია და შემპირდა, მე გაგაყიდინებო. სანდო კაცი ჩანს. აქაც, ამ საავადმყოფოშიც, მაგან დამაწვინა. ექიმებსაც დაუბარა, ყურადღება მიაქციეთ და არაფერი დააკლოთო. ჯიგარია და თან, მე მგონი, ცოლიც ქართველი მესხი ჰყავს. კაროჩე, მოდი, იცი, რა ვქნათ? მე თუ აქედან ვერ გავედი, მუსტაფას შენ მიაკითხე. ჩემი სახელით მიდი, რა. უთხარი, გეგიას ძმაკაცი ვარ-თქო და იმ ნახატში რასაც აიღებ, შენი იყოს, ძმაო... გაიგე, რაც გითხარი... მეტი არ იყოს ჩემი მტერი, რაც შენ ჩემი ნალაპარაკებიდან ერთი სიტყვა მაინც გაგეგოს. უცნაურია... მეზობელი ხალხი ვართ და ერთი ღერი ქართული როგორ არ უნდა იცოდე?! მე, ძმაო, აგერ, უკვე სამი თვეა, რაც აქა ვარ და თურქული თითქმის ვისწავლე... არა, ნიჭიც თავისას შვება, მაგრამ... კაი, დაიკიდე. მიდი, მიდი, დაიძინე და დღევანდელი ღამე თუ გამითენდა, ხვალ აუცილებლად დანარჩენ ამბებსაც მოგიყვები... იცი, კიდევ რამდენი რამე მაქვს მოსაყოლი?! აუარება...

## გიორგი ბალახაშვილი

### ნაირობი და ვატიკანი

თებერვლის ოცია, ასეთ დროს თოვლი კი
არ უნდა გიკვირდეს ან რა ბედენაა?!
ვდგავარ და ვლოცულობ, ერთი კათოლიკე,
ვდგები და მივდივარ, როგორც ბედუინი.
საცაა თებერვალი მარტში აირევა,
მორჩა, სურწყუნისი უნდა ვამირკანო,
ვდგები და მივდივარ, მრჩება ნაირობი,
ვდგავარ და ვლოცულობ, აჰა, ვატიკანი!
აქეთ ჯერ არ თქმული, ჯერაც არ სმენილი,
სუსხი მელოდება, მაგრამ ნაზამთრალი...
შენ კი სიცხეები აღარ გასვენებენ,
პაპანაქებაა — თითქმის სადავთარო,
წერა ხომ გიყვარდა, მიდი, ჩაინიშნე,
შენი სიმარტოვის ცხელი თარიღები;
შენი არსებობა არის ჯაინიზმი
და შენს არსებობას აქ ვერ გაიგებენ.
თებერვლის ოცია, ასეთ დროს თოვლი კი
არ უნდა გიკვირდეს ან რა ბედენაა?!
ვდგავარ და ვლოცულობ, ერთი კათოლიკე,
ვდგები და მივდივარ, როგორც ბედუინი.

* * *

როგორ ვარ, იცი?
საკუთარი დაღლილობის სუნი მცემს,
საკუთარი შეცდომების სიდიდეს ვახარისხებ,
საკუთარი ყოველდღიურობის სინათლეს ვეძებ,
საკუთარ არყოფნაში ყოფნის დასტურს ვეძებ,
საკუთარ არარაობაში რაობას ვეძებ,
ფეხები მოხარშული მაქვს,
უდაბნოში მოხეტიალე პილიგრიმივით,
თვალები ამღვრეული და წითელი,
უძილობისგან, ფიქრისგან, ალაგ-ალაგ კითხვისგანაც,
თითები — დაღლილი,
გულისცემა — აჩქარებული,
არითმია...
საკუთარ სიყალბეში სიმართლეს ვეძებ,
საკუთარ სიმცირეში ვეღარაფერს ვაწყდები,
ტვინი გაბრუებული მაქვს ყოფიერებაზე ფიქრით,
მაინც არ ვივიწყებ საყვარელ, ამოჩემებულ ფრაზას:
Carpe Diem,
ანუ ვცდილობ, ყველა წამი დავიჭირო,
სადაც მეტ-ნაკლებად ბედნიერი ვარ,
ანუ შენთან ვარ!
შენ ჩემი უსასრულო მარტოობის
დაუძინებელი მტერი ხარ!
ღამ-ღამობით ყურთან ნიჟარას მივიდებ ხოლმე,
რომ ტალღების ხმა მოვისმინო!
თვალებს ვხუჭავ და ზღვის სანაპიროზე ვარ!
თოლიები... თოლიები... თოლიები...
ვინძლო, მათ შორის თოლია ჯონათანიც ერიოს?
ფლეტჩერი ან სალივანი?
ყველა ხმაურზე მეტად ეს ხმაური მამშვიდებს...
როგორ ვარ, იცი?
საკუთარი ყოველდღიურობის სინათლეს ვეძებ,
სიმშვიდისმომგვრელ ხმაურს...
აჰა, ნიჟარაც,
ახლა კი ჩემი ძილის დროა!

### სასაცილოა

სასაცილოა, მიდიოდე, კვალს არ ტოვებდე
არავის ფიქრში, არც თვალებში, აღარც ხსოვნაში,
უწინდებურად რომ ადგე და ისევ მოხარშო
ერთ ქვაბში ყველა შენი დარდი, განმარტოება,
უსუსურობა, უმეცრება, კიდევ ათასი
შიში და ღამის ნამსხვრევები, რომელიც ტეხე...
ჯერაც ვერ ნანახ ზმანებათა უცნობი ექო,
რაც ვერ მოიმკე, უფრო სწორად, რაც ვერ დათესე,
რაც ვერ მოიგე, რაც წააგე, რაც ითამაშე,
ყველგან, სადაც კი გაწვდებოდა ფიქრი და ხელი,
ყველგან, სადაც კი საკუთარი თავი ამხილე,
ომში, ეზოში, სცენაზე და ჭვავის ყანაში.
სასაცილოა, უერთგულო მათ, ვინც აქამდე
დაგაღალატა არაერთგზის, უფრო მრავალგზის...
შენივე ყოფით არყოფნათა გზები დახაზე,
მერე მოეშვი, მერე უფრო, მერე დაქანდი,
სადაც არავინ გელოდება, სადაც არავინ
ჩაგიღიმილებს. მიენდობი, ლუკმას გაუტეხ,
სადაც სულერთად გეჩვენება სტიკლი, გაუდი,
სადაც შენობებს წარწერები ურცხვად ფარავენ.
სასაცილოა, მიდიოდე, კვალს არ ტოვებდე
არავის ფიქრში, არც თვალებში, აღარც ხსოვნაში...

* * *

არის ისეთი ღამეებიც,
რომელიც უნდა გაათიო,
ისეთი ღამეებიც უხვადაა,
სადაც მისტერებთან მისისები
ბჭობენ არაფრანგულ კამეაზე,
ერთი ნაბიჯიც და კამათობენ,
თემა გრძელია და უვადოა,
მასთან ვერას მოვა მისისიპი.
ისეთი ღამეებიც გაერევა,
რომელიც უნდა გადახაზო,
შენი მარტოობის დღიურიდან,
შენი მარტოობის მოლბერტიდან,
სადმე, სადაც არის სარაევო,
ილინოისი და არკანზასი,
ტანჯვა-განსაცდელში მიურიდენ
თვალნი, არასძალით მოერიდო.
ისეთი ღამეებიც გაკრთებიან,
შენთან შემორჩება ხსოვნაშივე,
ღრუბელს შენი ფრანი მიუცურო,
ღრუბელს შენი ფრანით გამოება.
ისევ მაგ ღიმილის ნაკვთებია,
შენთან შეხვედრა რომ მომაშია,
შენთან შეხვედრა რომ მომაწყურა,
არის ისეთი ღამეებიც...

### ყვითელი ფოთლები

შენ თქვი: ისეთი ამინდია ახლა, გიო, რომ,
ჩაი უნდა ვსვათ კონიაკით, მთელი დღე ვიწვეთ,
ერთმანეთს ხალებს ვუთვლიდეთ და ყოველი წვეთის
ხმასაც ვისმენდეთ წვიმის ფონზე, თუნდაც გიიომ
აპოლინერი წაგიკითხო, შენ ხომ ფრანგული
პოეზია და კოცნა გიყვარს, თანაც თანაბრად,
ყოველი სიტყვა, ჯადოსნური აბრა-კადაბრა,
ზოგჯერ უმიზნოდ წარმოთქმულიც და გაფლანგული,
დაორთქლილ ჰაერს გადმოყვება, როცა ბაგეთა
სხვა ფუნქციასაც გავიხსენებთ, გარდა ამბორის,
მთელი ოთახი სიგარეტის კვამლით გავბოლეთ,
შემოგვაღამდა, შეგვიბინდდა უცებ, რამეთუ,
რთულია ამ დროს ერთხელაც კი წამი გაჩერდეს,
სულ ერთი წამით, Carpe Diem, სულ ერთი წამით,
მაგრამ წინ არის უსაშველოდ მგზნებარე ღამე,
ხოლო ფირფიტამ ატრიალოს გია ყანჩელი.
შენ თქვი: ისეთი ამინდია ახლა, გიო, რომ,
ჩაი უნდა ვსვათ კონიაკით, მთელი დღე ვიწვეთ...

### დუმილის დასარღვევად

საერთოდ ვეღარ ვწერ, დუმილიც ერთგვარი
ხერხია იმისა, რომ ფიქრი დუმილზე
განავრცო და მერე ხმაურით, უმიზნოდ,
აფეთქდე და ვინმე დებოშირს ემგვანო.
საკუთარ თავთან კი არ დაგცდეს აუგი,
საკუთარ თავზევე, რომ მთელი თვეები
უთქმელად იყავი და ეს დრო ვეება,
გაუშვი და მხოლოდ ბროლისგან ააგე
დუმილის მყიფე და მსხვრევადი კოშკები,
რომელთა სიჩუმეს მინებით ნიღბავდი,
პირისპირ რჩებოდი საკუთარ იღბალთან
და მერე ტიროდი და ნიშნის მოგებით
იწერდი სტრიქონებს, დუმილის კარნახით,
თან იყო სიმრავლე უცნაურ მიზეზთა
სიგიჟის, როდესაც კედლიდან გიმზერდნენ
დიდრონი თვალებით დეგას და კრანახის
და კიდევ მრავალი ფერმწერის ტილოდან,
სევდით ან ღიმილით ან უფრო კაეშნით,
ძველისძველ დღიურში რაღაცა ჩანიშნე,
იწერდი სტრიქონებს და მერე ტიროდი
და ღამეც გავიდა საკუთარ სხეულის
გადაღმა, უშორეს და უცხო ასტრალში,
ხვალე კი, როდესაც ამ ფურცლებს გადაშლი,
იქნება ხმაური კოშკების, მსხვრეულის.
მორჩება სიჩუმე, დუმილი, უსიტყვოდ
გათეულ ღამეთა იხილავ მკვლელობას,
მთელი ეს სიგიჟე საკუთარ მსვლელობით
ხსოვნაში დატოვე და, როგორც მუსიკა,
ძილის წინ ისმინე, არ დაგცდეს აუგი
საკუთარ თავზევე, რომ მთელი თვეები
უთქმელად იყავი და ეს დრო ვეება,
კოშკები ააგე, იკითხე ჰიუგო,
საერთოდ ვეღარ ვწერ, დუმილიც ერთგვარი
ხერხია იმისა, რომ ფიქრი დუმილზე
განავრცო და მერე ხმაურით, უმიზნოდ,
აფეთქდე და ვინმე დებოშირს ემგვანო.

* * *

ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მღრღნიან და მხრავენ
დღეები, როცა შენ არა ხარ, მე კი ლოგინზე
მარტო მივწვები და უშენო დღეების ხროვა
დამიგროვდება სათქმელივით და კვლავ მომიწევს
მოგწერო, მაგრამ არ ვიცოდე, შენთან თუ მოვა
ჩემი წერილი — მწვანე ბოთლის თეთრი ტუსაღი,
ზღვის სუნი ახლავს ამ გზავნილსაც,
პერანგსაც — მოვის,
რომელსაც ვიცვამ ყოველ დილით, როცა ვასაღებ
გამთენიისას დაჭერილ თევზს, ვინ მოთვლის რამდენ
წარმომავლობის, კანის ფერის და სახელ-გვარის
ადამიანთან ვიჭერ საქმეს, როდესაც დახლთან
ვდგავარ და ვყიდი, რასაც ვიჭერ, ხანდახან მთვარის
შუქზეც შევსულვარ ღია ზღვაში და ნასროლ ბადეს
თევზებთან ერთად მოჰყოლია ნაცნობი ბოთლი —
ჩემი წერილით, ეს კი მხოლოდ ასეთ აზრს ბადებს,
რომ მეტი ძალით მოვისროლო, ვბრუნდები ქოხთან.
ამ ქოხში ვცხოვრობ, ზღვის ნაპირას და, რა თქმა უნდა,
დღეები, სადაც შენ არა ხარ, მღრღნიან და მხრავენ,
არ შემწევს ძალა, საკუთარ თავს მოვუწყო ბუნტი,
უხმოდ მივწვები და უშენო დღეების ხროვა
დამიგროვდება სათქმელივით და კვლავ მომიწევს,
მოგწერო, მაგრამ არ ვიცოდე, შენთან თუ მოვა
ჩემი წერილი — მწვანე ბოთლის თეთრი ტუსაღი...

* * *

დეკემბერია. ცივა. ღამეა.
სუსხიან დღეთა გერევა ნუსხა.
ძველ მაგიდაზე მიდევს კამიუ,
„უცხო“.
ქუჩაში ალბათ ორი ან სამი,
ნახო ფანჯრიდან კატა, გოშია...
ვფურცლავ, „მოხუცთა თავშესაფარი
მარენგოშია“.
ვფურცლავ. მივდივარ ორი საათის
ავტობუსით, რომ ჩავიდე დღისით,
რადგანაც ვიცი წესი, ადათი,
უფრორე ისიც,
ღამეს გავუთევ დედას, ამ უკუნ
ღამეს, როდესაც ბოლოჯერ ვნახავ,
მერე წამოვალ სხვა დილით უკან
და მისი სახე,
ცისფერთვალება, წითური სახე,
ნახვა რომ არ მსურს, გამყვება ფიქრად
და კარისკაცთან უტიფრად ვამხელ,
რაც ზემოთ ითქვა.
ვფურცლავ. ვჩერდები. სიცივეს ეგზომ
უნდა, რომ ვგრძნობდე, მეტიც, ვხედავდე...
და ვდგავარ ახლა, ვით წიგნში, მერსო —
დედის ცხედართან.
დეკემბერია. ცივა. ღამეა.
სუსხიან დღეთა გერევა ნუსხა.
ძველ მაგიდაზე მიდევს კამიუ,
„უცხო“.
ვფურცლავ...

### მწვანე ჩაიზე

წამო, ძვირფასო, დაგპატიჟებ მწვანე ჩაიზე,
წამო, ძვირფასო, სანამ მარტი ისევ აურევს...
გავყიდი ჰესეს, გავაჩუქებ აბეს, დრაიზერს,
ბოლო უგუნურს მივაშავებ შოპენჰაუერს,
სულ რამდენიმე, უმნიშვნელო გროშების ფასად,
წამო, ძვირფასო, დაგპატიჟებ მწვანე ჩაიზე...
ვიღებავ სხეულს — ჩემი სულის ერთადერთ ფასადს
და ვეღარ ვყიდი, მოდაშია რადგან პარიზის
ან უფრო მეტი, მოდაშია მილანის ზამთრის
და შემოდგომის კოლექცია — ვინმე ხარაზის...
მცივა და ვებრძვი უშენობის უმწვავეს ართრიტს
მე ყოველ ღამით ვიმსხვრევი და სმენა მაბრაზებს
ჩემივე ძვლების, რომელთაგან უცვლელად დარჩა,
სულ რამდენიმე, გულისა და მხრების არეში...
წამო, ძვირფასო, სხვა შეხვედრა იქამდე არ ჩანს,
სანამ სხეულში ბოლო ნერვიც აღარ თარეშობს,
წამო, ძვირფასო, დაგპატიჟებ მწვანე ჩაიზე,
წამო, ძვირფასო, უკანასკნელს დავხარჯავ გროშებს...
დავიზეპირებ და გიამბობ: ჰესეს, დრაიზერს,
წამო, ძვირფასო, წაგიკითხავ მორჩენილ ბორხესს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნათია გიორგაძე

* * *

ღმერთს აბრალებენ,
ცხვრები თავდახრილები
შესაწირად რომ გაამზადეს,
მათ მუხლებს ძალა წაერთმევა,
მათ რქებზე თოვლი ჩამოდნება,
ფარა დაწვება და უკან ჩაიზრდება
მთის საძოვარი...
მშვიდობა მჭიდრო ადგილია
დედაქალაქის დღის შუაგულში,
ჩვენს გოგო-ბიჭებს, მეცხვარეებს,
ვერ მოვუფრთხილდით,
ღმერთს აბრალებენ...
ღმერთს ავედრებენ...

* * *

თუ შენ მტრედების პური ჭამე,
შენც მტრედი ყოფილხარ,
თუ შენ ირმების ხავსი ჭამე,
ირემი ყოფილხარ,
თუ შენ ლომების ლუკმა ჭამე,
შენც ლომი ყოფილხარ,
მაგრამ თუ თაგვის შაქარი ჭამე...
ვის დაემალები ან
ვინღა გიშველის?

### თავისუფლების ოდა

შენ ხარ პასუხი ყველა კითხვაზე,
რაც დავფანტე და გავანიავე,
კი არ ვთოხნიდი მიწას ყვავივით,
რომელიც გზიდან სახლში დაბრუნდა,
როგორც მათხოვრის გავას ნიავი
გააცლის სითბოს, უკანდასახევს
არ დაუტოვებს და ტირის კაცი,
ხოლო ამქვეყნად მტირალა კაცებს
პატივს არ სცემენ, ნეტავ ავყეფდე
იმ ბულბულივით, შენ რომ ინატრებ,
ჩანს ხელისგულზე მიმავალი ჭიანჭველები
სულ სხვა სინათლის
(გულსაკლავად შუაღამეა),
იმედი მქონდა, შუქი ჩაქრა,
თვალს ვერ დავხუჭავ!

* * *

როგორც შვილი გადაკიდო სიმაღლიდან
და ეძებდე ცაში საშველს,
ისე ეს ლექსი, ნავსადგურში,
გემბანზე ითქვას,
რომ ჩემი სკოლის ყველა გოგო,
ყველა მედეა, სახლში დაბრუნდეს.
სავსეა წყალი მედუზებით და ვეშაპებით.
სავსეა მიწა ჩვენი წყალ-მანკით,
ხოლო პირველი საიდუმლო ვინც შეინახა,
ის არ მარხია...
ჩვენ ცარიელი სახლები გვიდგას
და ეზოები მიტოვებული,
და მეზობლები სოციალურ ქსელში გაბმული
და სიზმრებიდან ვაჩენთ მომავალს.
თუ თმა დაგიწნა დედაბერმა და დაგამშია,
თუ მზე და მთვარე არ გაჩვენა და დაგამშია,
არ დაიძინო, არ დაკარგო თვალ-მარგალიტი.

* * *

როცა შენი სამშობლო,
ლექსების კრებულივით,
სრულიად უცხო კაცმა იყიდა
და გადაფურცლა თითო ჯერზე
თითო ფსალმუნი, შენ მდუმარებით
გააყოლე თვალი დარიალს,
მე შეგიჯავრე და
ძალიან მშვიდად მოგკალი,
როცა ჩემს სახლში
კიბის ყველა საფეხურიდან
გველი ამოძვრა და სისინით
შეყვა აივანს,
მე გამახსენდა, რომ შენ, ჩემო
შეყვარებულო, მიწამ გამრავლა,
ცოლი მოგცა და მაწვნის დედო,
ჭრელ კაბას აცმევ და იყვარებ,
ვით მოჭრილ ხეზე ამოსულ ბალახს...

* * *

მთა ბერდება,
როგორც ქალი კუზიანი,
რომელიც არავინ შეიყვარა,
არავინ უთხრა მის ხელებში
გასაშლელ ზეწარს:
— რა ლამაზი ხარ! გახამებულ
თოვლს გავხარ თითქოს,
არავინ გაჩნდა მის კალთაში
თავჩასადები და იხმობს სახლი
მარტოობას, როგორც ფეხისხმას.
სხვა სახლებიდან
გამოდიან გარდაცვლილები
ღამ-ღამობით და ნელ-ნელა ცაზე
ამოდის ღმერთი, მთასავით კაცი
და ითვლის სკვნილზე
გაბნეულ სიტყვებს.

* * *

როგორც დანიელის ღმერთი თავსატეხი,
ზღვაზე არც ქარია, არც იმედი,
მე კი რახანია მივდევ ამ შუქურას,
მინდა, რომ ვიმღერო...
რაღაც სხვანაირი განცდაა სიბნელე,
თითქოს არ გინახავს ამ ქვეყნად არავინ
და თითქოს არაფერს არ ქონდა სიმბოლო
და რომ ეს არწივი, უბრალოდ მეფეა,
მტრედი კი ფრინველი.
ჩვენ ვსხედვართ ნაპირზე
და ისე გავცქერით მომავალს,
ვით შვილებს — შორეულ ქალაქებს,
წყალმა რომ გზა მოგვცა,
ჯერ კიდევ გვეძინა,
წყალი რომ დაკეტეს,
ვერ ვილაპარაკეთ
და მერე რატომღაც
იმდენი წავიდა,
რომ გულზე მომეშვა...

* * *

ისე გამოგრიყავს წყალი,
თითქოს მეგობარი დაგრჩა
ხმელეთზე და გიხმობს,
მალე, მალე შენთან მოვალ!
ისე გიყვარდება იგი,
თითქოს ერთადერთი იყოს
ქვეყნად საფლავის ქვებს შორის,
ხშირად ვატრიალებ სიზმარს,
როგორც ვარსკვლავების გლობუსს,
თითქოს კი არ ვიგლოვ, ვტირი,
რადგან იგლოვება მკვდარი,
ის კი წასულია, ძერას ჯერ არ წაუღია
მისი ღობეშემორტყმული
დარდი, სიტყვის მარაგივით ვრცელი:
— თითქოს კვალი აქვს და იქრობს,
თითქოს ტყავი აქვს და იძრობს,
თითქოს სულელია, ბრძენი
თითქოს არ ყოფილა ომში...

* * *

ჩემო მეგობარო, ხანდახან მენატრები კიდეც,
ხანდახან მახსენდები კიდეც,
ხანდახან ძალიან დიდხანს ვწევარ,
ჭერს ვუმზერ, იატაკს თვალს ვარიდებ.
ხანდახან შენს ხმაში ჩიტები გალობენ,
ხანდახან ზაფხულიც არ მოდის, მგონი,
ხანდახან მიჭირავს ხელში ცრუ იმედი,
ცრუ მზე, განგაშივით მწველი.
ვერასდროს გნახავ და ამისთვის ვემზადე,
სულ ვემზადებოდი, ახლაც...
თმა რომ მოვიხატე
და ფეხისწვერებზეც ვიარე
ამ დილით,
სულ შენზე ვფიქრობდი...

* * *

ქალაქგარეთ დავსახლდები,
ტყისპირას მექნება სახლი,
ჩამოივლის ჩემი ძმა
დიდი პოეტი და ჩემს ქმარს
დიდ პოეტს ეტყვის:
წამო, ვინადიროთ...
მე არ მომინდება
მეძავად ყოფნა
და ქვამარილად ქცევა,
რადგან უყვარს ჩემს ქმარს
დამშრალი წყალი ზღვის და ოკეანის,
ამიტომ ჩავდგები მეც დამშრალ წყალში
და ვიტირებ საკუთარ მშობლებს,
რომ გამაჩინეს და ანგელოზებს დაუმალეს
ჩემი სახელი, რომ გამაჩინეს,
გამაჩინეს, გამაცხოველეს...
რადგან არ ვიცი, რა დღეშია
ფური და ხარი და ირემი და გაფუვდება
დარდი უფრო, ყოველდღიურად...
ამოვა მთვარე, სავსე მთვარე,
ფეხმძიმე ქალი, ხეიბარი, ფეხმძიმე ქალი
და მე გამაჩენს... არახეიბარს.



## ზაზა ბიბილაშვილი

### ფეისბუქფოტოალბომი

მატულობს ასაკი —
კლებულობს ლაიქი.

### არაადეკვატურო

იმის ნაცვლად —
მტერ-მოყვარეს
უთამაშო კუნთები —

საკუთარი ნერვებიდან
გამორჩევას უნდები.

### ცხოვრება

თავის ანით, თავის ბანით,
თავის მაკრო-მიკროთი —
ვერ ვისწავლე — არ მეცალა —
სხვა რამეზე ვფიქრობდი.

### ნუგბარი

ტრიალებენ მანქანები
მეტისმეტი გამეტებით —
ვერ გავაძღე თქვენი ხორცი
ჩემი სულის კატლეტებით.

### კონსილიუმი

დაღლილობა აღარ ჰქვია.
უკვე სტრესიც არ მგონია.
ალბათ უფრო — აპათია.
ან, უბრალოდ — აგონია.

### თვალის დახუჭვით
### თვალების დახუჭვის დამთრგუნველი

სიკვდილი დაუნდობელია,
სიკვდილი გარდაუვალია,
სიკვდილი საყოველთაოა.

მერე მე რა.

### გამოცანა

აქ რომ მედგა მარგალიტის გორები,
ხომ არ იცით, ვინ შეჭამდა?

### ეპიტაფია

ვიყავ და არა ვყოფილვარ —
ღვთის უკეთესი რა ვიქნებოდი.

ლექსო ლობჟანიძე

# შიზოფრენიის ესთეტიკა

თუ ისტორიის მხოლოდ ორგვარი (კონსერვატიული და მარქსისტული) გააზრება არსებობს, იგივე ფორმულა შეიძლება, მოვარგოთ ლიტერატურის ისტორიასაც. დღეს კამათობენ ლიტერატურის ფუნქციაზე. თავად ლიტერატურა კი, როგორც არასდროს, ფიქრობს საკუთარ თავზე. კონსერვატიული ფრთა ამბობს, რომ ლიტერატურა არაა ეთიკური კატეგორია, ის ესთეტიკურია და დეტერმინირებულია იმისკენ, პროდუქტის მიმღებს მიანიჭოს სიამოვნება. ხოლო მარქსისტული თუ პოსტმარქსისტული თეორიები ცხადყოფს, რომ ლიტერატურა იმთავითვე სოციალური ფენომენია, რომელსაც, ბრეხტისეულად თუ ვიტყვით — ხელში აგური უნდა ეჭიროს და სარკის ანუ არსებული ჰეგემონიის დამტვრევასა და შეცვლას უნდა ცდილობდეს.

ჰეგელი „ესთეტიკის“ ერთ-ერთ თავში მშვენიერების ისტორიის შესახებ საუბრობს — ამბობს, რომ მშვენიერების აღსაქმელად, ისტორიის ერთ-ერთ ეპიზოდში საჭირო გახდა მშვენიერის განსაკუთრებული გრძნობა გამოეყენებინათ და მისთვის შეგრძნების გარკვეული ორგანო აღმოეჩინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელოვნების მიზნის დიფერენციაცია ვერ მოხერხდებოდა, რადგან იგი გადაკვეთდა ისტორიოგრაფიას, რელიგიურ მოძღვრებას და ასე შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი გრძნობა არ იყო ბუნებისგან მკაცრად განსაზღვრული, მისთვის მოითხოვეს განათლება და კულტურა. მშვენიერების ამ კულტურით გაფაქიზებულ და განვითარებულ გრძნობას კი გემოვნება უწოდეს.

ეს ის ერთგვარი შესავალია, რომელიც დამეხმარება ვკონცენტრირდე ლიტერატურის ისეთ წაკითხვაზე, სადაც ესთეტიკა და მშვენიერება მეორეხარისხოვანია, ხოლო მარქსისტული და პოსტმარქსისტული კონცეპტები წინაა წამოწეული. ასე რომ, მიწევს, გვერდით დავტოვო ჩემი დიდი მონაპოვარი, რომელსაც გემოვნება დაარქვეს და ისე შევუდგე მსჯელობას.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ლიტერატურის ისტორიის ათვლას გილგამეშის ეპოსიდან ვიწყებთ, თუმცა გვავიწყდება, რომ ესაა უკვე პირველი ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ეპოსი. ერთ-ერთი მთავარი გმირი, ენქიდუ, რომელიც ღმერთ ანუს დავალებით ქალღმერთმა არურუმ შექმნა, გვევლინება, როგორც მარეგულირებელი გილგამეშისა. ენქიდუ ცდილობს, მოათვინიეროს გილგამეშის ველური ბუნება და მაღალი ზნეობისკენ მოუწოდებს მას. ერთმნიშვნელოვნად, პერსონაჟს აკისრია არსებული მოცემულობის გარდაქმნის ფუნქცია, რაც, შეიძლება ითქვას, რომ მარცხენა სპექტრის სასარგებლოდ ინტერპრეტირდება.

მეორე ნაწარმოები, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია, ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენია“. ის დიდაქტიკურ ეპოსს უდებს საფუძველს. დიდაქტიკა ესაა პედაგოგიური კატეგორია, რომელიც დამრიგებლური დიალოგის საშუალებით ცდილობს, სამიზნე აუდიტორია ინფორმირებული გახადოს. ამდენად, პოეზიას ჰესიოდესთან მორალურ-აღმზრდელობითი ფუნქცია უკვე მინიჭებული აქვს. მეტიც, ესაა პირველი ნაწარმოები, რომელმაც დაბალი ფენის წარმომადგენლის ყოველდღიური საზრუნავი და გაჭირვება აქცია პოეტიკის ობიექტად. ამით დამტკიცდა, რომ პოეზია არ არის დამოკიდებული აღწერილ ამბავთა ჰეროიკულობაზე.

ინგლისელი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი ალფრედ ვაითჰედი წიგნში „პროცესი და რეალობა“ წერს, რომ დასავლური აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა შენიშვნები დართული პლატონის ტექსტებზე. ცხადია, ვერც ამ საკითხზე მსჯელობისას გამოვტოვებთ ბერძენ ფილოსოფოსს. პლატონი იმდროინდელი სისტემის მწარმოებელთა ეშელონებში, უპირველესად, პოეტებს მოიაზრებს და ერთგვარ ომს უცხადებს როგორც მათ, ისე თავად პოეზიის იდეას. პლატონისთვის საგანი, იმისთვის, რომ მატერიალიზდეს, ბაძავს თავის იდეას, ხელოვანი კი ამ მიბაძულს ბაძავს. პლატონის ცნობილი ლოზუნგი — „პოეზია არის ბაძვა“ — სწორედ ამ ლოგიკას ეფუძნება. ამ ფაქტს ნაკლებად უარყოფენ აზროვნების ისტორიაში, მაგრამ საინტერესოა ის, თუ რა შედეგები მოაქვს ბაძვის ცნებას. პლატონი ამბობს, რომ მოქალაქეებმა ეთიკისა და ზნეობის საძებნელად არ უნდა მიმართონ პოეტებს, რადგან მათი გამოგონილი სამყარო ფალსიფიცირებულია და რეალობასთან არანაირი კავშირი აქვს. პლატონისთვის ზნეობა ცოდნას ეფუძნება, პოეტები კი ადამიანებს ყალბ ცოდნას აძლევენ. საბოლოოდ, პოეზიის ბედი პლატონმა ასე გადაწყვიტა: „პოეზიას ვერასდიდებით ვერ დავუშვებთ სახელმწიფოში, რადგან ის მიმბაძველობითია“.

პლატონის მეტ-ნაკლებად ანტიპოდი ფილოსოფოსი ამ საკითხში არისტოტელეა. არისტოტელე „პოეტიკის“ პირველსავე თავში ადასტურებს პლატონის ბაძვის ცნებას: „ეპოპეა და ტრაგედია, აგრეთვე, კომედია, დითირამბული პოეზია, ავლეტიკისა და კითარისტიკის მომეტებული ნაწილი — ყველანი ესენი, საზოგადად, მიბაძვები არიან.“ საინტერესოა ის, რომ არისტოტელე ამას ნეგატიურად არ აღიქვამს: „როგორც ჩანს, პოეზია შექმნა, საზოგადოდ, ორმა მიზეზმა. ორივე ბუნებრივი მიზეზია. ჯერ ერთი, მიბაძვა თანდაყოლილი აქვს კაცს ბავშვობიდანვე...“ არისტოტელეს აზრით, კაცი იმით განსხვავდება სხვა ცხოველისგან, რომ ყველაზე უფრო მიმბაძველია. ფილოსოფოსი ტრაგედიის სტრუქტურის მსჯელობის შემდეგ, საუბრობს მის არსზე ანუ უკვე წაბაძულის მიზანსა და ფუნქციაზე: „ტრაგედია არის ასახვა დიადი მოქმედებისა, რომელსაც გარკვეული სიდიდე აქვს. ასახვაა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან/ვნებათა განწმენდას აღწევს.“ მაშასადამე, არისტოტელესთვის პოეზია თვისობრივად ლეგიტიმურია, გამომდინარე იქიდან, რომ ის კათარზისის ინსტრუმენტია.

ანტიკური საბერძნეთის შემდეგ არ უნდა გამოგვრჩეს რომი და რომაული ლიტერატურის ოქროს ხანა. ნერონის ეპოქაში მოღვაწეობდა სატირიკოსი გაიუს პეტრონიუსი. მას მიაკუთვნებენ ცნობილ ნაწარმოებს „სატირიკონს“. აღსანიშნავი აქ ისაა, რომ ტექსტში ნაჩვენებია იმდროინდელი რომაული სოციალური ფენების ყოფა-ცხოვრება. სატირაში ავტორი აკრიტიკებდა თანამედროვეობის ზნეობრივ ჩავარდნას. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ პირველი საუკუნის რომში უკვე ვხვდებით ლიტერატურას, როგორც გაბატონებულ წესრიგთან ოპოზიციაში მყოფ ფენომენს.

რაც შეეხება შუასაუკუნეებს, შუასაუკუნეობრივი გაგებით, შემოქმედი, ისე როგორც სხვა ადამიანი, თავს ერთი მთლიანობის ნაწილად მიიჩნევს. სამყაროში დომინანტურია მონოცენტრიზმი. მისი ცენტრი ღმერთია, რომელსაც ადამიანი უნდა ესწრაფოდეს, რათა თეოზისი შედგეს. შემოქმედი ერთგვარი სკრიპტორია ღმერთისა, რომელიც გამოსახვის საშუალებად ტექსტს იყენებს. უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსი საკრალური დამოკიდებულება არც ისე მართებულია და გავითავისოთ, რომ ნებისმიერი ტექსტი იმდროინდელი საზოგადოებისა და კულტურის დაკვეთაა. როდესაც მარქსი ამბობს, რომ მშვენიერი პოეზია ვერ წარმოიშობა შიმშილის წინააღმდეგ განუწყვეტლივ ბრძოლისა და მკაცრ კლიმატურ პირობებში, აქ დგება მისივე ბაზისისა და ზედნაშენის დიქოტომია. მარქსისთვის ბაზისი ანუ ეკონომიკური მდგომარეობა არის განმაპირობებელი ზედნაშენისა. ეკონომიკური მდგომარეობა ერთგვარ ემანაციას ახდენს პოლიტიკისა, სოციალური ფონისა, კულტურისა, ხელოვნებისა და ასე შემდეგ.

ახალი დრო და ახალი ლიტერატურა (რომანტიზმი და ასე შემდეგ) მხოლოდ ინდივიდუალურ ხმას აღიარებს. როგორც ფრანგი ფილოსოფოსი როლან ბარტი ამბობს, ავტორის ფიგურა ახალი დროის კუთვნილებაა: „როგორც ჩანს, ჩვენმა საზოგადოებამ იგი მაშინ ჩამოაყალიბა, როცა შუასაუკუნეების დასასრულს თავისთვის აღმოაჩინა (ინგლისური ემპირიზმის, ფრანგული რაციონალიზმისა და რეფორმაციის მიერ დაფუძნებული პირადი რწმენის პრინციპის წყალობით) ინდივიდის ღირსება, ან უფრო მაღალი სტილით რომ ვთქვათ, „ადამიანის პიროვნება“. მიშელ ფუკო კი წერს: „იყო დრო, როცა ის ტექსტები, რომლებსაც ახლა „ლიტერატურულს“ ვუწოდებთ, ცირკულირებდა და ღირებულებას იძენდა მათი შემქმნელის ვინაობის შესახებ კითხვების გარეშე.“ ამდენად, ანონიმურობა არ წარმოადგენდა სირთულეს, ტექსტების სტატუსის განმკარგავი იყო ნამდვილი თუ მოჩვენებითი სიძველე. როლან ბარტი მიუყვება იმ მსჯელობის ხაზს, რომ ავტორის არსებობა კაპიტალიზმის იდეოლოგიას ბოლომდე აჯამებს. ბარტის აზრით, ავტორის არსებობა ინტერპრეტაციაზე აცხადებს მონოპოლიას. ცხადია, მარქსისტული ეთიკა ვერ ეგუება ვერც მონოპოლიას, ვერც იერარქიულ წყობილებას და ვერც ინდივიდუალიზმს: „ინდივიდუალიზმი ბურჟუაზიული მითია, რომელიც საშუალებას იძლევა, თავისუფლების უვნებელი დოზით აიცრას კლასობრივი საზოგადოების ტირანული წყობა“ — ბარტი. ამიტომაც, ფრანგი ფილოსოფოსი 1968 წელს აქვეყნებს ნაშრომს სათაურით „ავტორის სიკვდილი“, სადაც ასკვნის, რომ მკითხველის დაბადებისთვის ავტორი უნდა მოკვდეს. ბარტი ამბობს, რომ წერა ყოველთვის ექსპერიმენტულია. იგი ლაბირინთს ჰგავს, სადაც იკარგება ყოველგვარი თვითიგივეობა, მწერალი კარგავს სუბიექტს, ინდივიდუალიზმს და მოქმედებს უკვე ჩაწერილი ცნობიერებით, რომელიც არათუ ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ყოფა-ცხოვრების პროდუქტია.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ავტორის სიკვდილის თემატიკას ასე ცალსახად ვერ შევხედავთ. ერთი მხრივ, მე მოვიშველიებდი მიშელ ფუკოს წერილს „რა არის ავტორი?“, სადაც წერს, რომ ნაწარმოებზე ავტორის კვალი მისი არარსებობით ვლინდება. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, ავტორის პრივილეგირებული პოზიციის მოშლისკენ სწრაფვით, სინამდვილეში, მისი უპირატესობა ნარჩუნდება. მეორე მხრივ კი, მოვუხმობ ბრიტანელ კულტურის კრიტიკოსს ალან კირბს. მისი აზრით, პოსტმოდერნიზმმა გააფეტიშა და უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ავტორს მაშინაც კი, როცა ავტორმა არჩია, გაეკრიტიკებინა თავი ან მოეჩვენებინა, რომ გააუქმა საკუთარი სტატუსი. აქვე უნდა ითქვას, რომ კირბის აზრით, პოსტმოდერნიზმი საკუთარი თავის გაქრობას უკვე შეუდგა, დღევანდელი გაფეტიშების ობიექტი კი არა ავტორი, არამედ ტექსტის მიმღები, მკითხველია. ჩვენ, ტექსტის მიმღებებს კი, ჯერჯერობით, ლეგიტიმური უფლება გვაქვს, კირბს პოსტმოდერნიზმის სიკვდილის თეორიაში არ დავეთანხმოთ და განვაგრძოთ მსჯელობა.

მარქსისტული კრიტიკის საფუძვლები ლიტერატურის მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ პლატონიდან მოდის. ამგვარად, ლიტერატურა, როგორც ესკაპიზმის საშუალება, შესაძლებელია, იქცეს ოპიუმად, რომელიც ალტერნატიული სამყაროს შექმნით რეალურ ტკივილებს დროებით გვიყუჩებს. დაახლოებით მსგავსი ფორმულა გვაქვს ფრანგ ფსიქოანალიტიკოსთან, ჟაკ ლაკანთან. ლაკანისთვის სამყარო სამად იყოფა: პირველი — ყოფიერების სამყაროა, რომელიც მთლიანად ბუნებრივია. სუბიექტი ბუნებასთან შიშველია, თუმცაღა ბუნების მხრიდან რაიმე სახის უსამართლობის გამომჟღავნება მას მეორე, ფენომენების, სამყაროში გადაისვრის, სადაც ისტორიულ ინდივიდს უკვე შეუძლია, გაუმკლავდეს ბუნებას, თუმცა ფენომენების სამყაროშიც როდი ვცხოვრობთ იდეალურად. მეორე ტიპის სამყაროც, რაღა თქმა უნდა, ამჟღავნებს გარკვეული სახის უსამართლობას და შედეგი ისევ ფატალური რჩება. ამიტომ, საჭიროა, მოვნახოთ გამოსავალი და გავიქცეთ ალტერნატიულ, წარმოსახვით სამყაროში. ამდენად, ლაკანისთვის წარმოდგენა, როგორც პროცესი, ნიშნავს გაქცევას რეალობიდან. წარმოსახვითი სამყაროს სივრცეში ვათავსებთ რელიგიას, ოცნებას, ლიტერატურას და ყველა ოპტიმისტურ გამოვლინებას.

მე-18 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფილოსოფოსს, ჟან-ჟაკ რუსოს ჰკითხეს, თუ რამდენად სასარგებლოა ხელოვნება ზნეობისა და მორალისთვის. რუსომ საკონკურსო ნაშრომში — „მსჯელობა მეცნიერებასა და ხელოვნებაზე“ — უარყო, რომ ხელოვნება დადებითად მოქმედებს ეთიკაზე. მისი კრიტიკა სამი ხაზისგან შედგება. პირველი — ესაა ისტორიული მოცემულობა, სადაც არსებობენ სხვა სახის მშრომელები, რომლებიც უფრო მეტად უნდა იყვნენ დაფასებულები, ვიდრე მწერლები. მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ რუსო ლიტერატურის კლასობრივ ხასიათს ამხელს. მისი აზრით, მაღალი კლასი ყოველთვის ჩასძახებს დაბალ კლასს, თუ რომელი ლიტერატურული ტექსტი უნდა მოსწონდეს. მესამე — კრიტიკის ხაზს კი ისევ ილუზორული სამყაროს შექმნამდე მივყავართ.

ცნობილი ფრანგი მარქსისტი ფილოსოფოსი ლუი ალთუსერი იდეოლოგიური სახელმწიფოს აპარატებზე მსჯელობისას გამოჰყოფს შემდეგ აპარატებს: რელიგია, განათლება, ოჯახი, სამართალი, პოლიტიკური სისტემა, სავაჭრო გაერთიანებები, საკომუნიკაციო-საინფორმაციო საშუალებები და კულტურა (ლიტერატურა, სპორტი და ასე შემდეგ). ამდენად, ჩვენ შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ნებისმიერი იდეოლოგია, რომელიც შეიძლება საერთოდ არ ასაღებდეს იდეოლოგიად თავს, თვითწარმოების საშუალებად საკომუნიკაციო და სალიტერატურო ენას იყენებს. ამის ნათელი მაგალითი საბჭოთა კავშირია. სახელოვნებო სივრციდან მთლიანად განიდევნა ესთეტიკური ენა. ბეჭდურმა მედიამ გადაირქვა სახელი „დილა“ და დაირქვა „პროლეტარიატი“, „მესამე ინტერნაციონალი“, „კომუნისტი“ და ასე შემდეგ. 30-იანი წლებიდან აიკრძალა ბულგაკოვის ნაწარმოებები მისი კონტრბოლშევიკური მრწამსის გამო. ასპარეზზე გამოვიდნენ სოციალური ლიტერატურის მწარმოებლები, გორკი, ოსტროვსკი „როგორ იწრთობოდა ფოლადით“, რომელიც მა-

ლევე გახდა ჰომო სოვიეტიკუსისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი. ქართულ ლიტერატურაში მისტიკურ-ჰიპერბოლიზებული და სიმბოლურ-ესთეტიკური სახეები, სოციალურ იდეათა ტრანსკრიპციამ და უღიმღამო მეტაფორებმა ჩაანაცვლა:

*„მოანათა ოქტომბერმა*
*მზიანი მიზნით,*
*შოვინიზმი გადალახა*
*რა ლენინიზმით...“*

ეს ერთი ცალკე მდგომი და ორი ერთმანეთთან გადაბმული მიზეზით იყო გამოწვეული: მარქსისტული წერა/წერილობა ერთმნიშვნელოვანია, რადგანაც იგი მოწოდებულია, დაამკვიდროს ბუნების შინაგანი მონოლითურობა. მეორე მხრივ კი, ჭეშმარიტება იმდენად გაიჟღინთა მისთვის დაღვრილი სისხლით, რომ მის გამოსახატად მხოლოდ თეატრალური გაზვიადების პომპეზური საშუალებებიღა გამოდგებოდა (ბარტი). ამიტომაც, საჭირო გახდა ფიქციათა შექმნა, რომელიც ერთ-ერთ მიზეზად იქცა სსრკ-ს დაშლისა.

ჩვენ ვიცით, რომ ენა მოცემულობაა, მოედანია, ჭადრაკის დაფაა, რომელზეც მოვლენები ვითარდება. წერილში „მწერლები და მოკალმეები“ როლან ბარტი ამბობს, ჩვენთის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ სიტყვა ძალაუფლების ფორმაა და ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფი სწორედ იმით განისაზღვრება, რომ მეტ-ნაკლებად განუყოფლად ფლობს ერის ენას. სწორედ ეს ლინგვისტური პარაზიტიზმი დაფუძნებულია გარკვეულ კლასობრივ წინააღმდეგობებზე, რომელიც ლიტერატურულ საზოგადოებაშიც ტრანსფორმირდება. შესაძლებელია, რომ მწერალთა ელიტარულ კლასს საერთოდ არ ჰქონდეს მიზნად დასახული, ადიდოს კაპიტალისტური ჰეგემონია, მაგრამ იმით, რომ ის მას არ ებრძვის, ავტომატურად დგება გაბატონებული წესრიგის სამსახურში. ამიტომაც, საჭირო გახდა წინააღმდეგობის გაწევა, რამაც ასეთი შედეგი მოგვცა: „სიტყვიერების შემეცნების ველში პოლიტიკური და სოციალური რეალობის შეჭრამ წარმოშვა სკრიპტორი — ინდივიდის ახალი ტიპი — რაღაც შუალედური აქტივისტსა და მწერალს შორის. აქტივისტისგან ასეთმა ინდივიდმა ისესხა მოქალაქის იდეალური სახე, ხოლო მწერლობისგან კი გადაიღო წარმოდგენა იმის შესახებ, რომ წერა/წერილობა შემოქმედებითი აქტია“. დღესდღეობით, პროლეტარული ლიტერატურა ფიქრობს საკუთარ თავზე და დგას იმ საფრთხის წინაშე, რომ მისი ენა არ ჩაანაცვლოს მედიის ენამ, რომელიც, რეალურად, უფრო მეტს ლაპარაკობს შენობიდან ჩამოვარდნილ მუშებზე, ვიდრე თავად ლიტერატურა.

გამოსავალს ერთ რამეში ვხედავ და აქვე დავესესხები რიუნოსკე აკუტაგავას, რომელიც ლიტერატურაზე საუბრისას მოუწოდებს მწერლებს, პროლეტარულს რომ უწოდებენ საკუთარ თავს, შეიძინონ პოეტური სული. ავალაპარაკოთ ხელოვნება ყოველდღიურობის პოეზიაზე, ლიტერატურის სოციალური მხარე გავხადოთ არა მიზანი, არამედ შედეგი ინტერპრეტირებისა. გავყვეთ დე სადის, ორუელს, სენდბერგის, პაზოლინის, ბრეხტის, სარამაგუს, უიტმენის, სარტრისა და სხვათა გზას. თუ ჩამოთვლილები შორეულ წარსულად ან მომავლის პერსპექტივებად გვეჩვენებიან, აქვეა ქართველი პოეტი-პერფორმერი გიორგი ხასაია, რომელიც „სამოქალაქო ომში“ წერს: „ვინც ჩვენი ცრემლებით ცემენტი მოზილა“. ესაა სახე, რომელმაც, პრინციპში, მიბიძგა, დავფიქრებულიყავი ალტერნატიულ ენაზე. ეს მეტაფორაა, რომელიც ენის პლასტიკურობისა და მოქნილობის თეორიას უფრო ამყარებს და შესაძლებელს ხდის, გამოინახოს ოქროს შუალედი ორ პოლუსს შორის.

ჩვენ მხოლოდ ორი გზა გვაქვს: ან უნდა ავუწყოთ ფეხი თანამედროვეობას, შევქმნათ კონტრკულტურული, ალტერნატიული ესთეტიკა და ანტიესთეტიკა, რომელიც თავისთავშივე ტრანსფორმირდება ეთიკურ კატეგორიად ან საერთოდ შევეშვათ წერას და დავუჯეროთ დელიოზს, რომ ლიტერატურა ეს ნამდვილი შიზოფრენიაა. მეტიც, მე თუ მკითხავთ, მისი პარანოიდული ფორმაა, რომელსაც ჰალუცინაციურობდვითი სინდრომები და ასოციაციური პათოლოგია ახასიათებს. ასე რომ, მოიმარაგეთ დამამშვიდებლები და წავედით ფსიქიატრიულ ჰოსპიტალებში...

### ოთხშაბათი

ჩვეულებრივი, სტანდარტული სოფლის სკოლის მაკულატურა იყო, სადაც ხის ფიცრებით დაფარული ფანჯრიდან ოდნავ მაინც შემოდიოდა დღის შუქი.

მუხლები მოეკეცა, ხელებით მუჭი შეეკრა და თავი მუხლის თავებზე დაედო. გამხდარ, გრძელ კისერზე გაოფლილი ქერა თმა ეწებებოდა. ჩანთა იქვე იდო, ნახევრად ცარიელი, ალბათ თავიდანვე იცოდა, რომ მხოლოდ ერთ გაკვეთილს დაესწრებოდა.

მძიმე რკინის კარი ფრთხილად დავხურე და გვერდით მივუჯექი. რომ შემომხედა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სწორედ მე მელოდებოდა. ნამტირალევი ჩანდა, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— რა იცოდი, აქ რომ ვიყავი, — მკითხა და მაისურის მაჯა ცხვირზე გაისვა.

— დაგინახე, ორშაბათს აქ რომ შემოხვედი.

— მეექვსე გაკვეთილზე არ ხარ?

— არა, ფიზმომზადება გვაქვს და ალბათ ყველა გაიპარება, ყინავს დარბაზში.

— აქ არ ცივა.

— ჰო, აქ მართლა არ ცივა, — ვუთხარი და ვიდრე რკინის ზარი ირეკებოდა, ორივემ ვიყუჩეთ.

— იცი, ეს ზარი ეკლესიის იყო, — თქვა და თითქოს ცოტა ლაპარაკის ხასიათზე მოვიდაო, ისე ასწია თავი.

— მერე, ვინ მოიტანა სკოლაში?

— რა ვიცი, აბა, აჩუქესო სკოლას, — მხრები აიჩეჩა და გამხდარი, გრძელი ფეხები მუხლებში გაშალა.

— მერე, ეკლესიას?

— ეკლესიას მოპარავენ მაინც და...

იმ დღეს მეტი არ გვისაუბრია. ჩანთები მოვიკიდეთ და სკოლის ღელის მხრიდან ბილიკს ჩავუყევით, რომელიც მთავარ გზაზე გადიოდა. გასასვლელთან ცოტახანს დავყავით, რომ მასწავლებლებს არ დავენახეთ. თოვლი ნაპირზე იყო გადახვეტილი და ერთ-ერთი მასწავლებლის ფეხსაცმლის ქუსლის ხმა მკაფიოდ მოისმოდა. ხმა რომ მიეფარა, გზაზე გავედით. მასწავლებელი ისე ჩქარობდა, მივხვდით, უკან მომხედი არ იყო, ამიტომ უშიშრად მივყვებოდით.

ახლაც მახსოვს იმ მასწავლებლის ცისფერი საზაფხულო ფეხსაცმელები და შავი, თხელი კოლგოტიანი ფეხები, რომლებსაც აქა-იქ ჭყოპის წერტილები დამჩნეოდა.

### ხუთშაბათი

ჩემი სახლიდან მეორე სახლის შემდეგ ორი ტაძარია, ერთი სწორედ ის ეკლესიაა, რომლის ზარიც სკოლაში დაკიდეს. იმ დღეს დაბურღული წყლის მხრიდან ტაძრის ეზოში შევედი და შევამოწმე. ზარი მართლა აღარ ეკიდა და მის ადგილას რაღაც რკინის კონსტრუქცია დედაბოძივით გაეკრათ.

სკოლაში მაგვიანდებოდა და სწრაფად გავედი ეზოდან. ბადურაშვილების სახლის წინ დიდი გუბე ნაპირით გავიარე და სკოლის გზას მივაშურე.

პირველი ისტორიის გაკვეთილი იყო, არ მინდოდა დაგვიანება. მიყვარდა მერაბი მასწავლებლის კეთილი ღიმილი. მისი დიდი მხრები და გაღებული ფანჯრიდან სუფთა ჰაერის ხშირად სუნთქვა. ყველამ ვიცოდით, რომ მერაბი მასწავლებელს გული აწუხებდა. მივიჩქაროდი ისტორიის გაკვეთილზე და ვგრძნობდი, ზურგში მესობოდა მართკუთხა სსრკ ისტორიის მძიმე წიგნი, რომელიც, როგორც გვითხრეს, ძლივს შეგვხვდა ყველას და თუ არ გავუფრთხილდებოდით, დავრჩებოდით უწიგნოდ, რადგან მეტი ასეთი აღარ იყო.

მერაბი მასწავლებელი სიას კითხულობდა, კლასში რომ შევედი. მანიშნა, სწრაფად შემოდიო და ღუმელთან სკამი დამიდგა. შემრცხვა იქ დაჯდომის და მოვიტყუე, ვითომ არ მციოდა.

აბა, დათუკიშვილი ხელებს შეითბობს და რვეულები ამოვიღოთ ყველამო, იხუმრა მასწავლებელმა. ამოვიღეთ რვეულები და ყველა სმენად ვიქეცით. ასეთ დროს მერაბი მასწავლებელი ისტორიის საიდუმლოებებს გვიყვებოდა, რომელიც წიგნში არ ეწერა და სკოლის დირექციასაც არ უნდა გაეგო. ამიტომ ეს ინტრიგა კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა მის მონაყოლს. მაშინ კლასში არ იყო ბავშვი, რომელიც არ იწერდა მერაბი მასწავლებლის იდუმალ გაკვეთილებს. ვისაც რვეული არ ჰქონდა, ფურცელზე იწერდა, და მთავარი კი ისაა, რომ ყველანი ვიწერდით გონებაში, რომ ჩვენ მიწაწართმეული ქვეყნის შვილები ვიყავით და წინ იყო მომავალი, მაგრამ ამ მომავლისთვის ძალიან ბევრი ბრძოლების გადატანა მოგვიწევდა.

იმ დღეს ზვიადი მეორე გაკვეთილიდან გაიპარა. მე — მესამედან. სკოლის მეზობლად ნატაშა ბებოსთან ორი „ლოვე“ კევი ვიყიდე და მაკულატურას მივაშურე. კარი რომ შევაღე, ბნელოდა. ზვიადი იქ არ იჯდა და, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. ის იყო, უკან გამოსვლას ვაპირებდი, დამიძახა, აქეთ ვარო. წიგნების თაროების უკან იდგა და რაღაცას ითვლიდა.

— რას აკეთებ, წიგნებს ითვლი? — ვკითხე და ჩანთა მოვიხსენი.

— აი, დაწყებითი კლასების დერეფანში რომ სურათები იყო, ლენინის, გახსოვს?

— კი, მახსოვს.

— ჰოდა, აქ ალაგია ყველა.

— მართლა? — ვკითხე და მასთან გავედი. თაროების უკან მართლაც ერთმანეთზე ელაგა ლენინის სურათები, საბჭოთა დროშის ემბლემები და წარწერები.

— ოცი აქ დევს და ოცი იქ.

— მაგეების თვლას მათემატიკაზე შემოსულიყავი, გერჩია, — ვუსაყვედურე და კევი მივეცი.

— მათემატიკაზე არა კიდე... — ჩაიბუტბუტა, კევი გახსნა და ნაკლეიკა უკან დამიბრუნა.

— ვაგროვებ.

— მე ტურბოსებს ვაგროვებ.

— მეც ვაგროვებ ტურბოსებს.

— ხვალ წამოგიღებ, ბევრი მაქვს ორორი, — მითხრა და ვიგრძენი, კევიდან წამოსული ხილის ესენციის სუნმა წამიერად როგორ გადაფარა ძველი წიგნების და მტვრის სუნი.

— ხვალ მე ყველა გაკვეთილს უნდა დავესწრო, შენც დაესწარი, ბევრს აცდენ უკვე, — ვუპასუხე, თუმცა სინამდვილეში თავადაც მზად ვიყავი, ხვალაც გამეცდინა გაკვეთილები.

მერე მე ჩემს ესტონურ თავგადასავალს ვუყვებოდი: როგორ ვერ ვჭამე აეროპორტში ჩემთვის უგემური საზამთროს ნაყინი და როგორ დავლიე ტალინში პეპსი, რომელსაც ძლიერი გაზი და ობის სუნი ჰქონდა და რომელიც საქართველოში არ იყიდებოდა. როგორ მოვისმინე ორღანზე შესრულებული მესა, რომელიც სულ სხვა განზომილება იყო. როგორ უნდოდა უშვილო ბალეტის მასწავლებელს ჩემი შვილად აყვანა და როგორ მასწავლიდა ჩუმად ბალეტს. როგორ იეჭვიანეს ჩემმა მშობლებმა, რომ ეს ქალი შვილის წართმევას უპირებდათ. თეთრ როიალზე მთვარის სონატა დავუკარი და ახლა უკვე ბალერინა ქალის ქმარი ერიკიც თანახმა იყო ცოლის წინადადებაზე. მოგვიანებით გავიგე, რომ ერიკი დირიჟორი იყო.

ზვიადს უყვარდა ამ ამბების მოსმენა და ხშირად მაყოლებდა — ზოგჯერ ერთსა და იმავეს. მისმენდა და მეუბნებოდა, ასე მგონია, მეც ვიყავი იქო.

ეს ამბავი ზღაპარივით იყო, რადგან მე, ფაქტობრივად, მაშინ საბჭოთა ქვეყნის გარეთ ვიყავი, სულ სხვა სამყაროში, სადაც თავისუფალ ჯაჭვშიც კი ჩავდექი და მივიღე მონაწილეობა მშვიდობიან აქციაში. ბალტიელი ხალხივით ვყვიროდი — „ვაბადუს“ — რაც თავისუფლებას ნიშნავს. მითხრეს, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მათ არ უნდოდათ იგივე დამართოდათ, რაც ჩვენს ქვეყანას ჭირდა. თვითონაც მიხაროდა, როცა ტალინის ამბებს ვიხსენებდი, რადგან ამ მხიარული ზღაპრის შემდეგ მოსაწყენ მაკულატურაში ვიჯექი, სადაც ვერ გაგვეგო, ვის და რატომ ვემალებოდით.

### პარასკევი

ზვიადი მართლაც დაესწრო ყველა გაკვეთილს. მასწავლებლებიც აღნიშნავდნენ, დაკარგული დაბრუნდაო. ეხუმრებოდნენ, რად გინდა შენ სკოლაში სიარული, ყველაფერი უკვე გადაბულბულებული გაქვსო. ამ სიტყვაზე, რომლის ხსენებაც მასწავლებლებს ხშირად უყვარდათ, ყოველთვის თურქული დრამა „ნარჩიტა“ მახსენდებოდა და გული მიმძიმდებოდა ხოლმე.

გასულ წლამდე ზვიადი ყველა საგანს კარგად სწავლობდა, წელს კი პირველსავე სემესტრიდან ჩამორჩენილი მოსწავლეების სიაში იყო.

გაკვეთილების შემდეგ მშობელთა კრება ჩატარდა. ყველანი დაძაბული ვისხედით, თუმცა მაინც ბუნდოვნად მახსოვს, რაზე საუბრობდნენ მშობლები და მასწავლებლები. მთელი გულისყური იქით გვქონდა — 17:00 საათზე კულტსახლში კონცერტი იყო დანიშნული. რამიშვილი ჩამოდიოდა. ისიც ვიცოდით, რომ თუ ელექტროენერგია გაითიშებოდა, უკვე მზად იყო გენერატორი, რომელსაც დაქოქავდნენ და კონცერტი არ ჩაიშლებოდა.

კრებიდან გამოსულ დედას ვთხოვე, ყვავილები ეყიდა, მინდოდა, ოთარისთვის მიმერთმია.

ციოდა, თორემ ზაფხულში სულ ყვავის ჩემს ეზოში ვარდები. განსაკუთრებით თეთრ ვარდებზე მახსოვს, დედამ თქვა — ჩემი პატარძლობის დროინდელიაო და როცა იმ თეთრს ვარდებს ვუყურებ, თითქოს დედაჩემს ვხედავ, როგორ იდგა თეთრი საქორწინო კაბით.

ერთი სიტყვით, კონცერტი დაიწყო და რამიშვილმა თავისი ჰიტი — „ფუტკარი, როგორც აფთიაქარი“ — შესრულა. მე სცენაზე ავედი, ვარდები მივუტანე და ლოყაზე ვაკოცე. მახსოვს, ოფლისგან სველი ლოყები, ცხელი ხელები და ალკოჰოლის სუნი, მაგრამ ისეთი, სასიამოვნო, რაღაცნაირი ხიბლი ჰქონდა, ისეთი ბუნებრივი იყო, სიმღერასაც არ შეალამაზებდა. შეიძლებოდა, მისამღერის დროს გაჩერებულიყო და ჩაეხველებინა. ეს ყველაფერი ძალიან უხდებოდა.

დარბაზში ბედნიერი დავბრუნდი, მიხაროდა, რომ რამიშვილი პირადად ვნახე. შემდეგი რამდენიმე კვირა კი მხოლოდ ის მესმოდა სამეგობროში, თუ როგორ ვაკოცე გაოფლილ კაცს ლოყაზე.

### შაბათი

შაბათ დღეს სკოლაში შაბათობა გვქონდა. კლასი უნდა დაგვესუფთავებინა. კლასში ძველი მერხები გვედგა, რომელთა ზედაპირიც მელნით იყო აჭრებული და უარეს შემთხვევაში ზედ დანის წვერით იყო ამოჭრილი სახელები, ავტომატები და ტანკები. მერხები ნახევრად რკინის იყო და რადგან სკამები ყველაზე ადვილად გასაფუჭებელი აღმოჩნდა, მხოლოდ მასწავლებლის სკამიღა შერჩენოდა კლასს — დანარჩენი დავამტვრიეთ.

სხვა გზა არ იყო და ეზოდან კუნძები ამოვიტანეთ — სკამების ადგილას გადავანაწილეთ.

იატაკიდან ნახევრადაყრილი პარკეტი შეძლებისდაგვარად დავაწებეთ და კლასიც დაემსგავსა ოთხმოცდაათიანი წლების კლასს.

მეორე დღისთვის გადავწყვიტეთ, გვექეიფა. პირობა ასეთი იყო — უკლებლივ ყველა უნდა ყოფილიყო ქეიფზე და ყველას უნდა ჰქონოდა საშუალება, რომ მაგნიტოფონში თავისი საყვარელი კასეტა ჩაედო.

სახლში რომ ვბრუნდებოდი, გზაზე მასწავლებლების საუბარი გავიგონე. ტრასაზე, კოპერატივში, გამსახურდიას პლაკატები მოეტანათ, რომელზეც მისივე ლექსი ეწერა. ბევრი არ იქნება, ხომ არ ვიყიდოთ, სანამ გათავდებაო. მე ნაბიჯს ავუჩქარე და ცოტა თვალს რომ მივეფარე, სწრაფად გავიქეცი. კოპერატივში გამსახურდიას პლაკატი ერთი ცალიღა დარჩენილიყო. ვიყიდე და სახლისკენ გავეშურე.

წვიმა და თოვლი ერთნაირად მოდიოდა და ქაღალდი რომ არ დასველებულიყო, რულონივით დავახვიე და კურტკის შიგნით დავმალე.

მიხაროდა — ახლა უკვე მარტო მამაჩემს არ ექნებოდა მისი სურათი; მეც მექნებოდა ჩემს ოთახში.

დასასრული მე-16 გვერდზე

ალა დათუკიშვილი

# ჩემი კლასელის საიდუმლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი

# ბექა ქურხული

*ბექა ქურხულის ნოველები პირველად 1991 წელს დაიბეჭდა, მას შემდეგ მის პროზას ლიტერატურულ პერიოდიკაში სისტემატურად ეცნობა მკითხველი. რაც შეეხება წიგნებს — 2004-ში პირველი კრებული „წერტილი... დაკარგული ტერიტორიის დაკარგული ადამიანები“ გამოიცა, ერთი წლის შემდეგ — „სახლი სხვაგან“, 2010 წელს — „შეხვედრა მას შემდეგ“; ერთმანეთს მიჰყვა „ორი მთვარის ამბავი“, „ზაფხულის მოკლე ღამე“, „ქალაქი თოვლში“, „ჩანაწერები 1993-2011“, „ღია კარის ქვეყანა“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ რომანს — „სამოთხიდან გაქცეულები“, დიდი გამოხმაურება მოყვა მის ბოლო კრებულსაც — „სკანდარა და სხვა მოთხრობები“ (ასევე — გამომცემლობა „ინტელექტი“).*

*დანარჩენზე თავად ავტორი მოგვიყვება.*

**— ცოტა ხნის წინ საქართველოს მწერალთა სახლის ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ მოგენიჭათ წლის საუკეთესო კრებულისთვის „სკანდარა და სხვა მოთხრობები“. უფრო ადრე თქვენი რომანი „სამოთხიდან გაქცეულები,“ რომელიც „ინტელექტმა“ გამოსცა, ლიტერატურულ პრემია „საბას“ 2016 წლის გამარჯვებული გახდა „წლის საუკეთესო რომანის“ ნომინაციაში.**

— კიდევ უფრო ადრე, 2014 წელს, რეზო ინანიშვილის სახელობის პირველი პრემია გადმომეცა. რეზო ინანიშვილის სახელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესია. გამარჯვებას თავისი ფასი აქვს, ისევე, როგორც დამარცხებას. მთავარია, იცხოვრო და იბრძოლო, დამარცხდე ან გაიმარჯვო. გამარჯვება და დამარცხება ერთმანეთით ფასობს. გახსოვთ ცნობილი ფრაზა — „შენ გენაცვალე სიკვდილო, სიცოცხლე მშვენობს შენითა“? არ მჯერა ადამიანების, რომლებიც ამბობენ, რომ არ უხარიათ გამარჯვება, რომ ეს მათთვის სულერთია. არ ვენდობი ასეთებს. თუმცა, ლიტერატურული პრემია ნამდვილად არ არის წიგნის მხატვრული ღირებულების უპირველესი და უპირობო შემფასებელი.

პირველად „საბას“ ნომინანტი 12 წლის წინ გახდა ჩემი წიგნი „სახლი სხვაგან“. კიდევ რამდენჯერმე ვიყავი ნომინირებული, სანამ 2016 წელს რომანმა „სამოთხიდან გაქცეულები“ არ გაიმარჯვა. წლევანდელი „ლიტერას“ ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროზაული კრებული“ სერიოზული ავტორები შეიკრიბნენ, უმეტესობა — ჩემი ახლობელი და მეგობარია. ქალბატონი მაკა ჯოხაძე მეზობელია და მის თვალწინ გავიზარდე, ძალიან ნიჭიერი და საინტერესო მწერალი ლადო კილასონია ჩემი ძმაკაცია, „საბას“ პრემიის ორგზის ლაურეატ თეონა დოლენჯაშვილთან მეგობრობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, სანამ ლიტერატურულ ორომტრიალში ჩავებმებოდით, ძალიან მომწონს ნათია როსტიაშვილის პროზა... ასე რომ, პრემიაზე არანაკლებ გამიხარდა მათი მხრიდან გულწრფელი მოლოცვა.

რა თქმა უნდა, არ მაქვს ილუზია, რაკი „ლიტერა“ გადმომეცა, ჩემი წიგნი უფრო მაგარია, ვიდრე ჩემი მეგობრების. არც იმას ვფიქრობ, რომ ფინალში გასული ჩემი წიგნი „საბას“ გარეშე იმიტომ რჩებოდა, რომ გამარჯვებულ წიგნზე „ნაკლები“ იყო. ლიტერატურული კონკურსი თამაშია. მთელი მუღამიც ეგ არის. ძალიან აზარტული, საინტერესო, დრამატული, მაგრამ მაინც თამაში. ლიტერატურას, სინამდვილეში, სულ სხვა გზა აქვს. სხვა მისტიკა. ა, ბატონო, ნობელის პრემია, რომელიც მიანიჭეს ორჰან ფამუქს და გამორჩათ ბორხესი, რომელიც სულ ვერ დაინახავს ფამუქს, იმ სიმაღლეზეა, და არა მარტო უსინათლობის გამო. ისედაც...

ჩვენთანაც, მრავალგზის ნომინანტობის მიუხედავად, პრემიის გარეშე გვრჩებიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც უკვე დატოვეს კვალი უმდიდრეს და უდიდესი ტრადიციების მქონე ქართულ ლიტერატურაში: ამირან (პაკო) სვიმონიშვილი, კატო ჯავახიშვილი, ირაკლი ლომოური, რეზო თაბუკაშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, ნიკა ჯორჯანელი, ირაკლი ჯავახაძე. გაგა ნახუცრიშვილს პრემია 2003 წელს მიანიჭეს საუკეთესო დებიუტისთვის და 15 წელია, უსამართლოდ უვლიან გვერდს; ასევე — ლადო კილასონიას.

მართლა, ლადო არამარტო მწერალი, არამედ მორაგბე და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია. სწორედ „ლიტერას“ დაჯილდოების საღამოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, თავის გუნდთან ერთად, ირლანდიასთან ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და, აი, ეგ იყო გამარჯვება თუ იყო. მთელი საქართველო ყირაზე დავდექით. მოკლედ, ჩემი აზრით, ლიტერატურული კონკურსები, დიდი კულტურული მნიშვნელობის მიუხედავად, ერთპიროვნულ შემფასებლად მაინც ვერ გამოდგება. ლიტერატურული პროცესები, ხშირად, წყალქვეშა მდინარესავით, თავისთვის მიედინება და სულ სხვა კალაპოტს ქმნის.

**— როგორ მოახერხეთ თქვენს ნაწარმოებებში სახეების ასეთი გალერეის შექმნა? საიდან მოდიან და ვინ არიან თქვენი გმირები — ასეთი ცოცხლები (როგორც თეა ბარამაშვილმა დაწერა —„ზედმეტად ცოცხლები“)?**



„ყველას თავისი გზა აქვს“

— არ ვიცი, როგორ მოვახერხე. თვითონაც მაგარი ცოცხალი ვარ („ზედმეტად ცოცხალიც“, იგივე თეა ბარამაშვილის აზრით). არიან შემოქმედები, რომლებიც „მშვიდად“ სხედან სახლში და ქმნიან შედევრებს. მაგალითად, ბორხესი, ჯეიმს ჯოისი, რომელიც ამბობდა — მე რატომ უნდა შევეწირო ირლანდიას, ირლანდია შემეწიროს მეო. ერთი თქვენი ოხერი დედაცო, რა... ჯერომ სელინჯერი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი იყო, ან იქნებ სწორედ მაგიტომაც, სახლიდან მხოლოდ პრეფერანსის და ბრიჯის სათამაშოდ გადიოდა; ჰერმან ჰესე, რომელსაც სახლის კარზე წარწერა ჰქონდა: „უმორჩილესად გთხოვთ, ნუ შემაწუხებთ.“

არიან ისეთებიც, რომლებმაც ყველაფერი თვითონ უნდა ნახონ, განიცადონ, იწანწალონ, გზადაგზა საკუთარი სისხლიანი ხორცის ნაფლეთები ფანტონ. იმდენად ცოცხლები არიან, რომ ბოლოს ტყვიას იკრავენ ხოლმე შუბლში, ან უარესი, წამებით და დიდხანს კვდებიან და მაგას ისევ ტყვიის დახლა სჯობს. რომენ გარი, ერნესტ ჰემინგუეი, ჯოზეფ კონრადი, ჰერმან მელვილი, მიგელ სერვანტესი, არტურ რემბო, გურამ რჩეულიშვილი, ფრანსუა ვიიონი, გიგა თუთბერიძე, ვაჟა გიგაშვილი... ჯარისკაცები, კონტრაბანდისტები, მეზღვაურები, მონადირეები, ავანტიურისტები, მაწანწალები, ბანდიტები... მე მათი მიმდევარი უფრო ვარ და ეს ჩემი არჩევანი არ ყოფილა, ისევე, როგორც ჩემს მეგობარ და ჯგუფელ რატი ქართველიშვილს არ აურჩევია, სევასტოპოლის ქუჩაზე, მე-7 სართულზე თვეობით იყოს გამოკეტილი, იქიდან უბერავდეს ნაირნაირებს და ვერის სასაფლაოდან მოყოლებული, მთელ სამყაროს ეჯღანებოდეს. ეს არ არის ჩვენი არჩევანი, უბრალოდ ასე მოხდა, ასეთებად გავჩნდით... აქ უამრავი რამე მუშაობს — ფსიქიკა, გარემო, გენეტიკა, აღზრდა, ტემპერამენტი, სისხლი... ყველას თავისი გზა აქვს ღმერთისკენ, აღსასრულისკენ, სამოთხისკენ და ჯოჯოხეთისკენ... ყველა თავისი აღსასრულის შესახვედრად მიაბიჯებს. თუმცა ორივე მხარეს „ცოცხლებსაც“ და „წესიერებსაც“ ერთი იმედი გვაერთიანებს — იმედი, რომ ამდენი წამების შემდეგ რაიმე ღირებულს მაინც დავტოვებთ. ღირებულს და ადამიანურს, ნამდვილი ხასიათებით...

**— სკანდარა — კრებულის მთავარი გმირი — რეალური პერსონაჟია. მიამბეთ მასზე.**

— ვფიქრობ, სკანდარაზე უკვე გიამბეთ. მთელი წიგნი დავწერე მასზე. მამაჩემზეც, გადარეულზე. იმ დროს, რომელიც წიგნშია აღწერილი, შედარებით უფრო დაჭკვიანებული იყო. შედარებით... საერთოდ, ქურხულები დედაბუდიანად წერას ატანილები ვართ, რაღაც უცნაური, ატეხილი ბედისწერა მოგვდგამს. ჩვენს მშობლიურ საგარეჯოში „ალის ჯიშისებს“ გვეძახიან. ნიკო ლომოურის მოთხრობა „ალი“ ხომ გახსოვთ? სვანური დალის აღმოსავლური ვარიანტია. ჩემს შვილებსაც ვამჩნევ უკვე საგვარეულო გაფრენებს და გვარიანადაც ვნერვიულობ. შუმერული ქალღმერთი ინანაა რა, გილგამეში და ენქიდუ, თან რომ იფარავს, თან რომ უყვარს და თან რომ ურევს. მამაჩემს და დედაჩემს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, თან ორივე რთული ადამიანი იყო. ათი წლის ვიყავი, რომ დაშორდნენ. დაშორებულებსაც ძალიან უყვარდათ და თან ხოცავდნენ ერთმანეთს. ეს არ იყო კლასიკური „დაშორდნენ, ცივილური ურთიერთობა აქვთ, საერთო შვილი ჰყავთ, შაბათ-კვირას მამას მიჰყავს, მატერიალურად უზრუნველყოფს“... არც ცივილური ურთიერთობა ჰქონდათ, არც შაბათ-კვირებს ითვლიდა ვინმე და მითუმეტეს — არც ფულს. სულ მამაჩემის მანქანაში ვეგდე. 14 წლიდან საჭესთან. გაგვყრიდა დედაჩემი — უნდა ვწეროო — და ავახვევდით ბედნიერები. მოიწყენდა, ან წერა დაეზარებოდა, მოგვაბრუნებდა უკან. ვაახ, რა დღეში ვართ, ამას ვის გადავეყარეო — ბუზღუნებდა მამაჩემი ჯემალა, თან მანქანას აბრუნებდა.

ერთხელ ასე მოგვაბრუნა. მე და მამაჩემს ბლომად ალუჩა გვქონდა ნაყიდი, რომ გზაში გვეყბედა და კურკები ფანჯრიდან გვეყარა. მარტოები ვართ რა, თავისუფლად, ჩვენს ხოშზე. ჩაგვიჯდა უკან დედაჩემი — სულ უკან იჯდა — და გვეჩხუბა, ნუ ისვრით კურკებს ფანჯრიდან და, საერთოდ, რა უბედურებაა ამდენი ალუჩაო. რა გინდა, ტო — ვეუბნებით — კახეთის ტრასაა და კურკაა რა, ალუჩის კურკა. გაგვიხურა მთელი ცხოვრება მაგისმა ესთეტიზმმა და რაფინირებულობამ. ვჭამთ მე და მამაჩემი ამ ალუჩას ჩუმად, „შკოლნიკებივით“, სიცოცხლე აღარ გვინდა. შეგვამჩნია დედაჩემმა, სტაცა ხელი ჩვენს ალუჩას და მოაფრიალა, გაგვიბნია გზაზე. გაგიჟდა მამაჩემი, დასაბმელი გახდა: „რა გინდა, ლეილა ბეროშვილო... — როცა ბრაზდებოდა, ასე ეძახდა, ლეილა ბეროშვილოო — რას გადამეკიდე, ხო გამშორდი, შენი დედა ვატირე, ახლა მაინც მომასვენე, წადი რა იმ შენს ბეროშვილებთან“... კვდებოდა სიცილით დედაჩემი. სად წავიდოდა, ჯემალა და მე ვიყავით მაგისი ქმარიც, შვილიც, ძმაც, მამაც და კლანიც.

ძალიან ლამაზები იყვნენ. და ძალიან ტრაგიკულები. და ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. გვიყვარდა რა, ახლაც გვიყვარს.

ახლა აღარ არის მოდაში, ოჯახის წევრებს ერთმანეთი რომ უყვართ. რატომღაც ის უფრო საინტერესოა, შვილიშვილს ბებია რომ ეზიზღება, გოგოს — დედა და, ბიჭს — მამა; იმიტომ, რომ თურმე მამა მთვრალი მოვიდა, მეზობლებს აგინა და ამიტომ სამუდამოდ დაენგრა ფსიქიკა და დღემდე სძულს და ეგეთი ბითურობა. ჩვენ მართლა გვიყვარდა და გვიყვარს ერთმანეთი. რა ვქნა, ხომ ვერ დავაბრალებ იმ ცხონებულებს, თავისი სისულელეები არ ეყოფათ? ისე, თუ ვინმე დამშვიდდება, ისიც უნდა ვთქვა, რომ ხშირად სიყვარული გაცილებით ტრაგიკულია, ვიდრე სიძულვილი. თუმცა სხვანაირი ძალა კი მოსდევს, ძალა და სილაღე...

ჯერ მამაჩემი გარდაიცვალა, 2000 წლის 1 ივლისს, მერე დედაჩემი — 2016 წლის 10 თებერვალს. რავი... ვარ ეგრე. ხშირად ველაპარაკები ხოლმე, ვუყვები ამბებს, ვჩხუბობთ. ღამღამობით სიზმარში ვაკითხავ.ისევ ისე არიან, როგორც აქ იყვნენ. ვინმეს თუ აინტერესებს, საიქიოში ადამიანი დაახლოებით ისევეა, როგორც აქ. აქ ქმნი შენს იქაურ ყოფას. ამ მხრივ მღვდლები, მოლები და რაბინები მაინცდამაინც არ იტყუებიან.

მე ჯერ აქა ვარ და ცოცხლად დარჩენილებიდან ყველაზე მეტად ჩემი ერთადერთი დეიდა, დედაჩემის და, ნინო ბეროშვილი მიყვარს.

**— სკანდარამ, ანუ ისკანდერმა და მისმა შვილმა თუ წაიკითხეს წიგნი?**

— არა, სკანდარა რუსეთშია. წავიდა და წავიდა. მაისში ჩემს ფშავლებთან ვსვამდი, გომბორში, ასკილაურის სასაფლაოზე, პაპაჩემის, გიჟიაკობის მეწყერისგან დატეხილ, ჯაგგადავლილ ნასახლართან — მაშინ მითხრეს. ალუმინის მაფიაშია ციმბირში და კარგად არისო. მაგარი ბიჭი იყო. ასეთი რამე შემთხვევით არ ხდება: შენი საქციელი თითქმის ორმოცდაათი წელი ახსოვდეთ, თან ფშავლებს, როცა შენ აზერბაიჯანელი ხარ. მაგათ ისევ შაჰ აბასი და ბახტრიონის აჯანყება ახსოვთ, იმის მერე ჭკუა კი არ მომატებიათ... დატოვა ამ აზერბაიჯანელმა ბიჭმა სახელი. იმ გოგოს, მის შვილს, რო გადამაყოლეს, მალვინა რქმევია. ისიც რუსეთშია, მამამისთან. მალვინა. მაგარი სახელია, არა? მალვინა. არ ვიცი, შეიძლება ეს წიგნიც წაიკითხონ. ყველაფერი ხდება. დიდი ხანია, აღარაფერი მიკვირს. თუ არა და, არც ეგ არის დიდი ბედენა. მთავარია, ამბავი დარჩა.

**— „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ „სკანდარა და სხვა მოთხრობებს“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ლიტერატორებისგან.**

— სამი ძალიან საინტერესო რეცენზია დაიწერა. რამდენიმე ტელეგადაცემაც მიეძღვნა წიგნს. არ შემიძლია, არ გამოვყო მარიამ ჯანელიძის სიუჟეტი, რომელიც „იმედის შუადღისთვის“ მოამზადა. გომბორში გადაიღო „სკანდარას“ გმირები და პატარა ხოშიანი ფილმი გამოუვიდა. ძალიან მაგარი გოგოა, თვითონაც მშვენივრად წერს, თუმცა, როგორც ნიჭიერი ადამიანების უმრავლესობა, ზედმეტად მორცხვი და თავმდაბალია.

**— ამ ნაწარმოებს განსაკუთრებულ ძალას თუ ენერგიას ისიც სძენს, რომ მოქმედება გომბორში ვითარდება, დიდი ამბების და ვნებების ადგილას.**

— გომბორი ჩემი სახლია. ჩემი „ვოტჩინაა“. მამაჩემის პაპა, დედის მხრიდან, იაკობი, ფშავიდან, მათურიდან ჩეჩენ მოსისხლეებს გამოერიდა, რომლებიც ნათესავებადაც ერგებოდნენ. ბებიაჩემი და მამაჩემიც უკვე იქ, გომბორში დაიბადნენ. სამი სამკვიდრო მაქვს: საგარეჯო, სადაც ქურხულები მე-17 საუკუნის დასაწყისში, ხადას ხეობიდან ჩამოგვასახლეს დავით-გარეჯის დასაცავად ღაზნელებთან ერთად. მერე ეგვარი გაწყდა. საგარეჯოში ქურხულები უკვე 1649 წელს მოვიხსენიებით, ნინოწმინდის ეკლესიის არქივებში; გომბორი — მამაჩემის დედულეთი; და დედაჩემის სოფელი ყვარლის რაიონში, ახალსოფელი. ამ მხრივ, მართლა უბედნიერესი და განებივრებული კაცი ვარ. ამ ახალსოფელს კომუნისტების შემოსვლამდე ულამაზესი სახელი „ძველი გავაზი“ ერქვა. მოვიდნენ ეს „ტუპიაკი“ ბოლშევიკები და დაარქვეს ახალსოფელი. მერე აღარ დაიბრუნეს ის ძველი სახელი. კახელები ხო იცით, გადასხდნენ ნაცარა ვირზე და მორჩა — მოიდა ბიჯოო, რა უნდა შევცვალოთ, იყოს როგორც არის იგრეო. არადა, ახალსოფელი ერთი ოცდაათი მაინც არის საქართველოში და ეს „ძველი გავაზი“ უნიკალური ისტორიული სახელია.

გომბორში მართლაც უნიკალური მრავალფეროვნებაა. პირდაპირ გასაოცარი პასტორალური პალიტრაა. სხვაგან სად ნახავ ხევსურული აქცენტით მოლაპარაკე რუსის კაზაკს ან ფშაურ ხატობაში აზერბაიჯანელები დამბალ-ხაჭოს და კეცეულს რომ ჭამდნენ და ჩვენს სალოცავებს გაუმარჯოს, გვწყალობდესო, ილოცებოდნენ. თან არ დაგავიწყდეთ, ნამდვილი შიიტი მუსლიმები არიან, ვიღაც რჯულგანდგომილები კი არა. ამათ გარდა იქ არიან პოლონელები, ოსები, სომხები, ებრაელები. ნამდ-






ვილი ბაბილონის გოდოლია. ახლა დაცლილია სოფელი, ჩემს ბიჭობაში კი მანქანები გვერდს ვერ უქცევდნენ ერთმანეთს. დღეს ისე შეიძლება აიაროს ულამაზესი სოფელი, ორი კაცი არ შემოგეყაროს. არც არავის ვამტყუვნებ, მე რატომ არა ვარ მაშინ იქ? გული კი მაგრად მწყდება და ალალად ვგულშემატკივრობ იქაურობას. ჭირისუფლებიც და მეპატრონეებიც ჰყავს გომბორს, ეგრეც არ არის. ზურა ქისტაური სკოლის დირექტორი, ლეილა არჩემაშვილი, ელისო რკინაული. ახლახან შევხვდი გომბორის სკოლის ბავშვებს. ნამდვილი დეჟავიუ იყო, მთელი წარსული უკან მოტრიალდა. ბიჭს ვუყურებ, მამაჩემის ნათლულია, ბაქარა კორნილოვი, ვალერას ბიჭი, ოლონდ ეგ ბაქარა ცხინვალის ომში მოკლეს რუსებმა, ზემო ნიქოზში, 1992 წელს. ხო ეგ იყო, მისი უმცროსი ძმის, ბაკურა კორნილოვის შვილი, საოცრად ჰგავდა ბიძამისს და სახელიც მისი ერქვა. ადგა ბავშვი, ამილ ჯაფაროვი — აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანელი ფარუტას შვილიშვილია, იმ ფარუტასი, რომელმაც რუსის ჯარისკაცებთან სასიკვდილო ჩხუბის დროს დაიხსნა ახალგაზრდობაში ჯემალა. ფაქტობრივად, სიკვდილს გადაარჩინა. მაგ ჩხუბის დეტალებს აღარ მოვყვები, თორემ დამბრიდავს მამაჩემი, არ უყვარდა გახსენება. რუსი ოფიცრების ცოლებში დაძვრებოდა გომბორის საბჭოთა სამხედრო ნაწილში. ამოუვიდათ ყელში „დობლესტნაია კრასნაია არმიას“ ოფიცრებს, სალდათები დაახვედრეს და ერთი დაშხოშიანად ჟეჟეს ეს ჩემი ჯემალა... ეს ფარუტა დილით ფიჩხზე გამოსულა ვირით, შემთხვევით დაუნახავს დალეწილი მამაჩემი და... კაი, ხო, აღარ მოვყვები... მოკლედ, ჩემი სოფელია რა გომბორი, ჩემი სახლია...

**— ძალიან ხშირად წერთ სიკვდილზე, არც ბოლო კრებულშია უმაგისობა.**

— ჩემი თაობა ტყვიის სროლასა და ახლადგათხრილ საფლავებთან გაიზარდა. საშინელებაა ეგა და უბედურება. მე, პირადად, ამაში ვერაფერ საინტერესოს და რომანტიკულს ვერ ვხედავ. ჩემს დროს ასევე მოდაში იყო ციხის რომანტიკა, „ნაჯდომი“ ვარ და ისა... მისტიკა ხო, შეუცნობელი ხო, გამოცდილება ხო, მეტი სიკვდილის მახინჯი დედაც... ვერ ვიტან. ამ პერიოდმა მთელ ჩემს თაობას, ეგრეთ წოდებულ 90-იანელებს, თავისი დაღი დაგვასვა. ზოგმა გავუძელით, ზოგმა ვერა. დარწმუნებული ვარ, ვისაც გვგონია, რომ გავუძელით, ვერც იმათ, ვერა... არ არსებობს... „ჩემი ძმაკაცების სახელები“ ჩემს სამ გარდაცვლილ უახლოეს ძმაკაცზეა. გელა ხაჩიძეზე — „გელორდაზე“ — ჩემ კლასელზე; ზაზა გერკეულზე — ჩემს სკოლელზე და ამირან პაკო სვიმონიშვილზე. პაკოს ყველა იცნობდით.

არც ვიცოდი, „სკანდარას“ რომ ვწერდი შარშან შემოდგომაზე, მამაჩემის ორი უახლოესი ძმაკაცი და მეზობელი გარდაცვლილა ერთმანეთის მიყოლებით, ვალერა ვაისმანი და გოდერძი ხიზანიშვილი. ღმერთმა სული გაუნათლოთ. მამაჩემთან ერთად გაიზარდნენ. ორივე მოხსენიებული მყავს წიგნში. მე მათზე ვწერდი, ისინი კი წავიდნენ. სიკვდილი სულ თან დაგვდევს და რა ვქნათ, მხოლოდ იმ სულელური მიზეზით ხომ ვერ მივატოვებთ ჩვენს ძმაკაცებს და ახლობლებს, რომ მოკვდნენ?

**— როგორც ვიცი, აფხაზეთში ჩავიდა თქვენი წიგნები, თუ საიდუმლო არ არის, როგორ მოხდა ეს?**

— აფხაზებმა წაიღეს. აქ იყვნენ ჩამოსულები. ასეთი შექსპირისეული დრამა გათამაშდა აფხაზეთში: აფხაზ გოგოს და ქართველ ბიჭს შეუყვარდათ ერთმანეთი. ეგ კიდევ არაფერი, აფხაზებს და ქართველებს შორის შერეული ქორწინება ყოველთვის იყო და ბოლო წლებში კიდევ უფრო გახშირებულა. საქმე ის არის, რომ ეს ქართველი ბიჭი იბრძოდა, მერე პარტიზანობდა და იქ, აფხაზეთში, დაუსწრებლად 11 წელი აქვს მისჯილი. როგორია? მოკიდეს ხელი ერთმანეთს და მოხიეს თბილისში. აგერ ცხოვრობდნენ, მელიქიშვილზე. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ მათი აქ ყოფნა 17 მაისის სულელურ არეულობას დაემთხვა. დაიძაბნენ, მთავრობის სასახლის წინ რომ მოხვდნენ. შიში აქვთ დარჩენილი მაინც. აქ სროლას ხომ არ ატეხავთო? არა, ნუ გეშინიათ და რომც ატყდეს, მთავრობის სასახლის წინ ქართველები, როგორც წესი, ერთმანეთს ვხოცავთ, თქვენი დარდი არავის ექნებამეთქი. ყველას ხაზგასმით ვეუბნებოდი, რომ აფხაზები იყვნენ, მინდოდა, დაენახათ, რომ არავინ ერჩოდათ. ბევრი ვიჩხუბეთ და ვიკამათეთ ის სამი დღე. მანამდე ინტერვიუ მივეცი „ევერპრესს“ — ნინო თოლორაიას — რომელიც აფხაზურ და რუსულ ენებზეც გამოდის. იქაც ის ვთქვი, რასაც ვფიქრობ. ვერ ვეფერები ხოლმე. როგორც არის, ისე ვეუბნები. ისინიც თავისას მეუბნებიან. არ უნდა რა ამ კავკასიას ეს ფსევდოპოლიტკორექტულობა და ბლეფი. პირდაპირ უნდა უთხრა. სხვათა შორის, თვითონ აფხაზებსაც აღიზიანებთ ეს ჩვენი მდარე და უგემოვნო, ყალბი და დამტკბარი კლიპები და ფილმები. რა „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“? რის „დალიეთ, ბიჭებო, ეს ფსოუს წყალია“?.. აფხაზური ოჯახი არ არის, ორი-სამი ჩვენგან მოკლული არ ეწვინოს მიწაში. მთიელი ხალხია, თავისი ვენდეტით და ღირსების კოდექსით, თავისი კომპლექსებით, შიშებით და ტრაგედიით. რას ვუმღერით აქედან, რა ფილმებს ვიღებთ? და რუსეთი რომ საერთო მტერია და ბოლოს გავერთიანდებით, მერე იქიდან ერთი ჩეჩენიც გამოჩნდება, ახმადა ერქმევა, და ყველა ერთად დავცხებთ რუსებს... საბავშვო ბაღი. 20 წელია, ჩეჩნებთან ვძმაკაცობ და პანკისში ვარ. ასიდან ერთ ჩეჩენს არ ჰქვია ახმადა, სულ სხვა სახელები აქვთ. ამათთან კიდევ— ახმადა. და წავიდაა. რატო აკეთებ იმას, რაც არ იცი? ეპატაჟია? მომგებიანი თემაა? იქ ორივე მხარეს ხალხი ჩაიხოცა. სისხლზე ეპატაჟი, პიარი და სპეკულაცია კარგი საქციელია? მაგრად მწარდებიან ამაზე. საერთოდ, თუ დაკვირვებიხართ, სულელები ყოველთვის ეშმაკობენ, იმიტომ, რომ იმდენად სულელები არიან, თავი სხვებზე ჭკვიანები ჰგონიათ და ფიქრობენ, ვინმეს მოატყუებენ. აი, მაგ დღეში ვართ ჩვენ. წიგნები კი რა, ჩაილაგეს ჩანთაში და წაიღეს. იტალიურად თარგმნილიც წაიღეს. ისე, ცოტა ხანში აღმოჩნდება, რომ აფხაზებს ქართულიც ესმით და ლაპარაკობენ კიდეც. დედა ყავს ქართველი, ან ბებია მაინც. ძალიან დარდობენ. ისინიც გამოუვალ მდგომარეობაში არიან. კარგი, ომი იყო, ვიომეთ, ომის მერე? ამდენი წელია, ერთმანეთს ვაგინებთ და ვაბრალებთ. გონიერი კაცი თქვი შენ, თორემ სულელი და გამყიდველი არც ქართველებს გველევა, არც — აფხაზებს.

ცოტა ხნის წინ მიწისძვრა რომ იყო, მე, ჩემი ძმა ლექსო და გაგა ნახუციშვილი ნახცოსთან ჩვენი ფეხბურთელების საცოდაობას ვუყურებდით. მაშინ დარეკეს — ხომ მშვიდობა გაქვთ, მიწისძვრა ყოფილა, ვინერვიულეთო...

რა უნდა ქნა?..

**— „დილის გაზეთში“ გატარებულმა წლებმა, კავკასიისა და არამარტო კავკასიის ცხელ წერტილებში მომზადებულმა რეპორტაჟებმა, სხვადასხვა დროს ჩეჩნეთში, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ჩრდილოეთ ოსეთში, ინგუშეთსა თუ პანკისის ხეობაში, ასევე ავღანეთში სახიფათო მოგზაურობებმა დიდი გავლენა იქონია თქვენს შემოქმედებაზე. ის შთაბეჭდილებები, ემოცია ახლა თქვენს ნაწერებშია. თუმცა თქვენ არა მხოლოდ ნანახისა და გაგონილის „იმედად“ ხართ, არამედ არქივებსაც ხშირად სტუმრობთ და დოკუმენტურ პროზას სწორედ ასე ქმნით.**

— „სამოთხიდან გაქცეულებზე“ მუშაობისას — რომანი საქართველოს დამოუკიდებლობის წინა პერიოდს და ყველა იმ ქარტეხილს მოიცავს, რაც თავს დაგვატყდა — ბუნებრივია, არქივებს, დოკუმენტურ მასალას მივუბრუნდი და ჩემთვის ბევრი მოულოდნელი და ახალი რამ აღმოვაჩინე. მაგალითად, ის, რომ 1992 წლის ოქტომბერში გაგრაზე იერიშს არა მხოლოდ ჩრდილოეთკავკასიელი კონფედერატები, შამილ ბასაევი და აფხაზები ახორცილებდნენ; შეტევას პირდაპირ ხელმძღვანელობდა ოთხი რუსი გენერალი, „გეროი რასიი“იური ვორობიოვი, ყაბარდოული წარმოშობის რუსი გენერალი სოსლანიევი, ყუბანელი „ვოისკოვოი ატამანი“ საინტერესო გვარით, პროხოდა, და, რაც მთავარია, „დვაჟდი გეროი რასიი“ რუსეთის ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ.

1992 წელს ცხინვალის ოპერაციას ქართველების წინააღმდეგ ნიქოზის მიმართულებით სწორედ იქ, სადაც ბაქარ კორნილოვი მოკლეს, ხელმძღვანელობდა გენერალი ასაპოვი. ცოტა ხნის წინ ჩააძაღლეს სირიაში.

საერთოდ, ამ რომანს „სამოთხიდან გაქცეულებს“, დიდი გამოხმაუება მოჰყვა. ლიტერატურული პრემია „საბას“ გარდა, უამრავმა ჩემთვის საპატივცემულო ადამიანმა დამირეკა შთაბეჭდილებით. თამაზ ჭილაძემ, ლაშა თაბუკაშვილმა... ყველაზე ძალიან კი ახალგაზრდა თაობის დაინტერესებამ გამახარა. ძალიან ბევრი ზარი და მესიჯი იყო. განსაკუთრებით გამახარა იმან, რომ რეგიონებიდან მიკავშირდებოდნენ. შთაბეჭდილებები გამიზიარეს ოსებმაც, ვინც ამ ტრაგიკული ამბების მომსწრე და მონაწილე იყო.

ძალიან მძიმე ამბები გამოვიარეთ და წიგნიც მძიმე გამოვიდა.თუმცა, ვფიქრობ, არც ირონია აკლია. ჩემთვის თვითირონია პირველი ნიშანია იმისა, რომ ადამიანი საღად აზროვნებს.

**— ავღანეთიც ჩვენი ბედისწერა გახდა...**

— თუ ჩვენ გავხდით ავღანელების ბედისწერა? ირანის არმიაში ვმსახურობდით თუ საბჭოთა რუსულ ჯარში — ავღანეთში გვიკრავდნენ ხოლმე თავს. ახლაც ავღანეთი. საოცარი ქვეყანაა... უცნაური და საშინელი ბედისწერით. ჰელმანდში ვიყავი, სადაც მეფე გიორგი XI-ის აკლდამაა. პუშტუნისტანში, პაკისტანის საზღვარზე ქართული ბაზებია „შუკვანი,“ „ერედვი“... ჩვენს ჯარისკაცებს ძალიან კარგად ეჭირათ თავი, ეკლესია აიშენეს. სასადილოს „ხეჩოს დუქანი“ დაარქვეს. ვერავინ უყურებს ზემოდან, თუმცა დიდი მსხვერპლია. 33 კაცი ძალიან ბევრია. ახლა — დაჭრილები. ქაბულიდან ჰელმანდამდე ორი საათი ვიფრინეთ ფრანგული სამხედრო თვითმფრინავით. მერე ის თვითმფრინავი ჩამოვარდა. სანამ იქ ვიყავით, სულ სროლა იყო, მაგრამ გამიმართლა. ეგეთებში ძალიან „ფარტოვი“ ვარ — იღბლიანი. რომ დავბრუნდით, რამდენიმე დღეში ზედიზედ ორი თავდასხმა მოხდა სწორედ იმ ბაზებზე, სადაც ვიყავი. შაჰიდები შეცვივდნენ. ყველაზე მეტი ჯარისკაცი მაგ თავდასხმის დროს დაგვეღუპა. ამ შეტაკებაში ძალიან მაგრად იბრძოლა ჩემმა ძმაკაცმა, პოლკოვნიკმა კობა ახვლედიანმა, კობაც აფხაზეთიდან არის — რეჩხელია.

რაც შეეხება მოთხრობას „მუსაქალა“, ავღანელებზეა, თალიბებზე. შევეცადე, მათი მხრიდან შემეხედა ამ ომისთვის. ჩემთვის ომში მართალი არის ის, ვინც თავის მიწას იცავს, ვის ქვეყანაშიც არის ომი. ეს ხალხი ჩემს თანაგრძნობას იწვევს და ეს არც მოთხრობაში დამიმალავს. ავღანეთი ავღანელებისაა, მუსაქალა — მუსაქალელების და თუ ყველა თავის „ავღანეთში“ დაეტევა, ომიც აღარ იქნება. თუმცა ეს ალბათ უფრო თომას მოორისებური უტოპია უფროა...

**— „მუსაქალა“ ბოლო მოთხრობაა კრებულისა „ქალაქი თოვლში“, რომელიც იტალიურად თარგმნა ნუნუ გელაძემ, „Stilio Editrice“-მ კი გამოსცა.10 მაისს კრებულის პრეზენტაცია ტორინოს წიგნის ფესტივალზე გაიმართა. ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალია, თავის დროზე მას თომას მანი სტუმრობდა... დანარჩენი თქვენ გვიამბეთ.**

— ამ კრებულის პირველი მოთხრობა „მკვლელი“ აფხაზეთის ომზეა. გალელ პარტიზანებზე. „ტყის ძმები“ გახსოვთ? სხვებიც იყვნენ. იგივე პოლკოვნიკ კობა ახვლედიანის ბრიგადა. ბოლო, „მუსაქალა“, კი ავღანეთზეა. მოკლედ, ასეა, აფხაზეთიდან ავღანეთამდე. სწორედ ეს წიგნი წაიღეს ჩემმა აფხაზმა სტუმრებმა ქართულადაც და იტალიურადაც. სამწუხაროდ, აფხაზურად არ არის თარგმნილი. არადა მაინტერესებს აფხაზი მკითხველის აზრი.

ეს წიგნი ბრწყინვალედ თარგმნა ქალბატონმა ნუნუ გელაძემ. ძალიან დიდი შრომა შეალია, ყოველ დეტალზე მირეკავდა, წუხდა, იკვლევდა, აზუსტებდა. უდიდესი პროფესიონალია და მისი უზომოდ მადლობელი ვარ. საერთოდ, ქართულ-იტალიური ლიტერატურისა და კულტურის დაახლოების თვალსაზრისით, ქალბატონი ნუნუ გელაძე, ვფიქრობ, ერთი ინსტიტუტის სამუშაოს ასრულებს. „ქალაქი თოვლში“ევროკავშირის პროექტ „Confinanziato dal programma Europa creativa dell Unione europea“-ისა და საქართველოს ეროვნული წიგნის ცენტრის მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში ითარგმნა. 10 მაისს კი ტორინოს ლიტერატურულ ფესტივალზე მოეწყო წიგნის პრეზენტაცია. მშვენიერი საღამო გამოვიდა. იქ დაგვხვდა პავიის უნივერსიტეტის პროფესორი სოლომონ ნერგაძე, გადასარევი, ძალიან საინტერესო ადამიანი. ნამდვილი დავით კლდიაშვილისეული იმერელი აზნაური იტალიაში, რომელიც ზედ გადაგვყვა და ძალიან დავმეგობრდით. საერთოდ ფანტასტიკური დღეები გვქონდა ჩვენი იტალიელი მასპინძლებისა და დონ სოლომონის დამსახურებით.

ტორინოს ლიტერატურულ ფესტივალს რაც შეეხება, მართლაც ძალიან მასშტაბური მოვლენაა, უდიდესი და უმდიდრესი ტრადიციებით, თავისი თომას მანით და უზარმაზარი სივრცით. აქვე უნდა წავიტრაბახო, რომ იმ დღეებში „ქალაქი თოვლში“ ყველაზე მეტი გაიყიდა და როგორც მითხრეს, გამომცემლობის ბესთსელერი გახდა. ახლა რას იზამს, ვნახოთ.

კარგი, მეყოფა ტრაბახი...

**— სათქმელი ალბათ კიდევ ბევრი გაქვთ. მე ლიტერატურულ „აფეთქებებს“ თქვენგან კიდევ ველოდები. ახლა თუ მუშაობთ რამეზე?**

— უღრმესი მადლობა თბილი სიტყვებისთვის. მეც ველოდები ჩემს „აფეთქებას“. თუ „ავფეთქდი“, ხომ კარგი, თუ არადა, დამთავრებულა. ამ ქვეყნად ყველაფერი მთავრდება, მათ შორის, „აფეთქებებიც“. ვნახოთ. აგერ უკვე ორი თვეა. ყოველ დილით ვემზადები სამუშაოდ და „ასაფეთქებლად,“ მაგრამ ჯერ ერთი სტრიქონიც ვერ დავწერე.

*ესაუბრა თამარ ჟურული*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი

# ზვიად კვარაცხელია

*გამომცემლობა „ინტელექტი“ 1994 წელს დაარსდა და მას შემდეგ მრავალი საინტერესო, მნიშვნელოვანი და პოპულარული პროექტი შესთავაზა მკითხველს. მხატვრული და დოკუმენტური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, კლასიკური და თანამედროვე პროზა და პოეზია, სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები და სასკოლო სახელმძღვანელოები — ყოველწლიურად 300-ზე მეტი დასახელების წიგნი „ინტელექტის“ კაპიტალია.*

*გამომცემლობას სახელი განსაკუთრებით გაუთქვა სერიებმა „ნობელის პრემიის ლაურეატები“, „100 ლექსი“, „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი“, „ჩანაწერები“, „ინტელექტი სკოლას“, „აკრძალული წიგნების თარო“...*

*„ინტელექტი“, შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართველი მწერლების დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერია. სწორედ ახალგაზრდა მწერალს აბარია მთავარი რედაქტორის საპასუხისმგებლო მისია გამომცემლობაში ბოლო რვა წელია. ზვიად კვარაცხელია ლიტერატურული პრემია „საბას“ 2014 წლის ლაურეატია, ის „ინტელექტის“ გამოწვევებზე, წარმატებებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს; ცოტას — საკუთარ შემოქმედებაზეც.*

**— გამომცემლობა „ინტელექტი“, ისევე როგორც ქართული გამომცემლობების უმეტესობა, „უფასო სახელმძღვანელოების“ ცნობილი რეფორმის შედეგად, წლების წინ დიდი ფინანსური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. გამომცემლობამ ბევრი იბრძოლა არა მარტო საკუთარი, არამედ, ზოგადად, საგამომცემლო სფეროს ინტერესების დასაცავად. საინტერესოა, რამდენად შედეგიანი იყო თქვენი ბრძოლა. ფაქტია, „ინტელექტმა“ გაუძლო გამოწვევებს და დღეს ის კვლავ ერთ-ერთი მსხვილი და წარმატებული გამომცემლობაა. როგორ მოახერხეთ, გადაგელახათ წინააღმდეგობები და რა მდგომარეობაში ხართ დღეს?**

— ეს ბრძოლა ახლაც გრძელდება. დამეთანხმებით, ადვილი ნამდვილად არ არის, როცა სისტემას ებრძვი, მისთვის და საზოგადოებისთვის შენი სიმართლის დამტკიცებას ცდილობ, ის კი ყველა ხერხს იყენებს იმისთვის, რომ არაფერი გამოგივიდეს. ამას გარდა, მიუხედავად ჩვენი მუდმივი მზადყოფნისა მოლაპარაკებისთვის, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, ვისაც ეს სფერო ებარა, მხოლოდ იმას ცდილობდნენ, სახელი გაეტეხათ საგამომცემლო სფეროსთვის და პარალელურად უხვად ესარგებლათ ჩვენ მიერ მომზადებული მაღალი დონის სახელმძღვანელოებით — უკანონოდ, შეუზღუდავად დაებეჭდათ ისინი წლების განმავლობაში. პარადოქსული ამბავია, აქეთ სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემელს ლანძღავ, იქით მათ გაკეთებულ საქმეს ისაკუთრებ და პოპულისტური მიზნებისთვის იყენებ. მინისტრები იცვლებიან, სისტემა კი უცვლელი რჩება და თავისი ჩანაფიქრების განხორციელებას განაგრძობს.



**„მწერლობა ცხოვრებას აღწერს“**

რაც შეეხება იმას, თუ როგორ გადავრჩით: ახლა რომ ვიხსენებ და ჩემს ძველ ბლოკნოტებს ვათვალიერებ ხოლმე, ვხვდები, უკიდურესად კრიზისული მდგომარეობის დროსაც, თუკი შენი საქმე გიყვარს და გჯერა იმისა, რასაც აკეთებ, შეგიძლია, საკუთარ თავში იპოვო ძალა, რომ გადარჩე და უფრო მეტიც — წინსვლის, განვითარების უნარიც შეგრჩეს. ერთადერთი ის მენანება: ბრძოლასა და კრიზისების დაძლევაში ძალიან დიდი, ფაქტობრივად, აუნაზღაურებელი დრო და ენერგია დაიხარჯა. ამის გამო ბევრი პროექტი გაჩერდა და უამრავი წიგნი ვერ მივიდა მკითხველამდე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფერმა სერიოზული გამოცდილება შეგვძინა.

**— გაზაფხულზე მწერალთა სახლის მიერ დაწესებული ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ უმეტეს ნომინაციაში სწორედ „ინტელექტის“ ავტორებს გადაეცა (სოსო მეშველიანი, ლელა სამნიაშვილი, ბექა ქურხული). ლიტერატურულ კონკურსებში „ინტელექტი“ ლიდერობს, ეს მეტყველებს გამომცემლობის დამოკიდებულებაზე თანამედროვე ქართული მწერლობის მიმართ.**

— ჩემი ერთი მეგობარი მეხუმრება ხოლმე, ბოლო რამდენიმე წელია, ყველა პოეტური და პროზაული კრებულის ნომინაცია „ინტელექტისაა“, მადრიდის „რეალივითო“. რაღა დაგიმალოთ, მიხარია, ასე რომ ხდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ თანამედროვე ქართველი ავტორების ნაწარმოებების გამოცემის საქმეს. მგონია, რომ უამისოდ არაფერი გამოვა და თუკი მხოლოდ კლასიკური ლიტერატურით მოვიწონებთ თავს, რაღაც დროის შემდეგ, ის კლასიკური ლიტერატურაც აღარავის დააინტერესებს. მწერლობა ცხოვრებას აღწერს და საქმეში ჩაუხედავი ადამიანები, რომლებიც ბრალმდებლებივით ამბობენ — „ილია და გალაკტიონიც მწერლები არიან და ეგენიცო?“ — ბოდიში და, აზრზე არ არიან, რას ნიშნავს თანამედროვე ლიტერატურა — მწერლობა, რომელიც აქ და ახლა, შენ თვალწინ იქმნება; რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ მწერლებს და ქართულად გამოცემული წიგნისგან მაქსიმუმს მოველით, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, როგორ პირობებში, რა ძალისხმევის ფასად იქმნება ყველაფერი. განათლების ბოლო ოთხი მინისტრიდან წიგნის ფესტივალზე არც ერთი მოსულა— ამ ფაქტის აღნიშვნით იმის თქმა კი არ მინდა, რომ დამოუკიდებელი საგამომცემლო სფერო ხელისუფლებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას ელოდება, არამედ იმის, რომ მის პრიორიტეტებში უმეტესად არ შედის წიგნის პოპულარიზაცია. დიდად არც თანამედროვე ქართველი ავტორებით ინტერესდებიან, თორემ კარგად ეცოდინებოდათ, რომ კლასიკოსების გარდა, ბევრი, თანამედროვე და სხვადასხვა ენაზე ახლახან დაბეჭდილი რომანი გამოიცემა ჩვენთან, ცხელ კვალზევე.



რამდენიმე წლის წინ, თქვენთან საუბარში, და ამასწინათაც, ერთ-ერთ სტატიაში მწერლისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თანამედროვე ცივილიზებულ გამოცდილებაზე გავამახვილე ყურადღება.ეს ისაა, რაც ჩვენს ლიტერატურას სასიცოცხლოდ სჭირდება. სკანდინავიური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე მალევე შეიძლება რამდენიმე ვარიანტის ამუშავება, თუკი, რა თქმა უნდა, ამის ნება იქნება ხელისუფლებისგან: მწერლების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დააფინანსებს ქართველი ავტორების ცხოვრებასა და შრომას, შეუქმნის მათ ფინანსურ თუ ყოფით პირობებს იმისთვის, რომ წერონ — ტექსტზე ფიქრსა და მუშაობას დაუთმონ ძირითადი დრო. საქართველოში თითქმის ყველა ავტორი თავს არამწერლური სამსახურით ირჩენს, ამიტომ ყოველდღიურად იკარგება ის პოტენციალი (და ეს ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოჩნდა), რომელიც ლიტერატურის, კულტურის განვითარებას უნდა მოხმარებოდა. ცხადია, არსებობს ავტორების შერჩევის კრიტერიუმები და პროგრამის მომზადების დროს საკონკურსო დოკუმენტში შესაძლებელია ამ დეტალების გაწერა და შემდგომ გათვალისწინება. მეორეა, წიგნის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მსგავსიც, ვთქვათ, ნორვეგიაშია — სახელმწიფო ყოველწლიურად შეისყიდის იმ წელს გამოცემული ყველა თანამედროვე ავტორის წიგნის 700 ეგზემპლარს საბიბლიოთეკო ქსელისთვის. ეს ქმედება რამდენიმე მხარეს აძლიერებს: არა მხოლოდ გამომცემელს,რომელმაც იცის, რომ მისი ყოველი ახალი წიგნი გარანტირებულად შვიდასი ეგზემპლარი გაიყიდება, არამედ მწერალსაც, ვისაც საშუალება ეძლევა, მალევე დაამყაროს ფართო აუდიტორიასთან შემოქმედებითი კავშირი. ხეირობს ბიბლიოთეკაც, წიგნადი ფონდის შევსებით, და, რა თქმა უნდა, მკითხველიც, რომელსაც, ბუნებრივია, ყველა წიგნის შეძენის საშუალება არა აქვს. მესამეა გრძელვადიანი კამპანია „თანამედროვე ლიტერატურა სკოლაში“, რომელიც უწყვეტად, მიზანმიმართულად, სხვადასხვა ღონისძიების სახით — თანამედროვე ავტორების ტექსტების სასკოლო პროგრამაში შეტანა, შეხვედრები მწერლებთან, სადისკუსიო კლუბებისა და ელექტრონული პლატფორმების შექმნა — განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ის ერთდროულად რამდენიმე მიმართულებითაა საჭირო და აქტუალური: წიგნის კითხვის პოპულარიზაციისათვის; მასწავლებლების ახალი, პროგრესული ნაკადის გამოჩენისთვის, რომელიც ლიტერატურას ცოცხალ ორგანიზმად აღიქვამს და არა გაქვავებულ, სტატიკურ მასალად; ახალგაზრდებში სკოლის ასაკიდანვე გაჩენილი ინტერესისათვის თანამედროვე ლიტერატურის მიმართ, რაც ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, იმ ზემოთხსენებულ სტიგმასაც მოგვაშორებს, რომელიც ბოლოხანებში აქტიურად გამეფდა: „ილია და გალაკტიონიც მწერლები არიან და ეგენიც?“ (ცნობისათვის, ამჟამად ინტერესი თანამედროვე ქართული ლიტერატურისადმი ისეთივე დიდია ევროპაში, როგორიც კლასიკის მიმართ). ჩვენთან როდემდე უნდა მიიჩნეოდეს „კაი ტონად“ თანამედროვე ხელოვნების აბუჩად აგდება?..

**— განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ინტელექტი“ პოეტების დიდი გულშემატკივარია, არადა ქართული წიგნის ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე არამომგებიან და არაკომერციულ ჟანრად სწორედ პოეზია მიიჩნევა. თქვენ, როგორც გამომცემელს, რამდენად გიღირთ ასეთი პროექტების განხორციელება?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ამასობაში მილოცვა დამავიწყდა იმ ავტორებისთვის, რომლებიც წეღან ახსენეთ — სოსო მეშველიანი და ლელა სამნიაშვილი გამორჩეული პოეტები არიან; ბექა ქურხული კი, რასაც უნდა წერდეს, რომანს, მოთხრობას თუ დღიურს, ყველაფერი ერთნაირად საინტერესოა და ნამდვილი შენაძენია ჩვენი ლიტერატურისთვის. ხშირად მოგვაქვს თავი, რომ პოეტების ქვეყანა ვართ. მესმის, ძალიან გაცვეთილი და ტრივიალური რამ ვთქვი, მაგრამ სუფრებსა და ზეიმებზე დღემდე ყველაზე კარგად საღდება ეს ფრაზა, რომელსაც, რაღა დაგიმალოთ, ვეთანხმები კიდეც. დღესაც, როგორც წინათ, ჩვენს ლიტერატურაში გამორჩევით თავმოსაწონებელი სწორედ პოეზიაა. ბოლომდე იმაშიც არ დაგეთანხმებით, რომ ეს არაკომერციული მიმართულებაა და „ინტელექტის“ გუნდთან ერთად დღემდე იმის დამტკიცებას ვცდილობ, რომ პოეტური კრებული შეიძლება, წარმატებით გაიყიდოს არა მხოლოდ საქართველოში, უცხოეთშიც. ყველაფერი შეფარდებითია, ამიტომ თანამედროვე პოეზიას ნუ მოვთხოვთ ისეთ ტირაჟებს, „ნიუ-იორკ თაიმსის“ საერთაშორისო ბესთსელერებს ან მკითხველისგან კარგად დაცდილ კლასიკურ მემკვიდრეობას რომ აქვს. მთავარი ისაა, თუ რამდენად ენდობა და ელოდება ამა თუ იმ პოეტის ახალი წიგნის გამოჩენას მკითხველი. ვახტანგ ჯავახაძე, ტარიელ ჭანტურია, ბესიკ ხარანაული, დავით წერედიანი, ზვიად რატიანი, სოსო მეშველიანი, დიანა ანფიმიადი, ზურაბ რთველიაშვილი, ლელა სამნიაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, ირაკლი კაკაბაძე, რატი ამაღლობელი, ნატო ინგოროყვა, შოთა იათაშვილი, კატო ჯავახიშვილი, პაატა შამუგია, სალომე ბენიძე, ნინო სადღობელაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, გიორგი არაბული, ბექა ახალაია, გიორგი შონია— ის პოეტები არიან, რომელთა პუბლიკაციებს ლიტერატურულ პრესაშიც და ცალკე წიგნებადაც ბევრი მკითხველი ჰყავს.

**— ახლა თარგმანები: ძალიან საინტერესო სერიებს სთავაზობთ მკითხველს. ჯერ მარტო „ნობელის პრემიის ლაურეატები“ რად ღირს, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი. შედარებით ახალია „აკრძალული წიგნების თარო“, რომელიც არანაკლებ საინტერესო თარგმანებით გამოირჩევა...**

— „ნობელის პრემიის ლაურეატებმა“ —პროექტის ავტორი კახმეგ კუდავაა — ბევრი ახალი უცხოელი, მანამდე უთარგმნელი ავტორი შემოიყვანა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში და არაერთი გახმაურებული, პოპულარული რომანი თუ პოეტური კრებული სწორედ ამ სერიით გაიცნო მკითხველმა; „აკრძალული წიგნების თაროს“ — ეს კი გვანცა ჯობავას პროექტია — სერიით უკვე რვა წიგნი გამოვეცით და თითქმის ყველა მათგანი ლიტერატურულ მოვლენად იქცა. გარდა წარმატებული სელექციისა, აუცილებლად აღვნიშნავ პროფესიონალი მთარგმნელებისა და საგამომცემლო ჯგუფის როლს. უკვე ისეც ხდება, რომ მხოლოდ მარკესის, ლიოსას, ენჯელოუს, ელის უოკერის, იბრაჰიმ ალ-ქუნის მიხედვით კი არ ეძებენ წიგნებს, არამედ ამ ავტორთა ტექსტების ბრწყინვალედ მთარგმნელების — ელზა ახვლედიანის, თეა გვასალიას, ლანა კალანდიას, ანი კოპალიანის, გია ბერაძის, დარეჯან გარდავაძის სახელებისა და დამსახურების გათვალისწინებითაც.

**— რა გეგმები გაქვთ, როგორ ხვდებით ფრანკფურტის წიგნის ფესტივალს, რას სთავაზობთ ევროპელ მკითხველს?**

— 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისგან, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის რანგში იქნება წარმოდგენილი, განსაკუთრებული მოლოდინი გვაქვს. ჩვენ დიდხანს და ნაყოფიერად ვემზადებოდით ამ გრანდიოზული ფორუმისთვის და მიხარია, რომ ჩვენი შრომის შედეგი — „ინტელექტის“ ავტორთა ნაწარმოებები ცალკე წიგნადაც და მნიშვნელოვან ანთოლოგიებშიც — თავს მოიყრის ფრანკფურტში. გარდა პოეტებისა, რომლებიც ზემოთ უკვე ვახსენე, თამაზ ჭილაძის, ირაკლი სამსონაძის, გელა ჩარკვიანის, გურამ მეგრელიშვილის, ბექა ქურხულის, ირაკლი ჩარკვიანის, ნინო სადღობელაშვილის, გელა ჩქვანავას, თეა თოფურიას, რუსუდან რუხაძის, თეონა დოლენჯაშვილის, ივა ფეზუაშვილის, რეზო თაბუკაშვილის, ნინო თარხნიშვილისა და ერეკლე დეისაძის მხატვრული და მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები უკვე გამოცემულია სხვადასხვა ენაზე, რამდენიმე მათგანი წლის ბოლომდე დაიბეჭდება და მათგან უმეტესობას კარგი გამოხმაურება მოჰყვა უცხოურ ლიტერატურულ პრესაში. რა თქმა უნდა, ბევრი სიახლე იქნება ჩვენს საერთაშორისო კატალოგში, სადაც თანამედროვე ავტორებთან ერთად, XX საუკუნის, უკვე კლასიკადქცეულ ტექსტებზე ინფორმაციასაც შევიტანთ (გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, „მოთხრობები საბჭოთა საქართველოზე“ (ანთოლოგია), ლევან ბოლქვაძის „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“).

ფრანკფურტში, ცხადია, კარგად იცნობენ და აფასებენ ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ გერმანულენოვან ავტორს ნინო ხარატიშვილს, რომლის რომანები და პიესები ევროპაში ძალიან პოპულარულია. მისი ტექსტების უმეტესობა ქართულად უკვე გამოსცა „ინტელექტმა“ და ამ წლების განმავლობაში მკითხველი განსაკუთრებული ინტერესითა და მოლოდინით განეწყო ნინო ხარატიშვილის შემოქმედების მიმართ. ოქტომბერში ვგეგმავთ მისი გახმაურებული რომანის — „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“— გამოცემას. წიგნი გერმანულიდან ნინო ბურდულმა თარგმნა.

**— თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება როგორ მიდის, გამომცემლობის მთავარ რედაქტორს საკუთარი მხატვრული ტექსტებისთვის რამდენად რჩება დრო? ვიცი, რომ „საბას“ ლაურეატი წიგნი „ფორმა 100“ უცხო ენებზე ითარგმნა.**

— გაცდენილ დროზე აღარ ვნაღვლობ უკვე. თითქოს იმ მკვლელივითა ვარ, სინანული სისუსტე რომ ჰგონია და მის მიერ დახოცილების სახელები კი არა, მიახლოებითი რაოდენობაც არ ახსოვს. ეს ხუმრობით. ვიცი, რომ დიდხნიანი პაუზა გამომივიდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია. მიზეზებს სხვაგან არ ვეძებ ხოლმე, აზრი არა აქვს. ამ წლების განმავლობაში ითარგმნა „ფორმა 100“ და გამოიცა გამომცემლობა „გეჯეს“ მიერ თურქეთში, წიგნის მთარგმნელი ჰარუნ ჩიმქე გახლავთ; ახალი რომანისრამდენიმე ფრაგმენტიც დაწერილია, ერთი თქვენთანაც გამოქვეყნდა, რამდენიმე ახალი მოთხრობაც ითარგმნა სხვადასხვა ენაზე და ერთის — „ფერიდეს“ — წარსადგენად ჩემს საყვარელ ინგლისშიც ჩავედი ბაჩო კვირტიასთან ერთად. „ფერიდე“ მერი ჩაილდსმა თარგმნა და გამომცემლობა „კომა პრესმა“გამოსცა.

ამ ხნის განმავლობაში ერთი უცნაური, მაგრამ ფრიად საჭირო თვისება გამომიმუშავდა: საოცარ გემოს ვატან ახალი პროზაული თუ პოეტური კრებულებისა და სადებიუტო წიგნების მომზადებას, ავტორებთან ურთიერთობას და მათთან ერთად მუშაობას გამოსაცემ ტექსტზე. აზარტული, ჩამთრევი და იდუმალი პროცესია, რომელსაც თავისი ემოციები, ჭარბი განცდები და გამარჯვება-დამარცხების სერიები ახლავს თან; „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი დამემოწმება — ის ეზრა პაუნდივით და მაქსველ პერკინსივით გამოცდილი კაცია ტექსტის ხელყოფაში (კეთილშობილური ნიშნით ხელყოფას ვგულისხმობ).

მახსოვს, სკოლაში ვიყავი და სადღაც წავიკითხე, სუპერპოპულარულ ემინემს უთქვამს — მგონი, დროა, ცოტა ხნით მუსიკოსობას შევეშვა და ჩემი თავი ნიჭიერი ხალხის პროდიუსერობაში გამოვცადოო. ემინემის ვარსკვლავს ჩვენ, აბა, სად შევწვდებით, მაგრამ, მგონი, დაუფიცებლად დამეჯერება, რომ რაღაც ახლის აღმოჩენისა და წარმოჩენის მომენტი ძალზე სასიამოვნო რამ უნდა იყოს.

რომანის დასაწერად კი სამი თვე მეყოფა — ყოველდღე სამ-ოთხსაათიანი მუშაობა და იმ აზრის თავიდან ამოგდება, რომ ამ ყველაფერს ხვალ ან ზეგ ან ერთი თვის შემდეგაც შევძლებ. ამიტომ თქვენთან საუბარს რომ მოვრჩები, დიდი ალბათობით, ძველ ქაღალდებს უნდა მივუბრუნდე, ყოველდღიურად დათქმული მცირე ულუფა რომ მივამატო...

*ესაუბრა თამარ ჟურული*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალა დათუკიშვილი

# ჩემი კლასელის საიდუმლო



**დასასრული**

## კვირა

ქეიფის პირობა შესრულდა, მაგრამ პირნათლად — არა. ყველა ერთად ვიყავით, ზვიადს გარდა. ის არ მოვიდა, თუმცა დიდად არც არავის მოგვინაკლისებია, სამწუხაროდ.

## ორშაბათი

ორშაბათს დასუფთავებულ კლასში შევედით და კუნძებზე ზღაპრის ჯუჯა გმირებივით ჩავმწკრივდით. მაგრამ ეს ყველაფერი სინამდვილეში არ ჰგავდა ზღაპარს, უფრო ალბათ საშინელებათა ფილმი იყო, რომელიც, აი, უკვე რამდენი წელია, ასე მძიმედ არის დალექილი ჩემს გონებაში.

ჩვენში დაგროვილ გაუსაძლისი ცხოვრების აგრესიას ასე გამოვხატავდით, ვამტვრევდით ყველაფერს და ამის გამო სკოლიდან არ ვირიცხებოდით, რადგან სკოლაც არ ჰგავდა სკოლას. ყველაფერი გაცილებით საშინლად იყო, ვიდრე ახლა ვყვები — გაყინული ხელფასები და მასწავლებლები, რომელთა სულიერი მისიაც იმ დროში ნამდვილად შეუფასებელია.

სკოლა არ გავდა სკოლას, რადგან სკოლას ვეცოდებოდით ბავშვები და თითქოს განგებ კარგავდა საკუთარ სახეს. ვეცოდებოდით ამ ყოფაში და ალბათ უფრო მეტად ეცოდებოდა საკუთარი თავი, რადგან ცოდნაზე წინ მაშინ გადარჩენის საკითხები იდგა.

ორშაბათი უცხო ენით გვეწყებოდა. თუ ვინმე იკითხავდა, რომელი უცხო ენა ისწავლებოდა ჩვენს სკოლაში, ეტყოდნენ, რომ მხოლოდ გერმანული, რადგან რუსული მეორე დედაენასავით იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ყველას გვძულდა რუსული ენა და რომ არა მასწავლებლის სიყვარული, გაკვეთილს არავინ დაესწრებოდა. ახლა რუსული ენა იყო ოკუპანტის ენა, რომელსაც თუ ვისწავლიდით, მხოლოდ იმიტომ უნდა გვესწავლა, რომ მტრის საუბარი გაგვეგო.

არა, ყველა ასე არ ფიქრობდა, მაგრამ ჩემი კლასელების უმეტესობა ამ აზრზე ვიყავით.

გერმანულის გაკვეთილზე ზვიადმა დავალების გადაწერა მთხოვა, სწრაფად დავუწერე და რვეული ჩუმად გადავაწოდე. მასწავლებელს გესტაფოს ვეძახდით, მკაცრი იყო და სამართლიანი, ისეთი, რომ ეს ჩემი გადაწვდილი რვეულის ამბავიც არ გამოპარვია, მაგრამ ამ წლებმა გესტაფო მასწავლებელსაც მოახუჭინა თვალი რაღაცებზე. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ გესტაფო მასწავლებელს გული ჰქონდა, რადგან დავინახე, როგორ შეეცოდა ზვიადი და არაფერი უთხრა. თავზე ხელი მოუთათუნა, თითქოს ამით აგრძნობინა, ვიცი, ეს შენი დაწერილი რომ არ არისო და რვეულს არც კი ჩახედა. ზვიადიც მიხვდა თინა მასწავლებლის სიკეთეს, შერცხვა და რვეული სწრაფად დახურა.

ალგებრის გაკვეთილიდან ზვიადმა ისევ მაკულატურას მიაშურა. იმ დღეს მე არ გავედი მასთან, რასაც ძალიან ვნანობ. არ ვიცი, იქნებ საერთოდ არც მჯდარა იქ და სახლში წავიდა, მაგრამ ახლაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, იმაზე ვფიქრობ, რას აკეთებდა ნეტა მაშინ მთელი დღე მარტო, სიცივეში.

## სამშაბათი

ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, დანაშაული რომ გამომესწორებინა. ლიტერატურისა და ენის გაკვეთილები როგორც დამთავრდა, მაშინვე მაკულატურაში გავიქეცი. გზაში გული ამიჩქარდა იმის შიშით, ვაითუ, ზვიადი იქ არ დამხვედროდა, მაგრამ იქ იყო.

ჩანთაზე იჯდა და ქერა თმებს თითებით იწვალებდა. მეც ჩანთაზე დავჯექი და იქვე ძირს ჩამოყრილი დახეული წიგნების თვალიერება დავიწყე.

— გასვლის ზარი რომ დაირეკება, მე უნდა წავიდე, ცივა, — ვუთხარი და მაისურის სახელოებზე აკრული ნახერხი ჩამოვიბერტყე.

— აჰა, — ზვიადმა ჯიბიდან ტურბოს „ნაკლეიკების“ დიდი გროვა ამოიღო და მუხლებზე დამილაგა.

— რამდენიაააა, — მახსოვს ძალიან გამიხარდა,მაგრამ თვალი მის ხელებზე დამრჩა, ხელები უკანკალებდა.

— გცივა, ზვიადი? — ვკითხე და ახლოს მივუჯექი.

თვალები გაუდიდდა და უკან გაიწია. მე ვერ გავიგე, რა მოხდა, რატომ შეეშინდა ჩემი, რატომ შეკრთა ასე, ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით მთელი ეს წლები, ასეთი დისტანცია არასოდეს გვქონია. თავი უხერხულად ვიგრძენი, ცოტა მეწყინა კიდეც. წამოვდექი, „ნაკლეიკები“ ძირს დაიყარა და თვალი ავარიდე. იქიდან გაქცევა მინდოდა, რომ ფეხებზე ხელები მაგრად შემომხვია და წამაქცია. ისევ ნახერხზე დავეცი და ის იყო, უნდა მეყვირა მისთვის, რომ დავინახე, ფეხებს ჩაბღაუჭებული როგორ ტიროდა.

მაშინ ძალიან შემეშინდა, ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ვცდილობდი, ფეხები გამენთავისუფლებინა, მაგრამ არ გამომდიოდა, ის ხელებს მიჭერდა და ტიროდა.

— არ გეწყინოს რაა, შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ, — ეს სიტყვები ძლივს გავარკვიე მისი ლუღლუღიდან.

— საუკეთესო ვარ, აბა, რა, როგორ იქცევი, არაფერს მეუბნები, რატომ ხარ ასე, რა ხდება? ჩვენ მეგობრები აღარ ვართ, — ვეუბნებოდი გაბრაზებული.

— არა, შენ არაფერი იცი. მე არასოდეს არავინ მყვარებია შენზე მეტად, შენ ჩემი მესაიდუმლე ხარ. მარტო შენ გენდობი, მაგრამ არ იცი, როგორ მიჭირს ახლა. არაფერს გიყვები, იმიტომ, რომ ეს კაცების საქმეა მარტო, შენ გოგო ხარ და ამას ვერ გაიგებ.

— რაო? ასე არასოდეს გითქვამს ჩემთვის, ყოველთვის ყველაფერს მიყვებოდი, მეც გიყვებოდი ხოლმე, ქალების ამბებსაც გიყვებოდი და შენ მისმენდი. ადრე, ბიჭებთან რომ იჩხუბე, ხომ მომიყევი. ირაკლის დანა რომ ქონდა, ეგეც ხომ ვიცი. სულ მიყვებოდი და ახლა გახდა კაცების საქმე შენი ცხოვრება?

— ბედნიერი ხარ, გოგოდ რომ დაიბადე, — და ნამტირალევი თვალები დახუჭა.

ვუყურებდი და პირველად ვხედავდი ბიჭს, რომელიც ასე ტიროდა, ამდენი ცრემლი დასდიოდა. სახეზე ფერი არ ედო, ისედაც ძვალწვრილი, უფრო გამხდარიყო და ერთიანად კანკალებდა.

— გცივა? — ისე ვკითხე, თითქოს ახლა უკვე მე მინდოდა საუბარი სხვა რამეზე გადამეტანა, არ ვიცი, რაღაცნაირად შემეშინდა.

— არ მცივა.

— აბა, რომ კანკალებ?

— ბიჭებთან ამის გამო ვიჩხუბე.

— რის გამო?

— დიდი ხანია, ასე მიკანკალებს ხელები და მუხლები, შენ ახლა დაინახე, ისინი კი დიდი ხანია, დამცინიან ამის გამო.

არ ვიცოდი, რა მეთქვა, ძალიან შემრცხვა. გამახსენდა, მართლაც დიდი ხანი იყო, ასე აკეთებდა ზვიადი და ენაც ებმოდა, ჰო, ენაც ებმოდა, ცოტა კი არა, ძალიან შესამჩნევად...

ეს იყო ოციოდე წლის წინ, იმ დღეს მე მას საბოლოოდ შევხვდი. ისე მოხდა, რომ სპეციალურ დაწესებულებაში წაიყვანეს. მაშინ ფრთა მომტყდა, საერთოდ თუ გვქონდა ფრთები ახალგაზრდებს იმ ავბედით წლებში.

არ ვიცი, ვინ იყო დამნაშავე — დრო თუ ადამიანები, მაგრამ მაშინ მხოლოდ ზვიადი არ გაუტეხავთ, მეც გავტყდი. ისე გავტყდი, რომ ეს ნატეხები ახლაც მესობა ტვინში და ეს ძალიან მძიმეა.

ახლა მოგიყვებით, რა მომიყვა იმ დღეს:

ხომ გითხარი, კაცების ამბავია ეს, შენ კი მებუტები, აბა, როგორ მოგიყვე, მრცხვენია.

კაი, ჰო...

ახლა მე თვალებს დავხუჭავ და მოვყვები, ვითომ შენ წახვედი და ჰაერს ვუყვები, კაი?

აი, ჩვენ, ბიჭები, ესე ვართ ყველა, გოგოებსაც ხომ გაქვთ რაღაც, რასაც დაქალიშვილება ჰქვია.

გაქვთ, ხო?

არ იცი, შენ ჯერ ეგ?

ალბათ ჯერ არ იცი.

კაცები სხვანაირად ვართ.

არ ვიცი, აქ ხარ თუ წახვედი, მართლა ჰაერს ხომ არ ველაპარაკები?

არდადეგებზე მამაჩემმა ერთ ადგილას წამიყვანა. იქ მარტო ქალები ცხოვრობენ და კაცები დადიან. უფრო სწორად, რომ უნდა დაკაცდე, ეგ ის ადგილია. ჩემი დაბადების დღე იყო. შენ ხომ იყავი ჩემს დაბადების დღეზე.

ჰოდა, მერე ღამით მე და მამა...

უფრო სწორად, მამამ წამიყვანა იქ.

შორს იყო, გზაში გული ამერია, მგზავრობას ვერ ვიტანდ, ხომ იცი, ექსკურსიებზე სულ ასე მემართება ხოლმე.

ნამგზავრი ვიყავი და მანქანიდან გადასვლა არ მინდოდა, მეძინებოდა.

მამაჩემი გაბრაზდა, კაცი ხარ თუ ქალიშვილიო.

გადავედი.

ღვინო დამალევინეს ერთი ჭიქა, მაგრამ ასე მეგონა, მთელი ტონა ჩამასხეს. დავთვერი.

მერე მამაჩემი გავიდა და მარტო დავრჩი.

უცხო ქალთან ერთად.

მომიახლოვდა სიცილით და ჩამეხუტა.

უხეში, ყვითელი თმები თვალებში შემერჭო და სახე მოვარიდე.

მან კიდევ უფრო მაღალ ხმაზე დაიწყო სიცილი და მაისური ამიწია.

მერე ხელი მკრა და საწოლზე დავეცი. თავი ბალიშს მივაბჯინე და ხელები სახეზე ავიფარე.

ფეხსაცმელი გამხადა. იცინოდა და იცინოდა.

დასალევს მთავაზობდა, მაგრამ ვეღარ დავლევდი.

ხელები მომკიდა და წამომაყენა, ტანსაცმელი გამხადა და მიყვიროდა, რომ თვალები გამეხილა.

თან ყვიროდა, თან იცინოდა.

გავახილე თვალები და პირველი, რაც დავინახე, ეს იყო...

შიშველი იყო.

მკერდი სახეზე მომაბჯინა და ვგრძნობდი, რომ ვიგუდებოდი. ღვინის და სიგარეტის სუნმა თავბრუ დამახვია.

მერე მაკოცა.

ტანზე მისი თმები მერჭობოდა და მტკიოდა.

გრძელი ფრჩხილები ჰქონდა, ძალიან გრძელი და წითელი ლაქი ესვა.

დამღალეო, მსაყვედურობდა და თან მკოცნიდა, თან ეწეოდა, თან სვამდა. შეიძლება, მე ვეღარ ვიხსენებ ზუსტად, მაგრამ ის ისეთი სწრაფი მოძრაობებით აკეთებდა ყველაფერს, მე თვალის გახელას და დახუჭვას ვასწრებდი მარტო.

მერე ისევ საწოლზე გადამაგდო და ზედ დამაწვა.

ვიგრძენი, რომ სადაცაა გული ამერეოდა და ასეც მოხდა.

მერე აღარ მახსოვს არაფერი...

მახსოვს, ჰო, მამაჩემმა, ქალიშვილი ყოფილხარო, კაცი კი არაო და სახეში დამარტყა. ის ქალი ისევ იცინოდა. მამაჩემიც იცინოდა მასთან ერთად. მე კიდე ვიდექი სამყაროდან გარიყულივით, რომლის ტკივილიც არავის ადარდებს. მტკიოდა სახეზე დარტყმული, მაგრამ უფრო მეტად შიგნით სხეულში მტკიოდა რაღაც, ისე ძლიერად მტკიოდა, რომ ვერ გადმოვცემ.

აქ ხარ?

თუ აქ ხარ, ვიცი, ვერ გაიგებ, შენ გოგო ხარ და ეს კიდე კაცების საქმეა.

მრცხვენია ახლა ძალიან ყველასი და ყველაფრის.

თუ აქ ხარ, გთხოვ, არავის უთხრა, რაც მოგიყევი. მე ხომ ვინახავ შენს საიდუმლოს.

თუ აქ არა ხარ და ჰაერს ველაპარაკები, გთხოვ, მაკულატურის ჰაერო, აქ იყავი სულ და გარეთ არასოდეს გახვიდე.

თუ ლენინის სურათებს ესმით ჩემი საუბარი, გთხოვთ, ლენინის სურათებო, არასოდეს დაბრუნდეთ სკოლის დერეფნებში.

თუ ღმერთი ხარ აქ და გესმის ჩემი, გთხოვ, ღმერთო, გამაქრე ამ სამყაროდან.

**P.S.**

დღეს ოთხშაბათია, 2017 წლის ბოლო თვე, ორი ათეული წლის შემდეგ მე მისი საიდუმლო მისსავე თანხმობით გავეცი.

შენთვის...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940